საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

# სარბიელი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 მაისი სამშაბათი 2011

№ 107 (13404) ფასი 60 თეთრი



შერკინებში ტონს ქართველები აძლევენ

10

# ეს ჯერ არ ყოფილა

## პოლიციის მოქიებულ ფაქტებს ფედერაციის აქტები სჭირდება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს VS საეჭვო



# ფ ფარული

# ფ ფაქტები

2

## ფიფამ და ინტერპოლმა ხელი ხელს დაჰკრეს: დავკრათ ყალთაბანდებს!





## ზაზას ატლანტა და ჩიკაგო 2:2

12

## კარგი ამბავი ქეცბაიასთვის

### ამისულაშვილი მალე ითამაშებს

სასიხარულო ამბავი ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიასთვის** - შესაძლოა, 3 ივნისის ხორვატიასთან მატჩისთვის **ალექსანდრე ამისულაშვილი** სათამაშოდ მზად იყოს.

გეხსომებათ, 20 აპრილს მოსკოვის „სპარტაკთან" შეხვედრისას ამისულაშვილს სახეში იდაყვი მოხვდა, მძიმედ დაშავდა, სახის ძვლები გაუტყდა და ოპერაცია დასჭირდა. ის ახლახან დაბრუნდა კრასნოდარში და, საერთო აზრით, ხორვატიასთან ვერ ითამაშებდა.

გუშინ კი ამისულაშვილის ოჯახში მოულოდნელად დაგვაიმედეს: ალეკო უკეთ არის და თუ ყველაფერი კარგად იქნა, შესაძლოა, 14 მაისს „ტომთან" ითამაშოს. თუ მოედანს 14-ში ვერ დაუბრუნდა, 21 მაისს მაინც ითამაშებსო.

ალეკო დღეს მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ოპერაცია გაიკეთა და სახის დასაცავი ნიღაბი შეუკვეთა.

**მერაბ მამულაშვილი**



ეროვნული

● არარიგითი ალმასკომი

# რა ვქნათ, რომ აღარ ჰქნან?



ზვიად სიჭინავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge))

საფეხბურთო მაქინაციებში მხილებული ფეხბურთელები საკუთარმა კლუბებმა "თამაშგარეში" დატოვებით უკვე დასაჯეს, ახლა კი ჯერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაზეა. დიდი უნდა იყოს იმის ალბათობა, რომ **გიგა ბექვაიას, სპარტაკ გოგიას, კახაბერ კირთაძის, როინ ონიანისა** და **ლევან ვართაგავას** გარდა, ფედერაციამ შეფასება მათი ზოგიერთი თანაგუნდელის ნამოქმედარსაც მისცეს – ვგულისხმობთ ნაადრევი შეცვლებისა და საეჭვოდ "აკიდებული" პენალტების ეპიზოდებს.

ვნახოთ, როგორ დასჯის სფფ საფეხბურთო მაქინაციების მონაწილე ფეხბურთელებს. წესით, სანქციებს ვერც მათი კლუბები უნდა გადაურჩნენ. ასე რომ, დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომაზე საინტერესო ამბები გველის. არც სკანდალთან დაკავშირებული სიახლეების გაგება უნდა გამოვრიცხოთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# საფეხბურთო საქმე, რომელსაც დასჭირდა არასაფეხბურთო ჩარევა

უეფადან გამოგზავნილი წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში საეჭვო მატჩების შესახებ ატყობინებდა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო პერიოდულად ღიად აცხადებს ჩაწყობილ თამაშებთან ბრძოლას და უკვე ნათელია, რომ უეფას საქართველოს საკითხზეც აქტიური მუშაობა დასჭირდება. თუკი აქამდე საქართველოს ჩემპიონატში არსებულ სიბინძურეებზე მხოლოდ ეჭვი არსებობდა, ჩვენი სამართალდამცავი ორგანოების წყალობით რამდენიმე უკანონო საფეხბურთო გარიგებას ფარდა აეხადა.

უეფას მსგავსად, მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში მიმდინარე უმსგავსობების მიმართ გულგრილი არც ფიფაა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ **ზეპ ბლატერის** უწყება ინტერპოლთან ათწლიან ხელშეკრულებას აფორმებს და საფეხბურთო მაქინაციების გამოვლენაზე უკვე სისხლის სამართლის საერთაშორისო პოლიციასთან ერთად იმუშავებს. პირველ ეტაპზე ფიფა ამ საქმისთვის 20 მილიონი დოლარის დახარჯვას აპირებს.

საეჭვო მატჩები კი ძალიან ბევრ ქვეყანაში იმართება. სავარაუდოდ, ევროპაში ამ მხრივ გერმანია უნდა ლიდერობდეს. იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წლის წინ პოლიციამ ამ ქვეყანაში მოქმედი ხორვატიული კლანი გაანეიტრალა და მას ციხეში არბიტრი რობერტ ჰოიცერიც მიუსვა, რჩება სერიოზული ეჭვი, რომ გერმანიაში საფეხბურთო მაფია ძველებურად ჰყავის. ფიფა და ინტერპოლი გერმანიის სხვადასხვა ლიგაში გამართული 300 (!) საეჭვო მატჩის დეტალებს იძიებენ. მეორე ადგილზე ხორვატიაა, სადაც ძიების ობიექტი 47 შეხვედრაა, მესამე საფეხურს კი ფინეთი იკავებს, სადაც სულ ცოტა ხნის წინ მოხდა დიდი სკანდალი და მოწმის სტატუსით პოლიციასთან საქმე ძმებ **ხორგუაშვილებსაც** ჰქონდათ.

ფიფა მხოლოდ ამ სამ "ლიდერ" ქვეყანას ასახელებს. ჯერჯერობით უცნობია, რომელი ადგილი უჭირავს ამ "საპატიო" რეიტინგში საქართველოს, მაგრამ ვეჭვობთ, ჩვენს ქვეყანას გარიგებული მატჩების რაოდენობით იმაზე გაცილებით მეტი "მიღწევა" ექნება, ვიდრე ფიფას სანაკრებო რეიტინგში აქვს.

გამოძიება მხოლოდ საკლუბო კი არა, სანაკრებო მატჩებზეც მიმდინარეობს. არსებობს ეჭვი, რომ ბოლივია-ლატვიისა და ბულგარეთ-ესტონეთის ამხანაგურ შეხვედრებში უხვად დანიშნული პენალტები წინასწარ დადგმული სცენარის შემადგენელი ნაწილი იყო.

გამოძიების კვალდაკვალ, ფიფა თავის წევრ ქვეყნებში კლუბების ხელმძღვანელთათვის, მწვრთნელებისა და ფეხბურთელებისთვის სპეციალური ტრენინგების ჩატარებას გეგმავს, რომლის მეშვეობითაც შეეცდება, აუხსნას მათ, რაოდენ მძიმე შედეგები მოჰყვება ბინძურ საფეხბურთო გარიგებებში მონაწილეობას. ამასთან, ფიფა მათ სპეციალურ ინსტრუქტაჟს ჩაუტარებს, რომელიც კეთილსინდისიერ ფეხბურთელებს თაღლითების გამოვლენაში სამართალდამცავი ორგანოების დახმარებას გაუადვილებს. ფიფა სთხოვს თავის წევრ ყველა ფედერაციასა და ასოციაციას, კარგად გაითავისონ შექმნილი პრობლემის სიმძიმე და მათ ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გამოიყენონ უკანონობასთან საბრძოლველად.

ფიფა არც საკუთარი შეცდომების აღიარებას ერიდება და აცხადებს, რომ სჯობდა, ინტერპოლთან საქმე აქამდეც დაეჭირა. თუკი დღემდე პოლიცია საფეხბურთო დამნაშავეების პოვნას იშვიათად ახერხებდა, მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანო იმედოვნებს, რომ ეს ხელშეკრულება ფეხბურთის "განწმენდის" დასაბამი გახდება.

ქართულ სკანდალზე ჯერჯერობით კომენტარი არც ფიფას გაუკეთებია და არც უეფას, მაგრამ, საუბედუროდ, შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, რომ საქართველოს ჩემპიონატი მათი დაკვირვების ობიექტია და ასე გაგრძელდება ახლო მომავალშიც.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ინტერპოლის გენერალური მდივანი რონალდ ნოუბლი და ზეპ ბლატერი

● ლეგიონერი



# ხიზანიშვილს თავისი 13 მაისი ელის

საქართველოს ნაკრებისა და "რედინგის" 29 წლის ფეხბურთელი იმედიანად არის განწყობილი.

*"კარდიფთან" ნახევარფინალური შეხვედრებისთვის ვემზადებით და, თუ მოვიგეთ, "უემბლიზე" 29 მაისს ფინალი გველის. მხოლოდ ასე გადავალთ პრემიერლიგაში. იმედიანად ვართ, რადგან მეორე წრეში "რედინგი" კარგად თამაშობდა.*

*თუ საპრემიერლიგო პლეი ოფში გავიმარჯვეთ, "რედინგში" დავრჩები, თუ ვერა - მაშინ კლუბის დატოვება და სხვაგან გადასვლა მომიწევს"* – ამბობს ხიზანიშვილი.

ასე რომ, ზურასთვის 13 მაისი მნიშვნელოვანი დღეა. 13 ხიზანიშვილის საყვარელი რიცხვია და ქართული ფეხბურთის გამარჯვების დღეა. იმედია, პრემიერლიგაში ქართველის დაბრუნების ამბავს ამ დღეს ჩაეყრება საფუძველი.

**ზურაბ ხიზანიშვილის** "რედინგმა" ინგლისის ჩემპიონშიპში მეხუთე ადგილი დაიკავა, პრემიერლიგის საგზური პირდაპირ ვერ მოიპოვა და საამისოდ რთული გზის გავლა მოუწევს: ჯერ ორმატჩიან ნახევარფინალში "კარდიფ სიტი" უნდა დაამარცხოს (13 მაისს შინ, 17-ში - სტუმრად), მერე კი მეორე ნახევარფინალურ წყვილში ("ნოტინგემი"-"სუონსი") გამარჯვებული "უემბლიზე" დანიშნულ ფინალში.

**მერაბ მამულაშვილი**

● მეტოქე

# ბილიჩი, ცხადია, დიდ გულზეა: მოვიგებთ!



სლავენ ბილიჩი

ახლახან ხორვატიის ნაკრების საკადრო პრობლემებზე გიამბეთ და იმედი გამოვთქვით, რომ **სლავენ ბილიჩის** გუნდში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა საქართველოს ნაკრებს 3 ივნისს სპლიტში წარმატების შანსს დაუტოვებს.

თუმცა ხორვატიულ პრესასთან ბილიჩი ოპტიმისტური განწყობით ლაპარაკობს და ქართველებთან რევანშის დიდი იმედი აქვს, მეტიც, წარმატებაში ეჭვი არ ეპარება: *"დარწმუნებული ვარ, რაც თბილისში დაგვემართა, ეს სპლიტში აღარ განმეორდება. საშინაო მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ და მერე შემდგომ წარმატებებზე ვიფიქროთ".* თბილისში განცდილი მარცხი კი ხორვატთა თავკაცმა კიდევ ერთხელ მიაწერა უიღბლობას, ამავდროულად, საკუთარი ფეხბურთელების მიმართ აუგი არ დასცდენია და პასუხისმგებლობა თავად იტვირთა. *"ასეთი სიმწარე ნებისმიერ გუნდს შეიძლება შეხვდეს, მაგრამ, როცა მეტოქეებს საგრძნობლად ჯობიხარ, ვალდებული ხარ, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავო. ყველაფერი ჩვენს ხელთაა და დარწმუნებული ვარ, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ",* - აცხადებს ბილიჩი.

რაც შეეხება ტრავმირებულთა სიმრავლეს, ხორვატიის ნაკრების დამრიგებელი მიიჩნევს, რომ **ივიცა ოლიჩსა** და **ივან რაკიტიჩს** სრულფასოვანი შემცვლელები მოეძებნებათ: *"ორი ვარსკვლავი გვაკლია და ამის ანაზღაურება გაგვიჭირდება, მაგრამ გვყავს მაღალი დონის სხვა ფეხბურთელებიც, რომლებიც მათ არყოფნას არ გვაგრძნობინებენ".* ბილიჩს განსაკუთრებით **ედუარდოსი** ეიმედება. შეგახსენებთ, დონეცკის "შახტარის" ბრაზილიური წარმოშობის ფორვარდმა ტრავმის გამო თბილისური მატჩი გამოტოვა.

ბილიჩმა გუნდის სხვა რგოლებში არსებულ ვითარებაზეც ილაპარაკა. მან აღიარა, რომ მეკარე **ვედრან რუნიე** ბოლო დროს დამაჯერებლად ველარ თამაშობს, მაგრამ იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის ნაკრებთან მაღალ დონეზე ჩატარებული მატჩი მას საკუთარი თავის რწმენას დაუბრუნებს. ბილიჩი ჯერჯერობით რუნიეს რეალურ კონკურენტს ვერ ხედავს.

მწვრთნელი დამწუხრებულია იმით, რომ ვეტერან **იოსიპ შიმუნიჩს** გერმანულ "ჰოფენჰაიმში" აღარ ენდობიან, რის გამოც ნელ-ნელა ნაკრებშიც კარგავს პოზიციებს. სამაგიეროდ, ძალიან სწრაფად პროგრესირებს ლიონელი **დეიან ლოვრენი**, რომელსაც დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში, შესანიშნავ ფორმაშია ტოტენჰემელი **ვედრან ჩორლუკაც**. ნახევარდაცვა კი, ბუნებრივია, ხორვატთა უძლიერესი რგოლია...

ბილიჩს ისიც ჰკითხეს, უარყოფითად ხომ არ უმოქმედია ნაკრებზე მისი ასისტენტის, **რობერტ პროსინეჩკის** სერბულ "ცრვენა ზვეზდაში" წასვლას, რაზეც მან მიუგო, იგი შესანიშნავი სპეციალისტია, მაგრამ სისულელეა იმის თქმა, რომ საქართველოს ნაკრებთან მისი არყოფნის გამო დავმარცხდითო.

ედუარდოს შემდეგ კი ხორვატიის ეროვნულ ნაკრებში კიდევ ერთი ბრაზილიელის გამოჩენაა მოსალოდნელი, ოღონდ საქართველოს წინააღმდეგ არა, უფრო მოგვიანებით. წლებია, ზაგრების "დინამოში" წარმატებით ასპარეზობს 23 წლის თავდამსხმელი **სამირი**, რომელიც, ხორვატიის მოქალაქეობას თუ მიანიჭებენ, ნაკრებში დამკვიდრების შანსს აუცილებლად მიიღებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **ოსუბიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთში ქვეყნებული მასალისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლონელებმა ძალამიძე ძალიან დაგვიტვირთეს: ქართველი მესი



**ლოძის „ვიძევი“ ლეგენდარული ზბიგნევ ბონეკის ყოფილი გუნდია, რომელსაც ახლა ბელარუსში დაბადებული 40 წლის შჩესლავ მიხნევიჩი წვრთნის. გასულ სეზონში სწორედ მან მოაგებინა ლოძელებს პირველი ლიგა და ექსტრაკლასში გადაიყვანა, ზამთარში კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ნიკა ძალამიძე მოიწვია და არ უნანია - 19 წლის ქართველმა "ვიძევის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი სწრაფად დაიმკვიდრა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.**

**ძალამიძეს პოლონეთის ჩემპიონატში შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა, პირველივე თამაშის შემდეგ აალაპარაკა მედია – "კორონასთან" სადებიუტო შეხვედრაში გოლიც გაიტანა და ორი საგოლე პასიც მიითვალა. უმნიშვნელო არც ისაა, რომ ნიკა უბრალო და უშუალო ახალგაზრდაა, ფეხბურთელის შერჩევისას კი კლუბები ყურადღებას ამასაც აქცევენ. ჩვენ კი ის გვაიმედებს, რომ პოლონურ კლუბში ეროვნულ ნაკრებს ნიჭიერი ფეხბურთელი ეზრდება. ნიკას პოლონეთში დავუკავშირდით.**

**- 19 წლის ქართველისთვის პოლონეთის ექსტრაკლასას კლუბში თამაში პატარა ამბავი არ არის. ეტყობა, მოსკოვის ცსკა-ს დუბლებში დრო არ დაგიკარგავს.**

- აქ ჯერ მოხვედრა და მერე დამკვიდრება ადვილი ნამდვილად არ იყო. საბედნიეროდ, ეს მცირე დროში მოვახერხე. ალბათ, გამიმართლა კიდეც. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს მაინცდამაინც რუსეთში მომზადების შედეგია.

**- ცსკა-ს ძირითადში მოხვედრის შანსი არ გქონდა თუ სხვა ფაქტორებმა შეგიშალა ხელი?**

- შანსი მართლაც არ მომცემია. პირველ შეკრებაზე მთავარ გუნდთან ერთად ვიყავი და თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ დაიწყო ჩემპიონატი და, სამწუხაროდ, მხოლოდ დუბლებში მათამაშებდნენ.

**- არ გენდობოდნენ თუ სხვა რამ მიზეზი იყო?**

- უბრალოდ, ჩემს პოზიციაზე ბევრად უფრო გამოცდილი და მაღალი კლასის ფეხბურთელები თამაშობდნენ და, ალბათ, ლოგიკურიც იყო, მწვრთნელი 18 წლის ახალგაზრდის ძირითადში დაყენებას რომ არ ჩქარობდა.

**- პოლონეთში რამ გაგიადვილა საქმე – სტილს მოერგე თუ გუნდში მიგიღეს კარგად?**

- ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა: გუნდში ძალიან კარგად მიმიღეს, სადებიუტო შეხვედრაში "კორონასთან" გოლი გავიტანე, გუნდს და ფეხბურთელებსაც მალე შევეჩვიე და ჩემპიონატსაც. თანაც, "ვიძევში" ლიტველები თამაშობენ, შერნასი და პანკა, რუსული სამივემ ვიცით და უცებ დავვახლოვდით.

**- ლოძის "ვიძევი" სოლიდური კლუბია და ასეთ დონეზე თამაშს ბევრი შენხელა ქართველი ინატრებდა. წარმატებული შეხვედრების შემდეგ, ალბათ, თავდაჯერება შეგემატა.**

- რა თქმა უნდა, წარმატებულმა დებიუტმა, გოლმა, კარგმა თამაშმა და პრესის შექებამ უფრო თავდაჯერებული გამხადა.

**- პოლონეთში "ქართველი მესი" გიწოდეს, რაც დიდ პასუხისმგებლობასაც გაკისრებს. შენ ასაკში ყოველ შეხვედრაში სასწაულის მოხდენა ძნელია.**

- მესისთან შედარება გადაჭარბებულია და მერიდება კიდეც. ჯერ კიდევ უნდა დავამტკიცო, რომ ტყუილად არ მენდობიან. სხვათა შორის, დებიუტის შემდეგ ჩემ წინააღმდეგ მცველები უფრო ყურადღებით თამაშობენ.

**- "ვიძევთან" როგორი კონტრაქტი გაქვს?**

- მე დღემდე ზუგდიდის "ბაიას" ვეკუთვნი, რომელმაც ერთწლიანი იჯარით გამომიშვა.

**- პოლონელები შენი კონტრაქტის გამოსყიდვას არ აპირებენ?**

- "ბაიას" იჯარაზე კი შეუთანხმდნენ, მაგრამ ჩემი გამოსყიდვის უფლება აქვთ. თუ ასე გადაწყვიტეს, ხელშეკრულების თანახმად, სხვა გუნდებთან შედარებით უპირატესობა მიენიჭებათ, თუმცა სატრანსფერო თანხის დეტალებში ნაკლებად ვერკვევი (ცნობისთვის - პოლონელებს "ბაიადან" ძალამიძის კონტრაქტის გამოსყიდვა 300.000 ევროდ შეუძლიათ).

**- მერე არის ამაზე ლაპარაკი?**

- ეს ჯერ ადრეა, რადგან "ვიძევში" დეკემბრამდე გამანათხოვრეს, მანამდე კი დიდი დროა.

**- ისე ათამაშდი, სხვა გუნდები დაინტერესდებოდნენ, პოლონეთიდან კი ევროპის ძლიერ კლუბში გადასვლა შედარებით ადვილია.**

- რამდენიმე გუნდი დაინტერესებულია, მაგრამ სანამ "ვიძევში" თავს კარგად ვგრძნობ, არაფერს მარგებს იმაზე ფიქრი, რა მოხდება დეკემბერში. ფეხბურთელი კლუბზე უნდა იყოს კონცენტრირებული და არა ტრანსფერზე. თანაც, პოლონელები ქართველების მიმართ კეთილგანწყობილნი არიან, ქალაქში რომ ვსეირნობ, ამას ვგრძნობ და ესეც მიღირს.

**- ფიზიკურად როგორ ხარ, მოედანზე 90 წუთს თუ ძლებ?**

- კარგად მომამზადეს, მაგრამ თავიდან ცოტა გამიჭირდა. აქაურ ფეხბურთს უკვე მივეჩვიე და ფიზიკურადაც უკეთ ვარ. მწვრთნელმა რამდენჯერმე 90 წუთიც მათამაშა და ვგრძნობ, დიდ დატვირთვებს ვეჩვევი.

**- მომზადება და ვარჯიში საქართველოშიც არ ეზარებათ, მაგრამ აქ ხეირიანი სავარჯიშო პირობები არ არის. საინტერესოა, პოლონეთი ამით ბევრად გვისწრებს?**

- შედარებაც არ შეიძლება. პოლონეთში ევროპული დონეა, საქართველოში კი პირობები თითქმის არ არის. აქაურებს ქართული გუნდებივით ფინანსურად არ უჭირთ და ყველაფერი აქვთ, რაც ფეხბურთელის მოსამზადებლად არის საჭირო. მაგალითად მოედნებიც იკმარებს, ეს კი ყველაზე მთავარია. ისეთი ხარისხის მინდვრებია, გასვლა გსიამოვნებს და ეს სათამაშო განწყობასაც გიყალიბებს. ფეხბურთისთვის ეს ბევრს ნიშნავს.

**- საქართველოში პოლონეთის ლიგას კარგად არ იცნობენ...**

- ნორმალური დონის ჩემპიონატია, კარგი სტადიონებია, თამაშებზე ტრიბუნები ივსება, ხალხს ფეხბურთი ძალიან უყვარს.

**- ეროვნულ ნაკრებში ხომ არ გიძახებენ?**

- მე ამისა არაფერი ვიცი. 3 ივნისს ხორვატიასთან ახალგაზრდულიც თამაშობს. ჯერ არავინ დამკავშირებია, მაგრამ, თუ გამომიძახებენ, აუცილებლად ჩამოვალ.

**- ახალგაზრდული ნაკრები უმძიმეს ჯგუფში მოხვდა. შენი აზრით, გასვლაზე ფიქრი რამდენად რეალურია?**

- ურთულესი ჯგუფია და გასვლა ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ ფეხბურთია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენ მაქსიმუმზე უნდა ვიფიქროთ. არა მგონია, ცუდი ახალგაზრდული ნაკრები გვყავდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

● დაბრუნება


ვახტანგ იაგორაშვილი (მარჯვნივ) და ალექსანდრე გელაძე

# ძველი მრეტის მონატრება: ჩემი საქმე ფეხბურთია

## ერთი ძველი ამბავიც ცოლის დაღუპულ დიდ ფეხბურთელზე

"ქორთიარდ მერიოტში" ფედერაციის ინიციატივით გამართულ ვეტერანთა შეხვედრაზე **ვახტანგ იაგორაშვილიც** გამოჩნდა - "მრეტების" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი, ნიჭიერი, მაგრამ ძალიან უიღბლო ფეხბურთელი, რომელმაც თავისი პოტენციალი ქართულ ფეხბურთს ვერ მოახმარა. **გიორგი ქინქლაძის, ბუბა ტყავაძისა** და სხვა არაერთი ნიჭიერი მოთამაშის გვერდით ისიც ამბობდა თავის სათქმელს ამ გუნდში, რომელიც თბილისელ გულშემატკივარს ძალიან უყვარდა – "მრეტების" თამაშებზე სტადიონები თითქმის ყოველთვის ივსებოდა.

**შოთა ჭეიშვილი** და **ვლადიმერ გუცაევი** საქართველოს ახაგაზრდულ ნაკრებში სისტემატურად იწვევდნენ. რომ არა ტრავმა, სოლიდური სანაკრებო სტატისტიკაც დაუგროვდებოდა. "მრეტებიდან" იაგორაშვილი გერმანული რეგიონალლიგის ბრაუნშვაიგის "აინტრახტში" ჩაირიცხა, შემდეგ ასევე რეგიონალლიგის "აუგსბურგში" გააგრძელა კარიერა, საიდანაც "კიოლნ პროიზენში" მოხვდა, **რევაზ არველაძემ** კი თბილისის "დინამოში" მიიწვია. მერე მისი ასავალ-დასავალი დაიკარგა.

*"რეზო არველაძე "დინამოდან" რომ წავიდა, მეც გამიშვეს. საქართველოს ჩემპიონატის ლიდერ გუნდებში მიწვევდნენ, მაგრამ "დინამოს" გარდა თამაში არსად მსურდა, ტრავმირებული უცხოეთში ვერ წავედი და კარიერა 28 წლის ასაკში დავამთავრე. კარგა ხანი ფეხბურთს ჩამოშორებული ვიყავი და გერმანიაში ვსაქმიანობდი. აჩიკო არველაძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. როცა ის "კიოლნში" თამაშობდა, მე კიოლნელთა საბაზო გუნდ "პროიზენ კიოლნში" გამოვდიოდი.*

*საქართველოში ახლახან დავბრუნდი და აჩიკო დამიდგა გვერდში, 35-ე საფეხბურთო სკოლაში მიმიყვანა. ახლა სამწვრთნელო ან სამენეჯერო ლიცენზიის აღებაზე ვფიქრობ. ფეხბურთი მომენატრა და სხვა საქმე არ მინდა. თანაც დღემდე კარგი კავშირები მაქვს გერმანიაში, ჩემს ყოფილ მენეჯერთანაც, რომელიც "აუგსბურგთან" თანამშრომლობს, ეს გუნდი კი ბუნდესლიგაში გადავიდა"* – ამბობს იაგორაშვილი.

ვახტანგს ახლაც გული სწყდება, "მრეტები" რომ დაიშალა: *"ეს გუნდი ქართულ ფეხბურთს ძალიან დააკლდა და ისიც სანწყენია, იქიდან ფეხბურთში ბევრი რომ აღარ საქმიანობს. არადა, "მრეტები" რომ შენარჩუნებულიყო, დარწმუნებული ვარ, დღეს სხვა ფეხბურთი გვექნებოდა. "ქორთიარდში" ნანახითა და მოსმენილით გაოცებული დავრჩი. არ მეგონა, გარიგებები ასეთი მასშტაბისა თუ იყო. გერმანიაში მსაჯი ორი წლით ციხეში ჩასვეს და მთელი კორუფციული ქსელი გამოავლინეს, გვახსოვს იტალიური სკანდალიც. თუმცა, გამონაკლისებიც არ ვართ და ისეთ სურათსაც ნუ დავხატავთ, თითქოს გარიგებები მარტო საქართველოში ხდება. აქ ბევრი კარგიც კეთდება... ვფიქრობ, მაქსიმუმს აკეთებს ქეცბაია, სიჭინავამ ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა, თუნდაც ეროვნულის ბაზა".*

იაგორაშვილი საინტერესო ისტორიებს იხსენებს: *"მრეტებიდან" რეგიონალლიგის ბრაუნშვაიგის "აინტრახტში" წავედი და ორი სეზონი ვითამაშე. იქ ბევრი ცნობილი ფეხბურთელი დამხვდა: სერეი ფოკინი, რომელიც გელა კეტაშვილთან ერთად სეულის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა; საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი ლიდერები, ვიქტორ პასულკო და იგორ ბელანოვი. ეს უკანასკნელი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი და კიევის "დინამოში" თასების თასის მფლობელი იყო. მაგრამ იძულებული გახდა, კარიერა რეგიონული ლიგის გუნდში დაესრულებინა. საქმე ისაა, რომ მანამდე მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" თამაშობდა, სადაც მის ცოლს ქურდობა დაბრალდა. ბელანოვი არაფერ შუაში იყო, მაგრამ გუნდიდან წასვლა მოუხდა. ჩამოვიდა ბრაუნშვაიგში და მოედანზე გასვლისას 15 ათასი კაცი უსტვენდა. ველარ გაუძლო და წავიდა. მერე კი სცადა ჯეი-ლიგაში თამაში, მაგრამ ასაკმაც უნია და კარიერა დაასრულა".*

**მერაბ მამულაშვილი**

● ვიტ ჯორჯია

# მაისაშვილმა სეზონი დაასრულა

"გაგრასთან" ჩატარებული განმეორებითი სათასო ნახევარფინალური მატჩი "ვიტ ჯორჯიასთვის" ორმაგად სამწუხარო გამოდგა. გარდა იმისა, რომ ვეტერინარებმა პირველლიგელთან მეორე შეხვედრაც წააგეს და ფინალის მიღმა დარჩნენ, ტვინის შერყევის გამო **დავით მაისაშვილიც** გამოაკლდათ.

მაისაშვილი მატჩის მეორე ნახევარში თანაგუნდელ მეკარეს შეეჯახა და საავადმყოფოში გადასაყვანი შეიქნა. იმ დროისთვის "ვიტ ჯორჯიას" სამივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდა და მასპინძლებმა თამაში ათი კაცით ჩაამთავრეს.

ნახევარმცველი, რომელმაც "გაგრასთან" შეხვედრა ცენტრალური მცველის პოზიციაზე ჩაატარა, დაახლოებით ერთი თვე იუქმებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი დასრულებულია.

ამით "ვიტ ჯორჯიას" საკადრო პრობლემები კიდევ უფრო დამძიმდა. გახმაურებული სკანდალის გამო დასჯილი **გიგა ბეჭვაიას** გარდა, ვერ თამაშობს დაშავებული ცენტრალური მცველი **ლაშა კასრაძე**.

"ვიტ ჯორჯიას", რომელსაც დაცვის ცენტრში სერიოზული პრობლემები შეექმნა, საკმაოდ რთული კალენდარი დარჩა – ჩემპიონატის ბოლო სამ ტურში "ტორპედოსთან", "დინამოსა" და "ზესტაფონთან" შეხვედრები ელის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# გადადებული ტრიუმფი

ბოლო ტურის მიმოხილვა გვინდა შემოგთავაზოთ, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, თუ რამდენად „ლეგიტიმური“ შედეგები დაფიქსირდა ჩვენს ჩემპიონატში; კიდევ დიდხანს ვიქნებით „ეჭვის ტყვეობაში“: მთელი სეზონის განმავლობაში რომ „ვამტკიცებდით“, XXII ჩემპიონატი არანახულად საინტერესოდ, დაძაბულად და დამაინტრიგებლად მიმდინარეობს-თქო, თურმე უნიჭოდ დადგმულ „სპექტაკლებს“ ვადევნებდით თვალს! ისე, რაც მართალია, მართალია - ინტრიგა და დაძაბულობა ჩვენს ჩემპიონატს სეზონის სტარტიდან მოყოლებული არ მოჰკლებია; აი, ახლაც, სეზონის დასრულებამდე სამი ტურით ადრე ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი. ყოველ შემთხვევაში, სულ მცირე, ერთი კვირით გადაიდო ახალი ჩემპიონისა და იმ უიღბლო გუნდ(ებ)ის ვინაობის გარკვევა, რომლებიც მომავალ სეზონს პირველ ლიგაში გაატარებენ. არადა, იმის დიდი ალბათობაც იყო, რომ საქართველოს ახალი ჩემპიონი სწორედ გასულ ტურში გამოვლენილიყო; ამ ტიტულის უპირველეს და ურეალურეს კანდიდატ „ზესტაფონს“ ტრიუმფისათვის მხოლოდ და მხოლოდ ათი წუთი აშორებდა, მაგრამ „დინამომ“ მაინც შეძლო თავისი მატჩის შემობრუნება და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ მცირე ერთი კვირით მოცდა მოგვიწევს. ამ შემთხვევაში კი „ზესტაფონი“ საერთოდ არ იქნება დამოკიდებული სხვა მატჩების შედეგებზე: გია გეგუჩაძის გუნდი თავის შეხვედრის მოგების შემთხვევაში ერთადერთ კონკურენტ „დინამოსთვის“ მიუღწეველი რჩება. სხვათა შორის, საინტერესო სიტუაცია შეიქმნა: მომდევნო ტურში „ზესტაფონი“-„სამტრედიას“ მატჩია და მასპინძლები გამარჯვების შემთხვევაში ჩემპიონობას იზეიმებენ, სტუმრები კი დამარცხების შემთხვევაში „ოფიციალურად“ დაემშვიდობებიან უმაღლეს ლიგას.



კოლხეთი-ზესტაფონი 1:4

მამუკა ქანთარიას ფოტო

# იმერული სერიალები

„ზესტაფონისა“ და „ტორპედოს“ განმეორებით ნახევარფინალური მატჩი ხმაურიანი აღმოჩნდა, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც; ყველას კარგად მოეხსენება, რომ ორივე კლუბს საკმაოდ მკაცრი სანქციები დაეკისრა, მაგრამ „ზესტაფონმაც“ და „ტორპედომაც“ იმ მართლაც მძიმე სათასო პაექრობიდან სამი დღის მერე ჩატარებულ ჩემპიონატის მატჩებში, ფაქტობრივად, სრული რეაბილიტაცია მოახდინეს. „ზესტაფონზე“ უკვე ვთქვით და მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ **გია გეგუჩაძის** საჩემპიონოდ „მომართულმა“ გუნდმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვა. არც ის იყო პატარა ამბავი, რომ „ზესტაფონის“ მეტოქეც არანაკლებ მოტივირებული გახლდათ — „კოლხეთი“ ჯერ კიდევ სახიფათო ზონაშია, მაგრამ ატალახებულ მოედანზეც კი ნათლად იგრძნობოდა მოწინააღმდეგეებს შორის კლასში სხვაობა. „ზესტაფონის“ წაუგებელი სერია კი კვლავაც გრძელდება — გასული წლის 5 ნოემბერს რუსთავში „ოლიმპთან“ მარცხის მერე გუნდმა უკვე 19 შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად. ჰოდა, ვის და რატომ უნდა გაუკვირდეს ამ გუნდის ჩემპიონობა? მნიშვნელოვანი დეტალიც გვინდა აღვნიშნოთ: აქამდე გატანილი გოლებით თავიანთ ერთგულ ქომაგებს „ზესტაფონის“ ფორვარდები ანებივრებდნენ, ახლა კი მცველებისა და ნახევარმცველების ჯერი დადგა. შეგახსენებთ, რომ „კოლხეთთან“ მატჩში თავი გამოიჩინეს: 31 წლის **თორნიკე აფციაურმა**, 23 წლის **თორნიკე გორგიაშვილმა**, 22 წლის **ბუბა დაუშვილმა** (სამივე — ნახევარმცველია) და 18 წლის **მამუკა კობახიძემ** (მცველი). სხვათა შორის, კობახიძისთვის ეს გოლი უმაღლეს ლიგაში სადებიუტო იყო.

„ზესტაფონს“ არც „ტორპედო“ ჩამორჩა: **გია გიგატაძის** გუნდი წინა თვეში „აკრეფილ ტემპს“ წარმატებით აგრძელებს და ჩემპიონატში უკვე მერვე შეხვედრა ჩაატარა წაუგებლად. თანაც, „ტორპედომ“ ამ სეზონის საკლუბო რეკორდიც დაამყარა: აქამდე ჩატარებულ 32 მატჩში გუნდს ორზე მეტი გოლი არც ერთხელ არ გაუტანია, ახლა კი ერთდროულად ოთხი ბურთი გაიტანა! ჰო, მართლაც უცნაური ფაქტი მოხდა: აქამდე სტუმრად ჩატარებულ 16 შეხვედრაში გუნდს 10 გოლი ჰქონდა გატანილი, კვირას კი მართლაც ჩინებული შედეგიანობით ყველა გააოცა...




ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდი ფინიში

თითქმის თვენახევრიანი პაუზის მერე ჩემპიონატში ჰეთ-თრიკიც ვნახეთ: „ტორპედოს“ 31 წლის თავდამსხმელმა **რევაზ გოცირიძემ** ყოფილი კლუბის კარში სამი გოლი გაიტანა! შეგახსენებთ, რომ ამ ჩემპიონატში მსგავსი ფაქტი მხოლოდ ოთხჯერ დაფიქსირდა: მეტოქეთა კარში ჰეთ-თრიკი **ნიკოლოზ გელაშვილმა** (ორჯერ), **ირაკლი მოდებაძემ** და **ზვიად მეტრეველმა** შეასრულეს. თუმცა, გოცირიძის შემთხვევა „განსაკუთრებულია“: სხვა ჰეთ-თრიკებისგა“ განსხვავებით, გოცირიძემ სამი გოლის გატანა სტუმრად შეძლო. სხვათა შორის, გოცირიძე პირველ ეტაპზე „სიონში“ თამაშობდა და 14 მატჩში მხოლოდ 2 გოლის გატანა მოახერხა; ზამთრის პაუზის შემდეგ ეს გამოცდილი ფორვარდი „ტორპედოში“ გადავიდა, მაგრამ ვერც დიდი შედეგიანობითაც დაიკვეხნიდა და ძირითადშიც არ უწევდა ხშირად თამაში (აქამდე 6 მატჩში 1 გოლი ჰქონდა გატანილი); აი, ახლა კი, მართლაც ჩინებული შედეგი უჩვენა, ისე როგორც მისმა ახალგაზრდა კოლეგამ, „ბაიას“ 21 წლის თავდამსხმელმა **ირაკლი ეხვაიამ,** აწ უკვე ექსჩემპიონის „ოლიმპის“ კარში ორი გოლი რომ გაიტანა. სხვათა შორის, ამ მატჩში ორივე გუნდს ნამყვან ფეხბურთელთა ჯგუფი აკლდა, თუმცა ამით სულაც არ გვინდა მასპინძელთა წარმატების დაკნინება. მით უფრო, ამ გამარჯვებით **ელგუჯა ქომეთიანის** გუნდმა ნავსიც გატეხა და „ოლიმპს“ პირველად მოუგო; თუმცა, ზუგდიდელთათვის უფრო მნიშვნელოვანი ის ფაქტი იქნებოდა, რომ ამ სამი ქულით „ბაიამ“ უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნა და მშვიდზე მშვიდი ფინიშიც გაინაღდა.

დაბოლოს, ის ფეხბურთელებიც გვინდა აღვნიშნოთ, სეზონში პირველი გოლი რომ გაიტანეს: 27 წლის **შოთა ლომია** („ბაია“), 22 წლის **გულვერდ თომაშვილი** („დინამო“) და 23 წლის **დავით ხურცილავა** („ვიტ ჯორჯია“).

გვერდი მოამზადა
**გია ტუხაშვილმა**

# სარეკორდო და, ალბათ, არასაეჭვოდ...

დარჩენილ სამ ტურში ერთიმეორეზე საინტერესო მატჩები რომ ვნახოთ, ასევე ერთიმეორეზე ეფექტური გოლებიც გავიდეს, ცალკეულმა მოთამაშეებმაც გაიბრწყინონ თუ ლამაზი კომბინაციებითაც გაგვანებივრონ, მაინც... „ეჭვის ტყვეობაში“ ვიქნებით; ჰო, ასე „ადვილად“ ვერ გამოვალთ იმ შოკიდან, წინა კვირას რომ მივიღეთ: თურმე, ლამის ყოველ მეორე-მესამე მატჩში გარკვეული მანიპულაციები ხდებოდა! თუმცა, ჩემპიონატი გრძელდება და მთლად „დაუნახაობაც“ არ შეიძლება: გასულ ტურში ხომ სეზონის რეკორდი დამყარდა! შედეგიანობას ვგულისხმობთ: ხუთ შეხვედრაში 19 გოლი გავიდა, რაც სეზონის საუკეთესო მაჩვენებელია. სხვათა შორის, აქამდე სარეკორდო შედეგი წინა ტურში დაფიქსირდა (17 გოლი), ეს კი იმის მანიშნებელია, რომ სეზონის ბოლოსკენ ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელები „საგოლე მადაზე“ მოვიდნენ. რაც ყველაზე მთავარია, ასეთმა შედეგიანობამ, წესითა და რიგით, არავინ უნდა დააეჭვოს: არც ერთი შედეგი არ წააგავდა მანიპულირებულს და არც ცალკეულ ფეხბურთელს გაუტანია „საეჭვოდ ბევრი“ გოლი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობის არც ერთ კანდიდატს გასულ ტურში გოლი არ გაუტანია...

## I ლიგა, XXX ტური

| | |
|---|---|
| მერცხალი-ჩიხურა | 1:1 |
| ადელი-ბათუმი | 1:0 |
| კოლხეთი (ხ)-გურია | 1:1 |
| სამგურალი-იმერეთი | 2:3 |
| ჩხერიმელა-ნ. დინამო | 1:1 |
| ლოკომოტივი-ჭიათურა | 3:1 |
| დილა-სძური | 2:0 |
| გაგრა-მარტვილი | 3:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 28 | 21 | 5 | 2 | 67-16 | 68 |
| 2. მარტვილი | 29 | 19 | 7 | 3 | 53-15 | 64 |
| 3. დილა | 29 | 17 | 9 | 3 | 52-21 | 60 |
| 4. ჩიხურა | 28 | 17 | 5 | 6 | 52-24 | 56 |
| 5. ბათუმი | 28 | 15 | 8 | 5 | 57-15 | 53 |
| 6. კოლხეთი (ხ) | 28 | 11 | 10 | 7 | 26-29 | 43 |
| 7. გურია | 29 | 13 | 4 | 12 | 49-55 | 43 |
| 8. ჩხერიმელა | 28 | 7 | 12 | 9 | 34-40 | 33 |
| 9. მეშახტე | 28 | 9 | 5 | 14 | 30-40 | 32 |
| 10. იმერეთი | 28 | 9 | 4 | 15 | 30-38 | 31 |
| 11. ნ/დინამო | 28 | 9 | 4 | 15 | 35-52 | 31 |
| 12. მერცხალი | 29 | 8 | 7 | 14 | 40-61 | 31 |
| 13. ლოკომოტივი | 28 | 7 | 6 | 15 | 29-42 | 27 |
| 14. ადელი | 28 | 8 | 2 | 18 | 32-50 | 26 |
| 15. სამგურალი | 28 | 7 | 5 | 16 | 33-55 | 26 |
| 16. ჭიათურა | 28 | 6 | 5 | 17 | 24-64 | 23 |
| 17. სძური | 28 | 6 | 4 | 18 | 24-50 | 22 |



ექსკლუზივი | წერილი მესამეტე

# მოგონებები ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობაზე

**დასაწყისი 15 თებერვლის ნომერში**



ყრილობის მომწყობმა საორგანიზაციო კომიტეტმა დღის წესრიგი შეიმუშავა: 1. ფეხბურთის ფედერაციის წესდების დამტკიცება; 2. ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა; 3. გენერალური მდივნის და ვიცე-პრეზიდენტების დამტკიცება; 4. საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარის არჩევა. მხოლოდ ბოლო, მეხუთე იყო ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი. დღის წესრიგში საკითხთა ასეთი თანმიმდევრობა ჩვენთვის მიუღებელი იყო და არც ლოგიკური ჩანდა, მაგრამ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე არ გავმართეთ კამათი. ყრილობის მანდატების განაწილებისას პრობლემა შეგვექმნა. ახალკაცი მანდატის გარეშე ყრილობაზე ვერ მოხვდებოდა, ჩვენ კი არ გვინდოდა, რომ მისთვის ჩვენ მოგვეთხოვა მანდატი, ველოდებოდით, იქნებ ვინმეს გახსენებოდა ნოდარ ახალკაცი. გოგი დემეტრაძემ გვიშველა, მანდატების განაწილებისას კითხვა დასვა, ნოდარ ახალკაცი არ უნდა დაესწროს ყრილობასო? მახსოვს, კახი ასათიანმა თვითონ შეავსო მანდატი და გადასცა გოგი დემეტრაძეს.

14 თებერვალს მე და ლევან ტატიშვილი ჭადრაკის სასახლეში მივედით. უნდა დაგვეგეგმა ყველაფერი, თუ როგორ წაგვეყვანა მეორე დღეს ყრილობა. ვითათბირეთ და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დანიშნულ ყრილობის ორ თავმჯდომარეს უნდა დამატებოდა მესამეც, „ჩვენი კაცი". საორგანიზაციო კომიტეტის მიერ თავმჯდომარეებად დანიშნულნი იყვნენ დავით კვინიკაძე და ომარ გოგიაშვილი. მესამე თავმჯდომარის, ანუ ჩემი კანდიდატურა იყო ავთანდილ იმნაძე. გვჭირდებოდა ეროვნული შინდისფერი დროშა, რომელიც ოპერაში მეგულებოდა. ნაშოვნი გვქონდა ეროვნული ჰიმნის „დიდების" და სიმღერის „ჩემო კარგო ქვეყანავ" აუდიოჩანაწერები, რომელთა აჟღერება განზრახული იყო ყრილობაზე. გადავწყვიტეთ, ყრილობაზე გვეჩვენებინა ალექსანდრე ჟღენტის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „საჭიროა თუ არა სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში?" ყოველივე ამის შედეგად იმედი გვქონდა, რომ ყრილობის დელეგატების უმრავლესობაში პატრიოტული გრძნობა გაიღვიძებდა. დამატებით, ჩვენი შეუპოვარი ბრძოლით უნდა დაგვენახვებინა ხალხისთვის, რომ გვჯერა გამარჯვებისა და უკან არ დავიხევთ. ვიმედოვნებდით, რომ ქართველები გადამწყვეტ მომენტში სწორ გადაწყვეტილებას დაუჭერდნენ მხარს. მახსენდებოდა სპორტულ ასპარეზობებზე ჩვენი ხალხის ერთსულოვნების მაგალითები. არაერთხელ მინახავს, გულშემატკივრობისას ქართველები უცებ ერთი აზრის თუ განწყობის გარშემო როგორ ერთიანდებოდნენ და მონოლითურ ძალად იქცეოდნენ. მახსენდებოდა, რუსეთის გუნდების თბილისში გამართულ ევროთასების მატჩებზე ქართველები საბჭოთა გუნდის მოწინააღმდეგეს რომ ქომაგობდნენ. თითქოს სრულიად საწინააღმდეგო მაგალითს ვიხსენებ, მაგრამ აქაც კოლექტიურ ერთსულოვნებასთან გვქონდა საქმე. 1989 წლის დეკემბერში თბილისის სპორტის სასახლეში, მიხეილ მესხის პრიზის გათამაშებაზე, როდესაც დიქტორმა მოსკოვის „ტორპედოს" შემადგენლობაში ედუარდ სტრელცოვი გამოაცხადა, მთელი სპორტის სასახლე ფეხზე წამოდგა და რამდენიმე წუთი ტაშს უკრავდა. ქართველებმა ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე უცებ მივიღეთ საერთო გადაწყვეტილება და უდიდესი სიყვარული და პატივისცემა გამოვუხატეთ დიდ ფეხბურთელს. სტრელცოვმა პრესაში განაცხადა, რომ ასეთი სიყვარული ხალხისგან, მას არსად უგრძვნია, თვით რუსეთშიც კი...

გამახსენდა ერთი, მთლად გასაოცარი, ცოტა ფანტასტიკის სფეროს რომ მიეკუთვნება, ისეთი ფაქტიც, რომელიც ასევე თბილისის სპორტის სასახლეში მოხდა. საბჭოთა კავშირის საკალათბურთო ჩემპიონატის ლიდერთა ექვსეულის ერთ-ერთი ტური თბილისში ჩატარდა. იმ წელს ჩემპიონობისთვის მოსკოველი არმიელები და კაუნასის „ჟალგირისი" იბრძოდნენ. გადამწყვეტ მატჩში პირველი ტაიმი არმიელებმა 21 ქულით მოიგეს და თითქოს შეხვედრის ბედი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მეორე ტაიმში, ხალხით, სავსე სპორტის სასახლე აგუგუნდა - „ჟალგირის" „ჟალგირის". არმიელებს კი, როგორ[illegible]

უყვიროდნენ. ჩვენი მხურვალე მხარდაჭერით შეგულიანებულმა ლიტველებმა შეუძლებელი შეძლეს. „ამოქაჩეს" 21 ქულა და საბოლოოდ 1 ქულით მოიგეს მატჩი. ამ თამაშიდან დაახლოებით სამი თვის შემდეგ ვილნიუსში ჩვენი „დინამოს" მატჩის რეპორტაჟის წასაყვანად ჩავედი. სპორტულ რედაქციაში რომ შევედი, გაოცებული დავრჩი, ყველანი წამოდგნენ, მოვიდნენ, ხელი ჩამომართვეს და მადლობა გადამიხადეს. რაც თქვენ თბილისში გააკეთეთ, ჩვენს კალათბურთელებს რომ უქომაგეთ და გაამარჯვებინეთ, ჩვენ გაგვიჭირდებოდა მაგის გაკეთება. თამაშის მეორე დღეს კალათბურთზე იმდენს არ ლაპარაკობდნენ ლიტველები, რამდენსაც ქართველების გულშემატკივრობაზეო...

დროშა, ჰიმნები, თანათავმჯდომარე, ფილმის ჩვენება, ეს ყველაფერი მოგვარებული იყო, მაგრამ უმთავრესი მაინც გამომსვლელთა რაოდენობა და ხარისხი იყო. როდესაც გამომსვლელებზე ვსაუბრობდით, ლევან ტატიშვილმა მოიფიქრა, ჩემი აზრით, შესანიშნავი სვლა. უნდა შევცვალოთ ყრილობის დღის წესრიგში საკითხთა თანმიმდევრობა. პირველ საკითხად უნდა გადმოვიტანოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხი და ამ საკითხზე გამარჯვებით, ფაქტობრივად, მოვიგებთ ყრილობას, პრეზიდენტიც ჩვენი იქნება და პრეზიდიუმიც. როგორც შემდეგ ლევანმა თქვა, ასეთი მოსაზრება მას წინა დღეს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთმა მომხრემ მიაწოდა. ჩვენი გამომსვლელების სია გადავამოწმეთ და ოპტიმისტურად განწყობილი დავშორდით ერთმანეთს.

იმ საღამოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მელოდა. დავით კვინიკაძე, ჩემი ძმა გურამი და მე გვიან ღამით, დაახლოებით 23 საათზე ნოდარ ახალკაცთან მივედით. მასპინძელი უხასიათოდ დაგვხვდა. ბატონო ნოდარ, რაშია საქმე, რამე ცუდი ხომ არ შეგემთხვათ-მეთქი, ვკითხე მე. მცირე პაუზის შემდეგ მიპასუხა — ხვალინდელ დღეზე ვფიქრობ, ამ საქმიდან არაფერი გამოვა, ვერ მოვასწრებთ მომზადებას, ვერ ჩავატარებთ ეროვნულ ჩემპიონატსო. რა? გავოცდი მე. ერთი თვეა, ხვალინდელი დღისთვის ვემზადებით, თქვენც ოპტიმისტურად იყავით განწყობილი და ახლა რა შეიცვალა, რა შეიტყვეთ ისეთი, რომ ამ დასკვნამდე მიხვედით? კარგად რომ დავფიქრდი, მივხვდი, ვერ ჩავატარებთ წელს ეროვნულ ჩემპიონატსო. მაშინ ამიხსენით, რისთვის გაძლევთ ხმებს, რა განსხვავებაა თქვენსა და კახი ასათიანს შორის-მეთქი. მე ყრილობის რეზოლუციაში ჩავაწერინებ, რომ გაისად ყველა გუნდი, ჩვენი საუკეთესო ხუთი გუნდის ჩათვლით, ითამაშებს ეროვნულ ჩემპიონატშიო. ამას კახი ასათიანიც ასე ამბობს-მეთქი. რასაც ახლა ლაპარაკობთ, რატომ ადრე არ განაცხადეთ, ახლა ფაქტის წინაშე რომ დამაყენეთ, თანაც ცაიტნოტში. ეს ადრე რომ მცოდნოდა, სხვა გზას დავადგებოდი. მცირე პაუზის შემდეგ გავაგრძელე, ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, ხვალ ყრილობაზე ეროვნული ჩემპიონატის საკითხს მოვიგებთ. თქვენ პრეზიდენტობას გთავაზობდით, არ გინდათ? როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით. ჩვენ სხვა გამოსავალი აღარ გვრჩება, ხვალ ჩემს კანდიდატურს დავაყენებთ პრეზიდენტობაზე და ვიბრძოლებთ. ცივად დავემშვიდობეთ და წამოვედით. მე და გურამმა ჩემთან სახლში გავაანალიზეთ მდგომარეობა. ჩემი აზრით, ნოდარ ახალკაცს, ისევე როგორც საფეხბურთო სამყაროს უამრავ წარმომადგენელს, დაუჯერებლად ეჩვენებოდა ჩვენი გამარჯვება და ხვდებოდა რა, რომ ამ ბრძოლაში დამარცხება უფრო მოსალოდნელი იყო, გადაწყვიტა გაცლოდა. ყრილობაზე მოვიდოდა და, თუ მოვახდენდით სასწაულს და მართლაც გავიმარჯვებდით ეროვნული ჩემპიონატის მომხრეები, მაშინ ყრილობის დასკვნით ნაწილში ტრიბუნაზე გამოვიდოდა და შეეცდებოდა, საპრეზიდენტო სიტყვა ეთქვა. იმ შემთხვევაში, თუ ყრილობას საკავშირო ჩემპიონატის მომხრეები მოიგებდნენ, ის ისე წავიდოდა ყრილობიდან, როგორც მოვიდა — ხმასაც არ ამოიღებდა, სიტყვითაც არ გამოვიდოდა. მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, ახალკაცმა სწორად გათვალა, ყრილობის დასაწყისში, როდესაც ხალხმა არაერთხელ ითხოვა მისი სიტყვით გამოსვლა, ის უარობდა, არ ებმეოდა ბრძოლაში. ყრილობა ეროვნული ჩემპიონატის მომხრეებმა, ასი პროცენტით რომ თითქმის უკვე მოვიგეთ, მხოლოდ მაშინ გამოვიდა სიტყვით. მკითხველისთვის მიმინდვია ნოდარ ახალკაცის ქმედების შეფასება. მე კი ამ ამბავმა იმაში დამარწმუნა, რომ ახალკაცისთვის ეროვნული ჩემპიონატი და ჩვენი ფეხბურთის დამოუკიდებლობა, განსხვავებით ბევრი ჩვენგანისგან, სასიცოცხლო მნიშვნელობისა არ იყო, რათა მისთვის ებრძოლა.

**ზურაბ პეტრიაშვილი**

*გაგრძელება ხუთშაბათობით*

ლიგა 1. XXXIV-ე ტური. გამოხმაურება

LIGUE 1

# თამამი ფინიში ოქროზე

## ტურის მატჩი

ტურის უმთავრესი დაპირისპირება ამავდროულად მისი მშვენება და დამაგვირგვინებელი აკორდი აღმოჩნდა. „ლიონმა" „სტად დე ჟერლანზე" მოქმედ ჩემპიონს უმასპინძლა და სამი გატანილის ნაცვლად ორი გოლი მიიღო საკუთარ კარში. თამაში იმდენად დაძაბული იყო და იმდენად საინტერესო საყურებელი გამოდგა, რომ გულწრფელად შეიძლება მის მონაწილეებს კომპლიმენტები მივუძღვნათ. ამჯერად ჩვენს ქვეყანაში ლიგა 1-ის ეს დაპირისპირება პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და იმედია, აუდიტორია დაგვემოწმება, რომ ჩვენ არაფერს ვაჭარბებთ. ორივე მხარე ძალიან მონდომებული იყო და წინასწარ გამარჯვებულის ვინაობა ძნელი გამოსაცნობი იყო. საბოლოოდ მშობლიური სტადიონის ჟრიამულმა "ლიონს" მეტი ძალა შემატა.

პირველ ტაიმში "ლიონმა" ერთი გოლი გაიტანა, თანაც მატჩს ძირითადად ის აკონტროლებდა და ალბათ ვიღაცამ იფიქრა კიდეც, რომ მასპინძელი ფავორიტის სტატუსს ამართლებდა. მეორე ნახევარში სტუმრებს არტახები ოდნავ მოუშვეს, რადგან **კლოდ პიუელის** ბიჭები უფრო მეტს ფიქრობდნენ კარის უსაფრთხოებაზე, ვიდრე პირველ ნახევარში. ამის მიუხედავად "დე ჟერლანი" მთლად გადაირია, როცა მეორე გოლიც იხილა სტუმართა კარში. ჯერ კიდევ ჩემპიონებმა ამის მერელა გამოიღეს ხელი და სულ რაღაც 7 წუთის ინტერვალში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. საინტერესო მოვლენები ამით არ ამოწურულა – მატჩს საბოლოო წერტილი **კრისმა** დაუსვა, როცა ფანტასტიკური დარტყმით შეძლო მისი გუნდისთვის აგრერიგად საჭირო სამი ქულის მოპოვება.



ჟან ტიგანამ ქუდი დაიხურა და ბორდოდან წავიდა

## ტურის გმირი

თამამად ვიტყვით, რომ ტურის გმირის სახელი და გვარი ჩვენს მკითხველს არაფერს ეუბნება. გაოცებისგან ალბათ ფრანგ ჟურნალისტებსაც ყბა ჩამოუვარდებოდათ, როცა "მონაკოს" სათადარიგო მეკარის, 32 წლის **სებასტიან შაბერის** ასპარეზობა იხილეს. მუსიე სებატიანის კარიერაზე ვერაფრით ვიტყვით, რომ შთამბეჭდავია - "კაენის", "ამიენისა" და "შარლერუას" ყოფილ კარის დარაჯს ლიგა 1-ში სულ თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობის მატჩი აქვს ჩატარებული. წელს მან "მონაკოს" შემადგენლობაში მეორედ ითამაშა და პირველად ძირითადში. წარმოიდგინეთ, რომ ამ ადამიანმა ისეთი ბურთები აიღო "პარი სენ-ჟერმენთან" შეხვედრაში, რომ... თუმცა, ჯობს, ეს თავად იხილოთ. მით უფრო, რომ 21-ე საუკუნე და ინტერნეტი ამის საშუალებას იძლევა. ჩვენი მხრივ უბრალოდ გირჩევთ ამის გაკეთებას.

## ტურის სიმბოლური ნაკრები:

**შაბერი** (მონაკო) – **ბოლი** (ოსერი), **პერკი** (სოშო), **პიგრენიე** (მონაკო), **კრისი** (ლიონი) – **მარტენი** (სოშო), **აზარი** (ლილი), **ლ. გონსალესი** (მარსელი) – **ერდინგი** (პსჟ), **იდეიე** (სოშო), **დელგადო** (ლიონი)

## ტურის მოვლენები

უმთავრესი, რაც 34-ე ტურმა გაარკვია, არის ის, რომ **ლასლო ბოლონის** "ლანსი" მომავალ ტურში ალბათ 99%-ით გაიფორმებს ლიგა 2-ის საგზურს. რაც შეეხება ლიდერთა ჯგუფს, სტად "დე ჟერლანის" მატჩმა ცხრილში როგორც არასდროს ისეთი სიცხადე შეიტანა. 4 ტურით ადრე 4-ქულიანი უპირატესობა "ლილს" ჩემპიონობის ულაპარაკო ფავორიტად აქცევს, თუმცა არ დაგვავიწყდეს, რომ "ძალლებს" "სენტ ეტიენსა" და პსჟ-თან ურთულესი გასვლითი შეხვედრები ელით. თუმცა მათი ბედი მათ ხელშივე რომ არის, ეს ფაქტია. წაგებამ "მარსელს" მეორე ადგილიც სათუო გაუხადა. ჩემპიონატის ვერცხლის ხელში ჩაგდება და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრა შეუძლია "ლიონსაც". თავის მხრივ პსჟ-ს მესამე ადგილისთვის ბრძოლის შანსი ჯერ კიდევ აქვს. მოკლედ, ფავორიტები გამოიკვეთნენ, თუმცა გარკვევით ჯერ არაფერი გარკვეულა.

შეუძლებელია ტურის მოვლენებში არ დავასახელოთ ის, რომ როგორც იქნა მრავალტანჯულ "ოსერს" ბედმა გაუღიმა. "მონპელიესთან" შეხვედრაში მასპინძლებმა მათ მიერ შექმნილი ერთადერთი მწვავე მომენტი გამოიყენეს, ისიც "მონპელიეს" მცველის გულუბრყვილო შეცდომის წყალობით. მაშინ, როცა სტუმრებმა რამდენიმე მშვენიერი მომენტი გაატანეს ქარს. "ოსერის" ფანების სიხარულს საზღვარი არ აქვს, რადგან ასეთი გამარჯვების გადაფასება ჭეშმარიტად წარმოუდგენელია - რამდენიც უნდა ვწეროთ ამაზე, მაინც ცოტა იქნება.

ტურის ჩავარდნა, ტურის წარუმატებლობა, ტურის ანტიგმირი, ტურის შერცხვენა და თავის მოჭრა – რომელიც გნებავთ ის სათაური მოუხდებოდა იმას, რაც "ბორდომ" "სოშოსთან" ჩაიდინა. ლაპარაკი აღარ არის იმაზე, რომ გუნდმა თუნდაც ევროპის ლიგისთვის ბრძოლა წააგო (ჩემპიონთა ლიგაზე ლაპარაკი ზედმეტია), აქ უკვე შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ "ბორდომ" საკუთარი თავმოყვარეობისთვის ომიც ულაპარაკოდ დათმო. ის, რომ "მეფე შიშველია", ჩვენზე უკეთ **ჟან ტიგანამ** იგრძნო და, რა თქმა უნდა, გადადგა და, რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელობას გამოცდილი სპეციალისტისთვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევია. 21 წუთში გაშვებული 4 გოლის სხვანაირად შეფასება (ზემოთ თქმულისა არ იყოს, ამის გადაფასება), მართლა შეუძლებელია.

"კაენმა" და "ლანსმა" ერთმანეთს თითო გოლი გაუტანეს, მაგრამ ასე რომ მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ უილბლობის დამსახურებაა. ისე, რამდენად შეიძლება "ლანსის" მიერ საგოლე მომენტების გამოუყენებლობა ბედს დაბრალდეს, ცალკე თემაა. ლიგა 1-ის გულშემატკივარს მოეხსენება, რომ ასე გრძელდება უკვე მთელი სეზონია და ამიტომაც არის, მომავალ წელს ისინი ქვედა ლიგაში რომ შეხვდებიან. მაგრამ ამჯერად "ლანსს" არც მასპინძელი ჩამორჩა. მაგალითად **რომაინ ჰამუმამ** ორჯერ ისეთი თავური ააცილა, რომ ალბათ ორჯერვე ძალიან მოინდომა.

## ტურის ციფრები

"არლმა" სახელი მხოლოდ იმით კი არ დაიგდო, რომ ლიგა 1-ის ისტორიაში ყველაზე სუსტი მონაწილეა, არამედ იმითაც, რომ ცდილობს, ყველაზე ბინძური გუნდის სახელიც მოიპოვოს. აუტსაიდერებს ნერვები ღალატობთ თუ რას დავაბრალოთ, არ ვიცით, მაგრამ რვა წითელი ბარათი ერთ სეზონში წარმოსახვის ზღვარსაც სცდება. თანაც ზედიზედ მესამე შეხვედრაა, თითქოს პირი შეკრესო, გუნდი შეხვედრას კაცნაკლული ამთავრებს. **დიანბობო ბალდე** (ორჯერ), **ფაბიენ ლორენტი, ბაკარი სორო, ჟამელ იდირი, სებასტიენ პიოსელი** და **ემანუელ კორეზე** - აი, "წითელი არმიის" კავალერთა სრული სია. თუმცა ეს არ არის ყველაფერი. წინ 4 ტურია და კიდევ ბევრი რამის მოსწრება შეიძლება. რა უნდა ითქვას კიდევ ამ გუნდზე? ოოო, ლამის დაგვავიწყდა, უკვე 22 ტურია, არ მოუგია, რაც ბუნებრივია, ლიგა 1-ის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ასეთი სერიაა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

გამოხმაურება

# ჩელსი მორჩა, გაუმარჯოს იუნაიტედს!

## გახსოვდეთ დივონ ლოხი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა**, ფანებს კარს მომდგარი ჩემპიონობა მიულოცა — „ბლექბერნსა“ და „ბლექპულთან“ დარჩენილ შეხვედრებში „იუნაიტედს“ ერთი ქულის მოპოვებაღა სჭირდება, რათა ოფიციალურად გახდეს ინგლისის ყველაზე ტიტულიანი გუნდი. მანჩესტერელთათვის ეს მე-19 ჩემპიონობა იქნება და ისინი „ლივერპულს“ გადაასწრებენ.

„ჩელსისთან“ შეხვედრაში, „იუნაიტედი“ დაწყებისთანავე დაწინაურდა — **ხავიერ ერნანდესმა**, იმავე **ჩიჩარიტომ**, პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში. 22 წლის მექსიკელისთვის, ყველა შეჯიბრებაში ერთად, ეს უკვე სეზონის მე-20 გოლი გახლდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ვარსკვლავს ახალ გუნდში... მეტიც, ახალ ქვეყანაში - თავი დავანებოთ იმას, რომ ეს ახალი ქვეყანა სხვა კონტინენტზე მდებარეობს და იქ მისთვის ჩვეული ლათინური მენტალიტეტისგან განსხვავებული მენტალიტეტი და ცხოვრების წესია - საუცხოო დებიუტი ჰქონდა. მეორე გოლი მანჩესტერელებმა პირველი ტაიმის ბოლოს, 38-ე წუთზე გაიტანეს — თავურით **ნემანია ვიდიჩმა** შეაგდო. „ჩელსიმ“ მასპინძლებს ერთადერთი პასუხი გასცა. ეს გახლდათ 68-ე წუთზე **ფრენკ ლემპარდის** მიერ გატანილი გოლი, რომელმაც ვერაფერი შეცვალა.

მატჩის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა, რომ მდაბლად უკრავს თავს გულშემატკივარს, რომლის ღვაწლი გუნდის წარმატებაში ძალიან დიდია.

*„დღევანდელი გამარჯვება ხალხს ეძღვნება. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენ მაყურებლის მხარდაჭერა გვჭირდებოდა და მანაც არ დააყოვნა. დღეს ჩვენი გულშემატკივარი დიდებული იყო. ვიცი, დღეს ტრიბუნაზე ძალიან ბევრი ადამიანი ფრჩხილებს იკვნეტდა და ინფარქტის საშიშროების წინაშე იდგა. მე მათი მესმის, თავად ერთი მათგანი ვიყავი.*

*ახლა, „ბლექბერნსა“ და „ბლექპულთან“ დაგვრჩა სათამაშო. მეტოქეებს ყოველთვის პატივს ვცემ და იმედია სხვანაირად არც ახლა ჩამომართმევთ, მაგრამ სეზონის დასაწყისში ვინმეს რომ ეთქვა, რომ ბოლო ორ შეხვედრაში ერთი ქულის მოპოვებაღა დაგჭირდებაო, სიხარულით ჩამოვართმევდი ხელს“.*

კიდევ, ფერგიუსონმა აღნიშნა, რომ შეხვედრის ერთ მონაკვეთში მისმა ფეხბურთელებმა „ჩელსის“ კინაღამ გამოცოცხლებისა და გადარჩენის შანსი მისცეს. არადა, მეტწილად მანჩესტერელთა უპირატესობა შთამბეჭდავი იყო.

*„იმ ეპიზოდებში, როდესაც მეტოქეს სახიფათოდ შეტევის საშუალებას ვაძლევდით, რასაკვირველია, ნერვიულობა მატულობდა, მაგრამ გულშემატკივარი ძალიან გვეხმარებოდა. რაც მთავარია, ჩვენ მთელი შეხვედრის განმავლობაში ვქმნიდით საგოლე მომენტებს. მარტო მეორე ტაიმში შეგვეძლო ექვსი გოლის გატანა... მარტო რუნის შეეძლო ექვსი გოლის გატანა. თუმცა, უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს, ჩვენ დიდებულად ვითამაშეთ. რთულ მატჩს ველოდით და რთული მატჩი მივიღეთ კიდეც. საბედნიეროდ, თავიდანვე დავწინაურდით“.*

სერ ალექსმა თავის ფეხბურთელთაგან ორი გამოყო - ყველაზე ასაკოვანი და ახალგაზრდა. ახალგაზრდა, ალბათ, მიხვდით, ერნანდესია, ასაკოვანი კი 37 წლის **რაიან გიგზი**.

*„გიგზი კვლავ უნაკლო იყო. ამას წლეულს უკვე მერამდენედ ვამბობ. თუმცა, ის, ფიზიკურად იმდენად კარგ ფორმაშია, რომ, ვატყობ, მომდევნო სეზონებშიც მომიწევს*



ხავიერ ერნანდესი

*ამ სიტყვების გამეორება. ერნანდესმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ბიჭი მზად არის ყოველდღე უკეთ და უკეთ ისწავლოს ფეხბურთის თამაში და ამიტომაც, მის წინაშე უდიდესი პერსპექტივა იშლება. ჩიჩარიტო „მანჩესტერ იუნაიტედში“ პირველად რომ ვარჯიშობდა, პოლ სქოულზმა შეხედა და მითხრა, ეს ამ სეზონში 25 გოლს გაიტანსო“.* ცხენოსნობის თავგადაკლულმა ფანმა, ფერგიუსონმა, თქვა, რომ ახლა, „მანჩესტერ იუნაიტედს“ ტიტულის მოპოვებაში ხელს მხოლოდ „დივონ ლოხის“ ტიპის შეცდომა თუ შეუშლის. „დივონ ლოხი“ ლეგენდარული ცხენი გახლდათ, რომელიც დედოფალ ელიზაბეტს ეკუთვნოდა, მაგრამ შეცდომა ხომ ყველას მოსდის — 1956 წელს, ერთ-ერთ უდიდეს დოღზე „დივონ ლოხმა“ იმიტომ წააგო, რომ... ბოლონამს, ფინიშის ხაზის გადაკვეთის ნაცვლად არარსებულ წინააღმდეგობას გადაახტა და წამები დაკარგა.

*„თუმცა, „დივონ ლოხის“ ამბავს ნურც გამახსენებთ. მას მამაჩემი გულშემატკივრობდა და კინაღამ ინფარქტი მოუვიდა“* — იხუმრა შოტლანდიელმა.

## დავიდ ლუიზის შესახებ

დამარცხებულთა თავკაცმა, **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა, რომ ტიტული უკვე „მანჩესტერ იუნაიტედისაა“, ინგლისურ გაზეთებში კი დაიწერა, რომ იტალიელის დასავლეთ ლონდონში დარჩენა სათუოა.

*„იმედი მაქვს, რომ მომავალ სეზონში „ჩელსის“ კვლავ მე ვუხელმძღვანელებ, მაგრამ ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული, - თქვა ანჩელოტიმ, - თუმცა, ამის გასაგებად დიდი დროც არ დაგვრჩა. ორ კვირაში ინგლისის ჩემპიონატი მთავრდება. ნამდვილად არ ვიცი, რას ფიქრობს ახლა უკვე გასულ სეზონზე ჩვენი მეპატრონე. პირადად მე ვფიქრობ, რომ უკეთაც შეგვეძლო. რატომ ვერ გავაკეთეთ ის, რაც შეგვეძლო? ამის ახსნას დიდი დრო უნდა. სეზონი რომ დამთავრდება, დიდ კრებას მოვიწვევ და ყველაფერზე იქ ვილაპარაკებ.*

*ჩემპიონი კი „მანჩესტერ იუნაიტედია“. ამ გუნდმა ტიტული ღირსეულად მოიპოვა. ვულოცავ მის მწვრთნელ ალექს ფერგიუსონს. ის დიდებული სპეციალისტი და საუცხოო ადამიანია. ასეთ კოლეგებს უდიდეს პატივს ვცემ. ისინი ფეხბურთს ამშვენებენ“.*



ალექს ფერგიუსონი

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, ანჩელოტის აზრით, ის მისმა ფეხბურთელებმა, პირველივე წუთზე წააგეს. ლაპარაკია ჩიჩარიტოს გოლზე, როდესაც, საყოველთაო აზრით, ბრაზილიელი მცველი, ნაქები **დავიდ ლუიზი** შეცდა და მექსიკელს მეკარესთან პირისპირ გასვლის საშუალება მისცა. ანჩელოტიმ იგი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა.

*„თამაში საშინლად დავიწყეთ და პირველივე წუთზე წავაგეთ. ასეთი სტარტის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება ყოველთვის ძალიან ძნელია. მეორე ტაიმი პირველზე უკეთ კი ჩავატარეთ, მაგრამ „იუნაიტედის“ ფეხბურთელები მაინც გვჯობდნენ.*

*დავიდ ლუიზზე კი რისი თქმა შეიძლება - თამაშის წინადღეს, ვარჯიშზე, ფეხს იტკივებდა. კვირადილით, რომ შევამოწმეთ, გვითხრა, ყველაფერი კარგად არისო. დავუჯერე და ვათამაშე, იქ კი შეცდა“.*

თუმცა, „არსენალის“ ყოფილმა ვარსკვლავმა, თავადაც მცველმა, კარიერის დასრულების შემდეგ BBC-სა და სხვადასხვა გაზეთის მიმომხილველმა, **მარტინ კიოუნმა** თქვა, რომ „ჩელსის“ იმდღევანდელი გასაჭირის მთლიანად დავიდ ლუიზისთვის გადაბრალება უსამართლობა იქნებოდა.

*„კარლო ანჩელოტიმ ერნანდესის გოლში დავიდ ლუიზი დაადანაშაულა, თუმცა ამ ეპიზოდში მარტო ის არ შემცდარა. კი ბატონო, ლუიზს პოზიცია ოდნავ დაკარგული ჰქონდა, საჭირო ადგილიდან მარჯვნივ იდგა, რის გამოც მას და მეორე ცენტრალურ მცველ ჯონ ტერის შორის დიდი სივრცე დარჩა, მაგრამ ტერი ვალდებული იყო პარტნიორის შეცდომა გამოესწორებინა. ამისათვის მას ორი გზა ჰქონდა: ან ლუიზისთვის ნიშანი უნდა მიეცა და ერნანდესი ოფსაიდში ჩაეტოვებინათ, ან თუ ხაზზე დარჩენას ამჯობინებდა, თავად გადასულიყო ერნანდესისკენ და ბურთისთვის ებრძოლა. როდესაც თანაგუნდელს მეტოქე თავდამსხმელის მეურვეობას ავალებენ, შენ კი მისი მეწყვილე ხარ, ვალდებული ხარ ასეთი შემთხვევები დაითვალისწინო. ასე და ამგვარად, დამნაშავე ორივე იყო, თუმცა ჯოხი ლუიზზე გადატეხეს და შესვენებისას შეცვალეს. ეს, ანჩელოტის მხრივ, ზედმეტად მკაცრი გადაწყვეტილება იყო და მეტიც, მეორე ტაიმის ბოლოსკენ თავად მას დააკლო ერთი ცვლილება“.*

## დაანებეთ ვიქტორიას თავი

უეინ რუნიმ „ჩელსის“ გულშემატკივრებს გამარჯვების ნიშანი, „ვიქტორია“ აჩვენა და გაზეთებში ხმაური გამოიწვია. ეს ამბავი პირველი ტაიმის მიწურულს, შესვენებამდე მოხდა. V-ს დანახვამ ის სექტორი, სადაც ლონდონელი ფანები ისხდნენ, ცხადია, აღაშფოთა. ატყდა დიდი ღრიანცელი. ეპიზოდი დაუყოვნებლივ მოხვდა Youtube-ზე. თუ არ დაიზარებთ და მოძებნით (ასე ჰქვია — Wayne Rooney sticking two fingers up at the chelsea fans for nothing on 8 may 11 4 pm kice off) ნახავთ, რომ 25 წლის ვარსკვლავი ამას ძალიან დემონსტრაციულადაც არ აკეთებს, მაგრამ... გამგები გაიგებსო, რომ იტყვიან, ისეა.

შეგახსენებთ, რომ ხუთი კვირის წინ, „ვესტ ჰემთან“ შეხვედრაში, რუნიმ ჰეტ-თრიკი რომ შეასრულა, მესამე გოლი ტელეკამერასთან მირბენითა და მთელი ქვეყნის გასაგონად, გინებით აღნიშნა. ამისათვის ფეხბურთელს ბოდიშის მოხდა დასჭირდა, მაგრამ ორთამაშიან დისკვალიფიკაციას ვერ გადაურჩა.

ინგლისურმა ტაბლოიდებმა მყისვე მოძებნეს ადამიანები, რომელთაც ეპიზოდი კარგად დაინახეს. ერთ-ერთმა თქვა:

*„ლონდონელი ფანები მას მთელი შეხვედრის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდნენ. რუნის რეაქცია მხოლოდ საპასუხო იყო“.*

თავად რუნიმ, მატჩის შემდეგ, „ტვიტერზე“, ეს ეპიზოდი საერთოდ არ ახსენა. მხოლოდ ის დაწერა, ისეთი გახარებული ვარ, სადმე უნდა წავიდე და რამდენიმე ჭიქა ღვინო დავლიოო. „მანჩესტერ იუნაიტედის“ პრესმდივანმა „ვიქტორიას“ ჟესტის ამბავი კატეგორიულად უარყო.

## არსენს არსენალისა ვერა გაუგია

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსის“ შეხვედრის გარდა, გასულ უქმეებზე სხვა მატჩებიც შედგა, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე თვალში საცემი და გამოხმაურების ღირსი,



უეინ რუნი

„სტოკთან“ „არსენალის“ მარცხი იყო. ვენგერის იმპერიის არმაგედონი გრძელდება, თავად ფრანგს კი ვერ გაუგია, რატომ დაატყდა თავს ასეთი რისხვა.

*„რაღაც ხდება. ჩვენს თამაშში რაღაც დაიკარგა და „სტოკთან“ შეხვედრაში ამას ყველანი ნახავდით. რასაკვირველია, „სტოკი“ გაცილებით დიდი შემართებით თამაშობდა, ვიდრე ჩვენ. გარდა ამისა, ვფიქრობ, იმიტომ წავაგეთ, რომ მასპინძლები თავს ჩვენზე უკეთ იცავდნენ, თუმცა... ეს, რა სალაპარაკოა. კაცმა რომ თქვას, სათქმელი არაფერი მაქვს“.*

ჩემპიონშიპი

# დედოფლის პარკში ზეიმია

მართალია, „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ ბოლო ტურში, „ლიდს იუნაიტედთან“, 2:1 წააგო, მაგრამ 88 ქულით მაინც ჩემპიონშიპის გამარჯვებულად დარჩა — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გადაწყვიტა დასავლეთლონდონელთა გუნდს, რომელსაც, 2009 წელს, 24 წლის არგენტინელი ნახევარმცველი **ალეხანდრო ფაურლინი** კანონის დარღვევით უყიდია, ათი ქულა კი არ დააკლოს, არამედ ის 875 ათასი ფუნტით დააჯარიმოს. ამრიგად, მწვრთნელმა **ნილ უორნოკმა** და კომპანიამ, საბოლოოდ იზეიმეს ჩემპიონატში დამსახურებული გამარჯვება. „რეინჯერსი“ მომავალი სეზონიდან პრემიერლიგაში ითამაშებს.

უორნოკმა სიამაყით განაცხადა: *„ბოლო პერიოდში ჩვენზე დიდი ზეწოლა იყო. გვემუქრებოდნენ, რომ ათ ქულას დაგვაკლებდნენ და პრემიერლიგაში ავტომატურად გადასვლის უფლებას ჩამოგვართმევდნენ, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია, ჩვენს სათქმელს მოედანზე ვამბობდით. ბოლო შეხვედრაში დავმარცხდით და, ამიტომ, ჩემი ფეხბურთელების ქებას ვერ შევუდგები, მაგრამ შეჯიბრება პირველ ადგილზე რომ დავასრულეთ, დიდებულია. დღეს, როდესაც გამოგვიცხადეს, რომ ჩემპიონები ვართ, გულს მოგვეშვა. ფაქტობრივად, აქამდეც ჩემპიონები ვიყავით, მაგრამ ტიტულის ჩამორთმევის საშიშროების წინაშე ვიდექით და ეს საშინლად მოქმედებდა“.*

უორნოკი მომავალი სეზონიდან მეორედ იმუშავებს პრემიერლიგაში. 62 წლის სპეციალისტმა ინგლისურ ელიტაში პირველად 2006-07 წლების სეზონში მოსინჯა ძალა, როდესაც „შეფილდ იუნაიტედს“ ედგა სათავეში. ბარემ აქვე მოგახსენებთ, რომ დაირხა ჭორი, თითქოს „რეინჯერსის“ დირექტორები პრემიერლიგაში თამაშს უორნოკს აღარ ანდობენ და მას უფრო ცნობილი მწვრთნელით შეცვლიან, მაგრამ კლუბის მეპატრონე **ჯანი პალადინიმ** ეს ჭორი უარყო.

*„ეს სისულელეა - თქვა პალადინიმ - სანამ „ქუინზ პარკში“ ვარ, ნილი არსად წავა. ყველა ინვესტორი ჩემსავით ფიქრობს, ყველას მისი შენარჩუნება სურს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები და თუ მათ გადავალ, მატყუარა მიწოდეთ“.*

„ქუინზ პარკ რეინჯერსის“ პირველ ადგილზე დატოვებამ მესამე ადგილზე გასულ „სუონსის“ დასწყვიტა გული. კლუბის თავმჯდომარე **ჰაუ ჯენკინსმა** თქვა, რომ ფეხბურთის ასოციაციას დაუკავშირდება და წესიერად გაარკვევს, რატომ არ ჩამოართვეს ლონდონის გუნდს 10 ქულა.

*„ჩვენს ადგილზე ყველა ბოლომდე იბრძოლებდა — თქვა „სუონსის“ დიდმა შეფმა — ბოლო დროს ისეთი ამბავი იყო ატეხილი, რომ ვერდიქტი, რომელიც ფეხბურთის ასოციაციამ გამოიტანა, იმ ხმაურის ფონზე ნამდვილად არაადეკვატური გამოვიდა. დღეს ყველა აინტერესებს, რა საჭირო იყო ასეთი აურზაური“.*

„ქუინზ პარკ რეინჯერსისთვის“ ათი ქულა რომ დაეკლოთ, „სუონსი“ მეორე ადგილზე აღმოჩნდებოდა და ავტომატურად ამოყოფდა თავს პრემიერლიგაში. ახლა, როგორც მესამე ადგილზე გასული, ჯენკინსის გუნდი პლეიოფში მეექვსე ადგილზე გასულ „ნოტინგემ ფორესტს“ ხვდება.

ჯენკინსი არ ცხრება: *„ძალიან მაინტერესებს გავიგო, როგორ იღებს ფეხბურთის ასოციაცია გადაწყვეტილებებს. ყველაზე კარგი იქნება, თუ დოკუმენტების ქსეროასლებს მომცემენ და უშუალოდ მომეცემა ჩაკირკიტების საშუალება. ვფიქრობ, სანამ წერილობით არ დამიმტკიცებენ, რა მოხდა და რატომ გამოიტანეს ასეთი ვერდიქტი, მანამდე არაფერი უნდა გამოვრიცხოთ“.*

პლეიოფის კიდევ ერთი წყვილი „რედინგისა“ და „კარდიფ სიტისგან“ შედგება.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

**ფულჰემი–ლივერპული 2:5**

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო – დევისი (46. ზამორა), სიდუელი, მერფი, დემპსი – გუდიონსენი, დემბელე (77. კაკუტა)

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – ფლენაგანი, კარაგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი – მეირელეში (48. შილვი), სპირინგი, ლუკასი, მაქსი როდრიგესი (82. ჯ. კოული) – კუიტი, სუარესი

**გოლები:** 0:1 მაქსი როდრიგესი (1), 0:2 მაქსი როდრიგესი (7), 0:3 კუიტი (16), 1:3 დემბელე (57), 1:4 მაქსი როდრიგესი (70), 1:5 სუარესი (75), 2:5 სიდუელი (86)

**გაფრთხილება:** მერფი, დემპსი, სალსიდო, დისუელი, ბეირდი – რეინა შკრტელი

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 17-12; **კარში დარტყმა:** 7-12 (4-8); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

მაყურებელი: 25 693

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ. | 36 | 22 | 10 | 4 | 73-34 | 76 |
| 2. ჩელსი | 36 | 21 | 7 | 8 | 67-30 | 70 |
| 3. არსენალი | 36 | 19 | 10 | 7 | 69-39 | 67 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 35 | 18 | 8 | 9 | 54-33 | 62 |
| 5. ლივერპული | 36 | 17 | 7 | 12 | 59-41 | 58 |
| 6. ტოტენჰემი | 35 | 14 | 14 | 7 | 51-44 | 56 |
| 7. ევერტონი | 36 | 12 | 15 | 9 | 50-44 | 51 |
| 8. სტოკ სიტი | 36 | 13 | 7 | 16 | 46-44 | 46 |
| 9. ბოლტონი | 36 | 12 | 10 | 14 | 49-50 | 46 |
| 10. ფულჰემი | 36 | 10 | 15 | 12 | 45-42 | 45 |
| 11. ნიუკასლი | 36 | 11 | 11 | 14 | 51-52 | 44 |
| 12. სანდერლენდი | 36 | 11 | 11 | 14 | 41-53 | 44 |
| 13. ვესტ ბრომვიჩი | 35 | 11 | 10 | 14 | 51-65 | 43 |
| 14. ასტონ ვილა | 36 | 10 | 12 | 14 | 45-58 | 42 |
| 15. ბლექბერნი | 36 | 10 | 9 | 17 | 42-56 | 39 |
| 16. ბირმინგემი | 36 | 8 | 15 | 13 | 36-54 | 39 |
| 17. ბლეკპული | 36 | 9 | 9 | 18 | 49-71 | 36 |
| 18. უიგანი | 36 | 7 | 15 | 14 | 36-59 | 36 |
| 19. ვულვზი | 35 | 9 | 7 | 19 | 38-61 | 34 |
| 20. ვესტ ჰემი | 36 | 7 | 12 | 17 | 41-64 | 33 |

მილანი

# ეიფორია და ფიქრები ზაფხულზე



ალეგრი და გალიანი

მილანის შავ-წითელი ნაწილი „როსონერის“ მიერ მოპოვებულ ნანატრ სკუდეტოს ზეიმობს და როგორც ჩანს, ფიესტა კიდევ დიდხანს გაგრძელდება. დიდხანს, ანუ როგორც მინიმუმ სერია A-ს მომდევნო ტურამდე, როდესაც „მილანი“ გადაჭედილ „სან სიროზე“ „კალიარის“ უმასპინძლებს და თამაშის დაწყებამდე საჩემპიონო თასს ალმართავს. თამაშის შემდეგ კი ალბათ კიდევ ერთხელ გადაინაცვლებს ზეიმი ქალაქის ქუჩებში, სადაც დღემდე არ ცხრება ვნებები. ამასობაში, ფეხბურთელები ოდნავ დამშვიდდნენ და პრესასთან კომენტარებიც გააკეთეს - მაგალითად, **კლარენს ზეედორფმა** ტიტული გულშემატკივრებს მიუძღვნა:

„კარლო ანჩელოტისთან ერთად ჩვენ ყველაფერი მოვიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა, თუმცა შემდეგ ჩავარდნის პერიოდი დადგა და ერთ ადგილს ვტკეპნიდით, რაც ძალიან არასასიამოვნო იყო. ამიტომ, ეს გამარჯვება ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ და ბედნიერი ვარ, რომ მიზანს მივაღწიეთ. ეს ტიტული უფრო თავდაჯერებულებს გაგვხდის, რათა მომავალი სეზონიდან კიდევ უფრო მეტისთვის ვიბრძოლოთ. მინდა გამარჯვება ჩვენს გულშემატკივრებს მივუძღვნა, რომლებმაც ეს ყველაზე მეტად დაიმსახურეს. მთელი სეზონია გვერდში გვიდგანან და გასვლაზე თუ სახლში, ყველანაირად გვამხნევებენ“.

ზეედორფმა ისეთი რამ თქვა, რამაც ჟურნალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია - კლარენსმა მომავალ სეზონში მისაღწევ წარმატებებზე ჩამოაგდო სიტყვა, რაც იმას ნიშნავს, რომ არსად წასვლას არ აპირებს. არადა, საკმაოდ ინტენსიურად მიდის საუბრები იმის შესახებ, რომ ჰოლანდიელი დატოვებს „მილანს“ და კარიერას ბრაზილიაში გააგრძელებს. როგორც ჩანს, დიდმა გამარჯვებამ ზეს „როსონერისკენ“ მიუბრუნა გული და წესით, არც კლუბის მესვეურებს უნდა სურდეთ მასთან განშორება. კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის „მილანიდან“ შესაძლო აზარგებაზე ხშირად ლაპარაკობენ, **ჯენარო გატუზო** გახლავთ. ზეედორფის არ იყოს, მასაც სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი და აქამდე, მის გახანგრძლივებას მხარეები არ ჩქარობდნენ. და აი, რინომ პირველად ჩამოაგდო ამ თემაზე სიტყვა და შემდეგი განაცხადა:

„არასდროს მითქვამს, რომ „მილანიდან“ წასვლის სურვილი მაქვს და ამის თქმას არც ვაპირებ. პირიქით, მინდა, რომ კიდევ ორი წლით გავახანგრძლივო ხელშეკრულება კლუბთან და კარიერა სწორედ „როსონერიში“ დავასრულო. ალეგრისთან არავითარი კონფლიქტი არ მქონდა, ეს ჟურნალისტების მონაჩმახია და არ მსურს ამ თემაზე ლაპარაკი - მასიმილიანოს უდიდეს პატივს ვცემ, მასთან ერთად სკუდეტო მოვიპოვე და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. „რომასთან“ თამაშის მოგებაც შეგვეძლო, მაგრამ ქულა საკმარისი იყო გასაპირველებლად და ამან შეხვედრის ხასიათზეც იმოქმედა. მთლიანობაში, ძალიან კმაყოფილი ვარ როგორც „ჯალოროსისთან“ თამაშით, ისე მთელი სეზონით“.

ჟურნალისტებთან გასაუბრება **ადრიანო გალიანიმაც** მოახერხა, რომელიც უკვე ზაფხულის სატრანსფერო გეგმებზე ფიქრობს: „სიმბოლურია, რომ ქვეყნის ჩემპიონები დედაქალაქში გავხდით და მილანში გამარჯვებულები დავბრუნდით. საოცარი სეზონია, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში მოგვეცარა ხელი, მაგრამ აშკარაა, რომ ახალ, დიდ გუნდს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც კიდევ დიდ ხანს იქნება მწვერვალზე. გუნდი ცოცხალი ორგანიზმია და ზაფხულში აუცილებლად დავიმატებთ რამდენიმე ფეხბურთელს - ერთ-ერთი მათგანი შესაძლოა „სანტოსის“ თავდამსხმელი განსო იყოს, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. საოცრად ნიჭიერი ფეხბურთელია და იმ შემთხვევაშიც არ ვიტყვით მასზე უარს, თუ კი ევროკავშირის მოქალაქეობა ვერ მიიღო. მოკლედ, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებთ. ხშირად მესმის კაკას შესაძლო დაბრუნების შესახებ და ამ მიმართულებითაც ვაპირებთ გააქტიურებას. როდესაც რიკარდოს „რეალში“ გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა, მთელი ღამე ვერ დავიძინე და ლამის ვტიროდი, მაგრამ მაშინ ფინანსურად რთული პერიოდი გვედგა და ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ მივიღეთ. სილვიო ბერლუსკონის წყალობით, ამოვედით ამ კრიზისიდან და თუ საშუალება გვექნა, კაკას დასაბრუნებლად ყველაფერს გავაკეთებთ“.

**კაკას** ტრანსფერთან დაკავშირებით მასიმილიანო ალეგრიმაც გააკეთა კომენტარი, თუმცა იქამდე ჩემპიონობით გამოწვეული ემოციები გაუზიარა ჟურნალისტებს: „საოცარი შეგრძნებაა, ზღაპარში ვარ, რომელიც არ მინდა, რომ დამთავრდეს. თუმცა, ისიც კარგად მესმის, რომ ჯერ სეზონია ბოლომდე ჩასამთავრებელი და მხოლოდ შემდეგ შეგვიძლია სრულყოფილად დავტკბეთ მიღწეულით. ჯერ ერთი, იტალიის თასზე გვაქვს ნახევარფინალური ეტაპის განმეორებითი მატჩი ჩასატარებელი და მეორე, სერია A-ს დარჩენილ შეხვედრებში გულშემატკივარს პატივი უნდა ვცეთ და მოსაგებად ვითამაშოთ. კაკას შესაძლო დაბრუნება? - ამის შესახებ კონკრეტული არაფერი ვიცი და მგონია, რომ უბრალო ჭორებთან გვაქვს საქმე. ის, რომ გალიანის უნდა რიკარდოს „მილანის“ მაისურით ხილვა, ერთი მხრივ ძალიან ბუნებრივია, რადგან ბრაზილიელი საოცარი ფეხბურთელია, მაგრამ მეორე მხრივ, ბევრ არაფერზე მეტყველებს. ჯერ ისიც არ ვიცით, აპირებს თუ არა „რეალი“ მასთან განშორებას და თავად ფეხბურთელს სურს თუ არა მადრიდის დატოვება. ამიტომ, ამაზე საუბარი ნაადრევი მგონია“.

ალეგრიმ სათასო პაექრობაზე ჩამოაგდო სიტყვა და აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ხვალ „მილანი“ „პალერმოს“ ესტუმრება და შეეცდება თასის გადამწყვეტ პაექრობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვოს. შეგახსენებთ, რომ ნახევარფინალური ეტაპის პირველ მატჩში „როსონერიმ“ საკუთარ მოედანზე ბევრი ვერაფერი მოუხერხა „პალერმოს“ და ის შეხვედრა ფრედ, 2:2 დასრულდა. განმეორებითი მატჩის წინ, უპირატესობას სწორედ სიცილიელები ფლობენ, მაგრამ „მილანის“ ჩამოწერა რომ არ შეიძლება, ესეც ცხადია. აქვე ვთქვათ, რომ „ინტერი“ უკვე გასულია ფინალში და თუ „როსონერიმ“ მაინც დაძლია სიცილიური ბარიერი, კიდევ ერთ მადონინას ვიხილავთ.

**ლაშა ნიკლაური**



ლეონარდო

# მორატის გული კარნახობს
## ლეონარდო უნდა დარჩეს

იტალიურ სპორტულ პრესაში ძალიან აქტუალურია **ლეონარდოს** „ინტერში“ დარჩენა-არდარჩენის თემა. ჟურნალისტთა ნაწილი ირწმუნება, რომ ბრაზილიელი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს მილანურ გრანდს და მას რომელიმე იტალიელი სპეციალისტი ჩაანაცვლებს. ხშირად ისმის **ლუჩანო სპალეტის** გვარი, რომელიც რუსეთის პრემიერლიგაში მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც. რამდენიმე დღის წინ, სულაც **ხოსეპ გვარდიოლას** მომავალი დაუკავშირეს „ნერაძურის“, რამაც **მასიმო მორატი** აალაპარაკა - მოვუსმინოთ „ინტერის“ პრეზიდენტს:

„ძალიან მიკვირს, საიდან ვრცელდება ასეთი აბსურდული ინფორმაცია - არასდროს, მიფიქრია, რომ გვარდიოლასთვის შეთავაზება გამეკეთებინა. არა იმიტომ, რომ ცუდი მწვრთნელია, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია, რომ „ბარსელონასთან“ ხელშეკრულება განწყვიტოს და სადმე სხვაგან წავიდეს. ასეც რომ არ იყოს, ლეონარდოა „ნერაძურის“ მთავარი მწვრთნელი და მისი მუშაობით მთლიანობაში კმაყოფილი ვარ. თანაც, როდესაც მწვრთნელის საკითხია გადასაწყვეტი, ბევრს არასდროს ვფიქრობ - ინტუიციით ვმოქმედებ და ისეთ გადაწყვეტილებას ვიღებ, რომელსაც გული მიკარნახებს. ვგრძნობ, რომ ლეო საჭიროა „ინტერისთვის“ და ჩემი აზრით, მას უნდა მიეცეს მუშაობის გაგრძელების საშუალება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შუა სეზონში დაინიშნა მთავარ მწვრთნელად და არ ჰქონდა იმის საშუალება, რომ ყველაფერი თავის გემოზე მოეწყო“.

ინტერი

მორატის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, ლეონარდო აგრძელებს მუშაობას „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე და შეეცდება, მომდევნო სეზონში მაინც შესწვდეს იმას, რასაც აგერ უკვე ორი წელია ეშურება. ლეო მშვიდად გრძნობს თავს და აცხადებს, რომ „მილანმა“ სკუდეტო დაიმსახურა:

„სეზონის შეფასება ჯერ ადრეა, რადგან წინ ჩემპიონატის კიდევ ორი თამაში და რაც მთავარია, იტალიის თასის ფინალია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება შემაჯამებელი სიტყვის თქმა. მანამდე კი მუშა პროცესში ვართ. ერთი ცხადია, „მილანმა“ მოიგო სკუდეტო და სრულიად დამსახურებულადაც. ალეგრის შესანიშნავი გუნდი ჰყავს, უფრო სტაბილურად ითამაშეს და იპირველეს კიდეც. სულაც არ მაკომპლექსებს წარსული, მე ჩემი გზა მაქვს და შევეცდები, რომ „ინტერთან“ ერთად მივაღწიო წარმატებებს“.

**ლაშა ნიკლაური**

**იუვენტუსი-კიევო 2:2**

**იუვენტუსი** (4-4-2): ბუფონი - მოტა, ბარძალი, კიელინი, გროსო - კრასიჩი (81. ტონი), აკუილანი, მარკიზიო, პეპე - დელ პიერო, მარტი

**კიევო** (3-5-2): სორენტინო - ანდრეოლი, ბოსტიანი, მანტოვანი - სარდო, ფერნანდესი, რიგონი, კონსტანტი (64. ურიბე), იოკიჩი (78. მანდელი) - პელისიერი, ტერო (40. ბოლიაჩინო)

**გოლები:** 1:0 დელ პიერო (13-პენ), 2:0 მატრი (55), 2:1 ურიბე (68), 2:2 სარდო (69)

**გაფრთხილება:** მარკიზიო, აკუილანი, კრასიჩი - ანდრეოლი, რიგონი

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 13-13; **კარში დარტყმა:** 16-19 (3-4); **თამაშგარე:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 23 740

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 36 | 23 | 9 | 4 | 61-23 | 78 |
| 2. ინტერი | 36 | 22 | 6 | 8 | 65-40 | 72 |
| 3. ნაპოლი | 36 | 21 | 5 | 10 | 56-36 | 68 |
| 4. უდინეზე | 36 | 19 | 5 | 12 | 63-43 | 62 |
| 5. ლაციო | 36 | 18 | 6 | 12 | 47-35 | 60 |
| 6. რომა | 36 | 17 | 9 | 10 | 55-49 | 60 |
| 7. იუვენტუსი | 35 | 15 | 11 | 9 | 53-42 | 56 |
| 8. პალერმო | 36 | 16 | 5 | 15 | 55-59 | 53 |
| 9. ფიორენტინა | 36 | 12 | 13 | 11 | 46-41 | 49 |
| 10. ჯენოა | 36 | 13 | 9 | 14 | 40-41 | 48 |
| 11. კალიარი | 36 | 12 | 8 | 16 | 42-46 | 44 |
| 12. კატანია | 36 | 11 | 10 | 15 | 37-48 | 43 |
| 13. კიევო | 35 | 10 | 12 | 13 | 33-35 | 42 |
| 14. პარმა | 36 | 10 | 12 | 14 | 37-46 | 42 |
| 15. ბოლონია | 36 | 11 | 11 | 14 | 34-47 | 41 |
| 16. ჩეზენა | 36 | 10 | 10 | 16 | 35-47 | 40 |
| 17. ლეჩე | 36 | 10 | 8 | 18 | 42-62 | 38 |
| 18. სამპდორია | 36 | 8 | 12 | 16 | 31-44 | 36 |
| 19. ბრეშა | 36 | 7 | 10 | 19 | 32-49 | 31 |
| 20. ბარი | 36 | 4 | 9 | 23 | 23-54 | 21 |

ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა

სკანდალის კვალდაკვალ



ბოხუმის პროკურატურა გამოძიებას აგრძელებს

# მალტას რაღა უნდოდა?
## ნორვეგიასთან 0:4 მანიპულირებული იყო!

ევროპის უდიდესი საფეხბურთო სკანდალისა და მანიპულირებული მატჩების გამოძიება გრძელდება. ბოხუმის პროკურატურამ მორიგი ეჭვმიტანილი დაჰკითხა და ჩაწყობილი შეხვედრების უდიდეს სიას კიდევ ერთი მატჩი დაემატა: ეს არის ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შეხვედრა ნორვეგიასა და მალტას შორის, რომელიც სკანდინავიელებმა 2007 წლის ივნისში 4:0 მოიგეს.

დაკითხული ხორვატი მარიო ჩ. გახლავთ, რომელიც მაიფოზური დაჯგუფების ერთ-ერთი წევრია. დაკითხვისას მან განაცხადა, რომ ხსენებული შეხვედრის ანგარიში მანიპულირებული იყო. მარიო C-ს თქმით, მატჩის წინ ის ოსლოს ერთ-ერთ სასტუმროში მალტის ნაკრების სამ ფეხბურთელს შეხვდა და მანიპულაციაზე მოურიგდა. „სიმართლე გითხრათ, მე 5:0 მინდოდა, რადგან კოეფიციენტი ასეთ ანგარიშზე უფრო მაღალი იყო, ვიდრე 4:0-ზე, მაგრამ ფეხბურთელები უკვე შეთანხმებულები იყვნენ. სამივემ მითხრა, რომ 5:0-ზე შეთანხმებას ველარ მოახერხებდნენ. შესაბამისად, მეც 4:0-ზე დავთანხმდი,“ - აღნიშნა ეჭვმიტანილმა ჩვენებაში. მას არ უთქვამს, რამდენი გადაუხადა მალტელ ფეხბურთელებს.

ეს არის პირველი მატჩი სანაკრებო დონეზე, რომელიც ბოხუმის პროკურატურის სიაში მოხვდა. აქამდე ლაპარაკი მხოლოდ საკლუბო დონეზე ჩატარებულ შეხვედრებზე იყო – მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის ქვედა ლიგების თამაშებზე, თასის მატჩებზე, ასევე ევროპის ლიგისა და ჩემპიონთა ლიგის რამდენიმე თამაშზე.

**გოტფრიდ ლენცი**

სავარაუდო ტრანსფერი

# ვის დარჩება პოლონელი გოლეადორი?

გერმანიის ჩემპიონი დორტმუნდის „ბორუსია“ და მისი მოსისხლე მტერი გელზენკირხენის „შალკე“ პოლონელ ფეხბურთელს უმიზნებენ. ორივე გერმანულ კლუბს „ოსერის“ გარემარბის **ირენეუშ იელენის** გადაბირება სურთ. მოთამაშის მრჩევლის, **ტომაშ კაჟმარჟიკის** თქმით, დორტმუნდიდან და გელზენკირხენიდან მას თითქმის ყოველდღე უკავშირდებიან.

თუ 30 წლის იელენი „ბორუსიაში“ გადავა, იქ მას **რობერტ ლევანდოვსკის, იაკუბ ბლაშჩიკოვსკისა** და **ლუკაშ პიჟჩეკის** სახით სამი თანამემამულე დახვდება. იელენს „ოსერის“ მაისურით საფრანგეთის ჩემპიონატის 138 მატჩში 48 გოლი აქვს გატანილი.

**გოტფრიდ ლენცი**



ირენეუშ იელენი

უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტურის გამოხმაურება

# აინტრახტი თუ ცვაიტრახტი?

## მიონხენგლადბახში იმედია, ფრანკფურტში სასოწარკვეთა, მიუნხენში კი გეგმა შეასრულეს

კიოლნში, ბრემენში, შტუტგარტსა და კაიზერსლაუტერნში შვებით ამოისუნთქეს - 33-ე ტურმა ოთხივე ქალაქის გუნდს მომდევნო სეზონშიც ელიტაში თამაში გაუნაღდა. სამაგიეროდ, მეორე ბუნდესლიგის „ბუზი“ „ზანქტ პაულის“ დააჯდა, ვოლფსბურგში, მიონხენგლადბახსა და განსაკუთრებით ფრანკფურტში კი ნერვიულობა გრძელდება.

„ბაიერნმა“ პროგრამა მინიმუმი შეასრულა და ჩემპიონთა ლიგის საგზური გაინაღდა, რაც „ჰანოვერის“ დამსახურებაცაა - როგორც მოსალოდნელი იყო, მირკო სლომკას გუნდმა რეკორდმაისტერის წნეხს ბოლომდე ვერ გაუძლო, თუმცა სადამდეც გაუძლო, „ჰანოვერისთვის“ ესეც დიდი მიღწევაა. მომავალ სეზონში „მაინცს“ ევროპის ლიგაში ვიხილავთ, ბრავო! ამასთან, „ზანქტ პაულის“ მწვრთნელი ჰოლგერ სტანისლავსკი და „ნიურნბერგის“ ნახევარმცველი მარეკ მინტალი ქომაგებს ცრემლებით დაემშვიდობნენ.

თუმცა ზემოთ ნახსენები თითოეული მოვლენა ფრანკურტში მომხდარმა ამბავმა გადაფარა - „კიოლნთან“ წაგების შემდეგ, „აინტრახტის“ ფანთა განსაკუთრებით რადიკალურმა ბანდამ თავი ველარ გააკონტროლა და მოედანზე შეიჭრა. 10 ქომაგი დაშავდა, 6 კი პოლიციამ დააკავა. მართალია, კრისტოფ დაუმის გუნდს ჯერ კიდევ აქვს გადარჩენის თეორიული შანსი, მაგრამ ვაი ასეთ შანსს...

თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის 33-ე ტურის გამოხმაურება Tops & Flps-ის სახით.

Flop

### დაქანცული ჩემპიონი

შეიძლება ვინმემ იფიქროს, გაჩემპიონებულმა „დორტმუნდმა“ „ვერდერს“ 3 ქულა უბრალოდ აჩუქაო, მაგრამ ასე არ არის. „ბორუსიამ“ ბრემენში ძალიანაც მოინდომა, მაგრამ **იურგენ კლოპის** ბიჭებს უდიდესი დაღლა ეტყობოდათ - როგორც ჩანს, ჩემპიონობა ზედმეტად დიდხანს იზეიმეს. პრინციპში, BVB-ს ვერ გავამტყუნებთ, მაგრამ გულშემატკივრებს, რომლებიც „ბორუსიას“ ბრემენში გაჰყვნენ, ძალიან უნდოდათ, რომ მათ საყვარელ გუნდს მე-12 გასვლითი მატჩიც მოეგო, რაც ბუნდესლიგის ახალი რეკორდი იქნებოდა. ბრემენელებს კი ეს მოგება გადარჩენის გასანაღდებლად სჭირდებოდა. სხვათა შორის, „ბორუსია“ ბოლო ტურში „აინტრახტს“ ხვდება, რომელსაც სამი ქულა „ვერდერზე“ ათჯერ მეტად დასჭირდება და ვნახოთ, „აჩუქებს თუ არა“ BVB სამ ქულას ფრანკფურტულ კლუბსაც.

Flop

### ჰანოვერი თავის ადგილზე

მორჩა, „ჰანოვერი“ თავის ადგილზე მოჯდა. თუმცა, შეგვეძლო, სხვანაირადაც გვეთქვა, მაგალითად ასე: ბრავო, „ჰანოვერი“ ევროპის ლიგაში ითამაშებს! უბრალოდ, გააჩნია, როგორ შევხედავთ „წითლების“ მიერ ჩატარებულ სეზონს. ფაქტია, რომ **მირკო სლომკას** გუნდს ბოლოსწინა ტურამდე ჰქონდა ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი, რაც უდიდესი სენსაცია იქნებოდა, მაგრამ „ბაიერნთან“ ბრძოლა, როგორც მოსალოდნელი იყო, წააგო. სამაგიეროდ, „ჰანოვერი“ ევროპის ლიგაში ითამაშებს, რასაც სეზონის წინ ვერავინ წარმოიდგენდა. საბოლოო ჯამში, „ჰანოვერის“ კრიზისი სეზონის მიწურულს მაინც Flop-ად უნდა შეფასდეს, რადგან შანსი იყო, მაგრამ „წითლებმა“ ვერ ივარგეს. მეტიც: ბოლო ტურში, შეიძლება, მეოთხე ადგილიც დაკარგონ.

Flop

### მაგათის მხდალები

*„ასეთ სიტუაციაში თავი ფეხბურთელებმა ჩაიგდეს და ახლა თვითონ იფიქრონ, როგორ უნდა გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან,“* - ეს **ფელიქს მაგათის** სიტყვებია, რითაც „ვოლფსბურგის“ მწვრთნელმა შეგირდებისგან თავი ძალიან შორს დაიჭირა. ეს კი, ვფიქრობთ, გუნდს კარგს არაფერს მოუტანს. საკუთარ მოედანზე „კაიზერსლაუტერნთან“ წაგება (1:2) იმას ნიშნავდა, რომ „წითელი ეშმაკები“ გადარჩნენ, „ვოლფსბურგი“ კი ბოლო ტურის წინ მე-15 ადგილზეა და 34-ე ტურში „ჰოფენჰაიმს“ უნდა ესტუმროს.

„აინტრახტი“, „გლადბახი“, „ვოლფსბურგი“ - ამ ტრიოდან ერთი ნაღდად გავარდება, ერთს კი პლეი ოფში მოუწევს ბრძოლა (მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან). თუ „მგლები“, უფრო სწორად, „მხდლები“ ელიტიდან გავარდება, ძვირად ღირებული ფეხბურთელების კრებული დაიშლება და მაგათი ყველაფერს თავიდან, ნულიდან დაიწყებს - „ფეისბუქზე“ კი მისი პირველი სტატუსი ასეთი იქნება: „მოგესალმებით, მეორე ბუნდესლიგა არც ისე ცუდი ყოფილა...“

Flop

### ფრანკფურტს მეორე ბუნდესლიგა არ ეკადრება

საუკეთესო შანსი, „ზანქტ პაულის“ მეორე ბუნდესლიგაში გაჰყვეს, „აინტრახტს“ აქვს. ფრანკფურტში კი ძალიან ამაყი ხალხი ცხოვრობს - ეს ხომ გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი და უმთავრესი ქალაქია ბერლინთან და ჰამბურგთან ერთად. თუკი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება და ანგარიში 1:8 მოკრძალებული „ზანქტ პაულის“ ქომაგებმა შედარებით მშვიდად მიიღეს, ფრანკფურტში ფანების ასოციალურმა ნაწილმა ნერვები ვერ მოთოკა და ქაოსი მოაწყო. არადა, „აინტრახტი“ ჯერ არ გავარდნილა - ახლა წარმოიდგინეთ, რა მოხდება, რომ გავარდეს! მოედანზე შეცვენილებმა დაამტვრიეს და დალეწეს ყველაფერი, რაც „ხელში მოხვდათ - სარეკლამო ბანერები, კამერები და ა.შ. ფეხბურთელებმა ძლივს მოასწრეს კატაკომბებში გაუჩინარება და სისხლი რომ არ დაიღვარა, ეს პოლიციასთან ერთად, „აინტრახტის“ პრეზიდენტ **პეტერ ფიშერის** დამსახურებაცაა, რომელიც რადიკალებთან მივიდა და დიდხანს ამშვიდებდა. ისინი კი ყვიროდნენ, ამ კაცის გარდა ყველამ დაახვიეთ, „აინტრახტი“ ჩვენ ვართ და კიდევ ფიშერი, დანარჩენები კი ლაჩრები ხართო.

Top

### მაინცი ევროპაში მიდის

**თომას ტუხელს** მისალოცად აქვს საქმე - ბუნდესლიგის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელს მოკრძალებული „მაინცი“ ევროპაში მიჰყავს. ამ გუნდმა არსებობის ისტორიაში პირველად მოიპოვა ევროტურნირის საგზური სპორტული წარმატებით. თუ გახსოვთ, „მაინცი“ 2005 წელსაც თამაშობდა უეფას თასზე, მაგრამ მაშინ ფეარ პლეის რეიტინგის წყალობით გავიდა და თან წილისყრაზეც გაუმართლა. ახლა კი, ბრძოლით მოიპოვა ევროპის საგზური.

ერთი ეგაა, რომ ტუხელის გუნდი ზაფხულში ორ წამყვან ფეხბურთელს დაკარგავს: **ლუის ჰოლტბი** „შალკეში“ ბრუნდება (განათხოვრებული იყო), **ანდრე შიურლე** კი „ლევერკუზენისთვის“ შეუტევს. ასე რომ, ტუხელმა რაღაც უნდა მოიფიქროს...

Top

### ბაიერნი დაწყნარდა

„ზანქტ პაულის“ ჩაქოლვის (8:1) შემდეგ, მიუხედავად უტიტულობისა, „ბაიერნში“ ბოლოს და ბოლოს ისევ ყველაფერი კარგადაა. რეკორდმაისტერმა მესამე ადგილი და ჩემპიონთა ლიგაში თამაში გაინაღდა, რაც არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიუნხენური გრანდისთვის კარგი შედეგია. უფრო მეტიც: დროებითი მწვრთნელის, **ანდრის იონკერის** ხელში „ბაიერნს“ ბოლო ტურში ვიცე-ჩემპიონობის შანსიც კი გაუჩნდა. ბავარიული გიგანტი „ლევერკუზენს“ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება და თუ „ფარმაცევტები“ ბოლო ტურში წააგებენ, ხოლო „ბაიერნი“ მოიგებს, **არიენ რობენი** და კომპანია მეორე ადგილს დაიკავებენ, რადგან ბურთების შეფარდება +40 აქვთ, „ლევერკუზენს“ კი +19. **მარიო გომესმა** კი ფაქტობრივად გაინაღდა საუკეთესო ბომბარდირის წოდება - მის ანგარიშზე 27 გოლია.

Top

### ფინკემ იცის, რა და როგორ...

2:0 ფრანკფურტში და მშვიდი ძილი - „კიოლნს“ სანერვიულო აღარაფერი აქვს. „თხებმა“ **ფოლკერ ფინკეს** ხელმძღვანელობით მეორე თამაშიც მოიგო და მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრება. არადა, ფინკე ამბობს, სულაც არ მინდოდა, რომ მწვრთნელის პოსტზე აღმოვჩენილიყავიო. ვინ იცის, იქნებ ფოლკერი ამ თანამდებობაზე დარჩეს კიდეც - იქნებ მოენატრა მწვრთნელის როლი. ყოველ შემთხვევაში, „კიოლნის“ სპორტული დირექტორია და სწორედ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ვინ უხელმძღვანელებს „თხებს“ მომავალ სეზონში.

Top

### იმედი გლადბახს

შესაძლოა, დამთხვევა იყოს ის, რომ **მაიკ ჰანკემ** თავისი პირველი მიონხენგლადბახური გოლი მხოლოდ ბოლოსწინა ტურში, მწვანე ბუცებით გაიტანა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ მწვანე ფერი იმედთან ასოცირდება. იმედი კი, ერთადერთი რამ იყო, რაც „გლადბახს“ თუნდაც სამი კვირის წინ ჰქონდა დარჩენილი. მიონხენგლადბახელებმა თითქმის მთელი სეზონი ბოლო ადგილზე გაატარეს და მათი ელიტიდან გავარდნაც თითქოს გარდაუვალი იყო. ახლა კი, ბოლო ტურის წინ, „გლადბახის“ ბედი მხოლოდ „გლადბახის“ ხელშია.

ჰანკეს, **მარკო როისსა** და კომპანიას მე-16 ადგილზე აღზევება ძალიან უხარიათ - ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ საკმარისია კიდევ ერთი მოგება და გუნდი მინიმუმ პლეი ოფს გაინაღდებს და მერე გადარჩენისთვის ორ გადამწყვეტ დუელში ან „ბოხუმს“ დაუპირისპირდება, ანაც „ფიურტს“. ბოლო ტურში კი **ლუსიენ ფავრის** გუნდი „ჰოფენჰაიმს“ ესტუმრება...



მაიკ ჰანკე და კომპანია: გლადბახის ბედი გლადბახის ხელშია

**XXXIII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-4-3)**

**მარკ ანდრე ტერ შტეგენი** (ბორუსია მ, 2) - **ნიკოლჩე ნოვესკი** (მაინცი, 1), **პეტრი პასანენი** (ვერდერი, 3), **მიკაელ სილვესტრი** (ვერდერი, 1) - **კრისტიან ტიფერტი** (კაიზერსლაუტერნი, 5) - **არიენ რობენი** (ბაიერნი, 4), **ლუის ჰოლტბი** (მაინცი, 3), **ფრანკ რიბერი** (ბაიერნი, 5) - **მაიკ ჰანკე** (ბორუსია მ, 3), **მარიო გომესი** (ბაიერნი, 6), **ანდრე შიურლე** (მაინცი, 4)

33-ე ტურის სიმბოლური ნაკრებში დორტმუნდის „ბორუსიას“ ვერცერთი ფეხბურთელი ვერ მოხვდა, რაც, დაგვეთანხმებით სენსაციაა - ასეთი რამ ამ სეზონში მხოლოდ მეორედ მოხდა. სამაგიეროდ, სიმბოლურში გამოჩნდნენ „ვერდერის“ მოთამაშეები და თანაც მცველები (!): **მიკაელ სილვესტრი** და **პეტრი პასანენი**.

**საუკეთესო ფეხბურთელები.**

33 ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფასება |
|---|---|---|
| 1. მატს ჰუმელსი | ბორუსია (დ) | 2.61 |
| 2. შინჯი კაგავა | ბორუსია (დ) | 2.62 |
| 3. ნური შაჰინი | ბორუსია (დ) | 2.63 |
| 4. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 2.69 |
| 5. სვენ ბენდერი | ბორუსია (დ) | 2.72 |
| 6. მანუელ ნოიერი | შალკე | 2.76 |
| 7. რომან ვაიდენფელერი | ბორუსია (დ) | 2.77 |
| 8. ტომ შტარკე | ჰოფენჰაიმი | 2.81 |
| 9. ოლივერ ბაუმანი | ფრაიბურგი | 2.84 |
| 10. მარსელ შმელცერი | ბორუსია (დ) | 2.86 |

**ტურის გმირი**

### ლუის ჰოლტბი (მაინცი)

გელზენკირხენში, „ფელტის არენა აუფ შალკეს“ დიქტორმა „მაინცის“ გამთამაშებლის გვარი რომ გამოაცხადა, მთელმა სტადიონმა ტაში დაუკრა - ხომ იცით, 20 წლის ლუის ჰოლტბი სეზონის დასრულებისთანავე „შალკეში“ დაბრუნდება. შაბათს კი მან კიდევ ერთხელ მოხიბლა არა მარტო მაინცელი ან გელზენკირხენელი ქომაგები, არამედ მთელი საფეხბურთო გერმანია - ჰოლტბის ანგარიშზე ორი საგოლე პასი და ერთი გოლია.

**გოლს პლუს პასის რეიტინგი**

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გომესი | ბაიერნი | 31 | 27 | 5 | 32 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 33 | 12 | 13 | 25 |
| 3. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 26 | 7 | 17 | 24 |
| 4. პაპის დემბა სისე | ფრაიბურგი | 31 | 22 | 1 | 23 |
| 5. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 32 | 6 | 15 | 21 |
| 6. მილოვოე ნოვაკოვიჩი | კიოლნი | 27 | 16 | 5 | 21 |
| 7. არიენ რობენი | ბაიერნი | 13 | 12 | 9 | 21 |
| 8. არტურო ვიდალი | ლევერკუზენი | 32 | 10 | 11 | 21 |
| 9. ლუკას ბარიოსი | ბორუსია (დ) | 31 | 14 | 6 | 20 |
| 10. დიდიე ია კონანი | ჰანოვერი | 27 | 13 | 7 | 20 |

II ბუნდესლიგა

# აუგსბურგი: პირველად ელიტაში

## ჰერტას ისეთი გუნდი მოჰყვება, პირველ ბუნდესლიგაში არასდროს რომ არ უთამაშია

ბერლინის „ჰერტას“ შემდეგ, პირველი ბუნდესლიგის საგზური კიდევ ერთმა გუნდმა გაინაღდა: ეს გახლავთ მიუნხენთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ აუგსბურგის გუნდი ასეთივე სახელწოდებით FC Augsburg, შემოკლებით FCA. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ „აუგსბურგს“ პირველ ბუნდესლიგაში აქამდე არასდროს უასპარეზია.

„ფრანკფურტთან“ მოგებული მატჩის (2:1) შემდეგ, რამაც აუგსბურგელებს ელიტის საგზური ფაქტობრივად გაუნაღდა, ლუდით გაწუწული მწვრთნელი **იოს ლუჰუკაი** საპრესკონფერენციო დარბაზში იჯდა და როგორც ყოველთვის, დიდხანს ფიქრობდა, რა და როგორ ეთქვა. სწორედ ამ დროს, დარბაზში ფეხბურთელები შეცვივდნენ – მათ წინ თავდამსხმელი **ნანდო რაფაელი** მოუძღოდათ, რომელმაც ლუდის უდიდესი კათხა შემოიტანა და თანაგუნდელებთან ერთად ყველა გაწუწა – მწვრთნელიც, პრესატაშეც და ჟურნალისტებიც.

მერე რაფაელი მიკროფონს მივარდა და იყვირა: *„ამიერიდან მე ვარ აქ მთავარი ბოსი და ახალი მწვრთნელიც, იოსს შეუძლია შვებულებაში წავიდეს!“* მალევე რაფაელს მიკროფონი ხელიდან ნახევარმცველმა **იბრაჰიმა ტრაორემ** გამოჰგლიჯა და ჩასძახა: *„ლიონელ მესი ყოველდღე მირეკავს და მეკითხება, ასეთ რალაცებს მოედანზე როგორ აკეთებთ, შენნაირი ფინტები არც კი დამესიზმრებაო. ყოველდღე მირეკავს ჟოზე მოურინიოც და მეხვეწება, „რეალში“ გადმოდი, ძალიან გვჭირდებიო, მაგრამ მე სულ უარს ვეუბნები“.* მოკლედ, აუგსბურგელები ხუმრობდნენ და ზეიმობდნენ, როგორც შეეძლოთ...

*„ჩვენ აბსოლუტურად დამსახურებულად გადავდივართ პირველ ბუნდესლიგაში და ამ დღეებში ყველა ბარსა თუ ღამის კლუბს მოვივლით, ყველა შესაძლო სასმელს დავლევთ“*, - ეს კი თავდამსხმელ **მიხაელ თურკის** სიტყვებია. გასაკვირი არაფერია – „აუგსბურგი“ პირველად ითამაშებს ელიტაში.

*„ეს ამ გუნდისთვის და ამ ქალაქისთვის ძალიან დიდი წარმატებაა,* - აცხადებს მწვრთნელი ლუჰუკაი, - *„ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება. სეზონის წინ ამაზე მხოლოდ ვოცნებობდი. ეს პირადად ჩემთვის უფრო დიდი წარმატებაა, ვიდრე მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ პირველ ბუნდესლიგაში გადაყვანა, რაც 2008 წელს მოვახერხე. საქმე ის არის, რომ „გლადბახი“ უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების მქონე გუნდია, „აუგსბურგისგან“ კი ამას არც არავინ ელოდა და არც არავინ ითხოვდა.“*

ამრიგად, „აუგსბურგი“ 51-ე გუნდია, რომელიც პირველ ბუნდესლიგაში იასპარეზებს. მართალია, გუნდს მეორე ადგილი ოფიციალურად ჯერ არ გაუნაღდებია, მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ლუჰუკაის ბიჭებმა მეორე ადგილი დათმონ, რადგან ბოლო ტურის წინ მესამეადგილოსან „ბოხუმს“ სამი ქულით უსწრებენ, ბურთების შეფარდების მხრივ კი 20 გოლით სჯობნიან - ხომ ხვდებით, უტოპიაა ის, რომ „აუგსბურგმა“ ბოლო ტურში 0:10 წააგოს, „ბოხუმმა“ კი მინიმუმ 11:0 მოიგოს. შვაბები ბოლო ტურში „ჰერტას“ ხვდებიან და მოკლედ, ბერლინელები და აუგსბურგელები ერთად იზეიმებენ.

*„უკვე დღეიდან პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას ვიწყებთ. „ფრაიბურგს“, „მაინცს“ და „ჰანოვერს“ უნდა მივბაძოთ. იმედია, ელიტიდან აღარასოდეს გავვარდებით,“* - ეს გუნდის მენეჯერის, **ანდრეას რეტიგის** სიტყვებია.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტურის წინ

LFP

# ოქროს ტური? სამეფო კლუბში შაჰი მივიდა

**დღეს, 22:00**
**დეპორტივო VS ბილბაო**
**დისკვალიფიკაცია:** ლოპო (დეპ)
**ტრავმა:** ტომასი, ურეტა, დეზმარე, ჟუკა (?) - ი. გომესი (?), ოსიო, სუსაეტა, რამალიო, აურტენეჩე, სერიო

**დღეს, 23:00**
**მალაგა VS სპორტინგი**
**დისკვალიფიკაცია:** ველიგტონი - ნაჩო ნოვო
**ტრავმა:** რუბენი (?), უვუსუ-აბეიე, მალაგუენო, ასენხო, კალა - კუელიარი, ხიმენესი, სასტრე, სანგოი (?)

**დღეს, 23:00**
**რასინგი VS ატლეტიკო**
**დისკვალიფიკაცია:** ლასენი, კენედი (რას)
**ტრავმა:** სერანო, კოლსა - კოკე (?), ტიაგო, პულიდო, პერესი

**დღეს, 00:00**
**რეალი VS ხეტაფე**
**დისკვალიფიკაცია:** კასკერო (ხეტ)
**ტრავმა:** გაგო, ხედირა - ალბინი (?), ბორხა (?), გავილანი, მანუ, ხ. ლოპესი

**ხვალ, 22:00**
**ალმერია VS ვილიარეალი**
**დისკვალიფიკაცია:** კაპდევილა (ვილ)
**ტრავმა:** ფეგული, ნიეტო - სენა (?), გონსალო, ა. ლოპესი, ოლივა

**ხვალ, 22:00**
**ლევანტე VS ბარსელონა**
**ტრავმა:** სერხიო, ლარეა (?), პერესი, დელ ორნო, ნ. გონსალესი, ხუანლუ - მონტოია, პუიოლი (?), მილიტო, ადრიანო

**ხვალ, 22:00**
**სოსიედადი VS სარაგოსა**
**ტრავმა:** ხ. ლორენტე - ბერტოლო (?), ბუტაპარი (?), ლაგუარდია, კონტინი

**ხვალ, 23:00**
**ესპანიოლი VS ვალენსია**
**ტრავმა:** ს. გარსია, ბაენა, პ. ალვარესი, დ. გარსია, პენა, დატოლო, დუშერი, ფორლინი, მატიონი - ვისენტე, ბრუნო, დ. ნავარო, ტ. კოსტა, ხ. დომინგესი

**ხვალ, 23:00**
**ერკულესი VS მალიორკა**
**დისკვალიფიკაცია:** ფრიტცლერი (ერკ)
**ტრავმა:** ტოტე, დრენტე, კრისტიანი, ფარინოსი, სარი - ტეხერა, ავატე, კორალესი, ენრიხი

**ხვალ, 00:00**
**ოსასუნა VS სევილია**
**ტრავმა:** არანდა, რობერტო, ვადოცი (?), მასუდი, ფლანიო, რუპერი - რაკიტიჩი, გუარენტე, ჩიგარინი, ნავასი, კასერესი, ალექსისი

35-ე ტური ახლახან დასრულდა და უკვე შემდეგ ტურზე გვიწევს წერა, ესპანეთში ლა ლიგის დამთავრება ეჩქარებათ - ჩემპიონატის მთავარ კითხვას კი ალბათ ეს ტური გასცემს პასუხს - თუ რამე საოცარი არ მოხდა, ხვალ საღამოს ოფიციალურად გვეცოდინება, რომ 111 წლის წინათ დაარსებული „ბარსელონა“ ესპანეთის 21-გზის ჩემპიონია. „ბლაუგრანას“ 91 ქულა აქვს და „სამეფო კლუბის“ თამაშიდან გამომდინარე, საჩემპიონოდ 92 ჰყოფნის. „ბარსა“, შესაძლოა, ჩემპიონი დღესაც გახდეს, თუკი „რეალი“ მადრიდულ დერბიში „ხეტაფეს“ ვერ დაამარცხებს, თუ არადა ტიტულს, სავარაუდოდ, ხვალ ვალენსიაში გაინაღდებს 43-ქულიანი „ლევანტეს“ წინააღმდეგ. „ლევანტე“ გასავარდნ ზონას 4 ქულით უსწრებს, ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტურით ადრე ეს ცოტა არ არის, თუმცა აღმოსავლურ გუნდს შიშის საფუძველი მაინც აქვს - კაციშვილმა არ იცის, რომელი გუნდი იქნება მესამე უიღბლო, „ალმერიას“ და „ერკულესის“ (ამათ ჯერ კიდევ აქვთ თეორიული შანსები) შემდეგ - მე-9 ადგილოსანი „სპორტინგიდან“ მოყოლებული ყველა გავარდნის კანდიდატია. რეალურად მესამე უიღბლო შეიძლება იყოს 10 ესპანური გუნდიდან ერთი - ასეთი დაძაბულობა ცხრილის ქვედა ნახევარში მართლაც საკვირველია.

ამასობაში კი მადრიდის „რეალში“ დიდი სიახლეა და ჩვენც სწორედ ამ სიახლით დავიწყებთ.



ნური შაჰინი რეალელია

## ნური: არ მინდა ფული!

„რეალი“ დღეს გავარდნის ერთ-ერთ კანდიდატ „ხეტაფეს“ მასპინძლობს, თუმცა სიახლე ამ თამაშს საერთოდ არ უკავშირდება - როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ „სამეფო კლუბმა“ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბუნდესლიგის ბოლო სეზონის სენსაცია **ნური შაჰინი** ამიერიდან „რეალის“ ფეხბურთელია. ესპანელები შეუთანხმდნენ დორტმუნდის „ბორუსიას“ ხელმძღვანელობას და ნახევარმცველი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა დორტმუნდელთა გაჩემპიონებაში, მომავალ 6 სეზონს „რეალში“ გაატარებს.

მოკლედ, ზაფხულის სატრანსფერო სეზონი „რეალმა“ გახსნილად გამოაცხადა, ნური შაჰინი „სამეფო კლუბს“ 10 მილიონი ევრო დაუჯდა. ნურიმ ახალი რეკორდი უკვე დაამყარა - ის, „რეალის“ ისტორიაში პირველი თურქი ფეხბურთელია.

*„ჩემს ტრანსფერში ფული არაფერ შუაშია, თუკი ჯანმრთელი ვიქნები, ჩემს სამყოფ თანხას ყველა შემთხვევაში გამოვიმუშავებდი, მაგრამ „დორტმუნდის“ დატოვების გადაწყვეტილება იმიტომ მივილე, რომ „რეალი“ პლანეტის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ნებისმიერ ფეხბურთელს სურს უმაღლეს დონეზე თამაში და ტიტულების მოხვეჭა, გამონაკლისი არც მე ვარ. ძალიან მიჭირს კლუბის დატოვება, მომენატრება ბუნდესლიგა და ჩემი სამშობლო, მაგრამ მომავალ კარიერას დიდი იმედით ვუყურებ“.* 22 წლის შაჰინი 12 წლიდან „ვესტფალენშტადიონზეა“ და თუ ხანმოკლე იჯარას არ ჩავთვლით „ფეიენოორდში“ (29 თამაში, 16 გოლი), მთელი კარიერა „დორტმუნდში“ აქვს გატარებული. ნური კაზიმ შაჰინი გერმანულ ქალაქ ლიუდენშაიდშია დაბადებული და გერმანიაშივეა გაზრდილი, თუმცა სანაკრებო დონეზე მან ისტორიული სამშობლოს, თურქეთის მაისურა აირჩია. 2005 წელს შაჰინი ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი (16 წლის და 334 დღის) გახდა, რამდენიმე თვეში კი - ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეგოლე. სხვათა შორის, შაჰინს იგივე რეკორდი ეკუთვნის თურქეთის ეროვნულ ნაკრებშიც (სადაც პირველი გოლი სწორედ გერმანიის ნაკრების კარში გაიტანა).

ნური შაჰინი ძალიან ნიჭიერი ნახევარმცველია, რომელსაც ერთნაირად კარგად გამოსდის, როგორც შექმნა, ისე ჩაშლა, აქვს ძლიერი დარტყმა ცაციათი, კარგად ასრულებს სტანდარტულებს.

თუმცა გავანებოთ თავი შაჰინს, ის ვერაფრით დაეხმარება „რეალს“ „ხეტაფესთან“ შეხვედრაში. ამ მატჩისთვის კი ჟოზე მოურინიოს მოსამზადებლად მხოლოდ ორი დღე ჰქონდა. პორტუგალიელმა კვირას არ დაასვენა ფეხბურთელები და სავარჯიშოდ გაიყვანა. თუკი თავად „განსაკუთრებულმა“ არ შეუშალა ხელი, **კრიშტიანო რონალდოს უგო სანჩესის** რეკორდის დამხობა შეუძლია - პორტუგალიელმა უკვე 33 გოლი გაიტანა სეზონში და 5 გოლითღა ჩამორჩება მექსიკელის მიღწევას 1989/90 წლების სეზონში. რონალდოს 3 თამაშში ნამდვილად ძალუძს 5 გოლის გატანა.

„რეალს“ უბრუნდებიან დისკვალიფიკაციამოხდილი **ანხელ დი მარია** და **რიკარდო კარვალიო**, ორივე სასტარტო შემადგენლობაში დაიმკვიდრებს ადგილს. ლაზარეთში კი კვლავ ორი ფეხბურთელია: **სამი ხედირა** და **ფერნანდო გაგო**. „რეალის“ ლეგენდა **მიჩელს**, რომელიც „ხეტაფეს“ წვრთნის 4 ფეხბურთელი დააკლდება ტრავმების გამო: **ხაიმე გავილანი, რაფა, მანუელ დელ მორალი (მანუ)** და **ხუან ალბინი**.

## სამი და ასი

„ბარსა“ ხვალ სტუმრობს „ლევანტეს“. **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდი ზედიზედ მესამედ გახდება ჩემპიონი. ბოლოს ასეთი წარმატება „ბლაუგრანას“ 90-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა. „ბარსას“ კიდევ ერთი ინტერესი აქვს სეზონის ბოლომდე - თუკი ყველა მატჩს მოიგებს, 100-ქულიან ზღვარს უწევს. ასეთი რამ კი ესპანეთის ჩემპიონატში არ მომხდარა. შარშან „ბარსამ“ 99 ქულით დაასრულა ჩემპიონატი.

კვირას „ესპანიოლთან“ მოგებული დერბი „ბარსასთვის“ შინ ზედიზედ მოგებული მე-15 მატჩი იყო. ეს კი 1973/74 წლების სეზონის მიღწევის გამეორებაა. ლა ლიგაში „ბლაუგრანამ“ ბოლოს „კამპ ნოუზე“ 3 ოქტომბერს ვერ მოიგო, როცა „მალიორკას“ შეხვდა და დაუზავდა. დერბიში ყველაზე მეტჯერ ბურთი გუნდისთვის **ჟერარდ პიკემ** მოიპოვა - 15-ჯერ, „ესპანიოლიდან“ კი ამ მხრივ **რაულ როდრიგესი** გამოირჩა - 10 ართმევა. „ბარსელონას“ ახალგაზრდა მცველმა **ფონტასმა** კვლავ დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა და ისევ დაიმსახურა გვარდიოლას შექება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ფონტასის პოზიცია - სარეზერვო გუნდში ის ცენტრალური მცველი იყო.

თუმცა გავანებოთ თავი დერბის - „ლევანტეს“ მატჩის წინ კლუბის ექიმებმა ორ ფეხბურთელს შეატყობინეს, რომ სრულად გამოჯანმრთელდნენ და თამაში შეუძლიათ. ესენია **მაქსველი** და **ბოიან კრკიჩი**. ბრაზილიელ მცველს ისედაც მცირე ტრავმა ჰქონდა. აი, ბოიანის ნაადრევად გამოჯანმრთელება კი საოცარია. „ბარსას“ ვარჯიშზე სახალისო სიტუაცია იყო, კრკიჩმაც ბოლომდე ივარჯიშა გუნდთან ერთად. არადა, მან 9 აპრილს „ალმერიასთან“ ისეთი ტრავმა მიიღო, რომ სეზონის ნაადრევი დასრულება უწინასწარმეტყველეს. სამაგიეროდ, ჯერ ბოლომდე ვერ არიან მწყობრში კაპიტანი **კარლეს პუიოლი** და **ადრიანო**. გვარდიოლამ 8 ფეხბურთელი მიიწვია სარეზერვო შემადგენლობიდან, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი **ტიაგო ალკანტარაა**.

წინასამატჩო პრესკონფერენციაზე **ვიქტორ ვალდესმა** ისაუბრა: *„ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია ჩვენთვის, რადგან მისთვის დიდი ბრძოლა გამოვიარეთ, „რეალი“ იოლად არ დანებებულა. ლა ლიგის ტიტული მთავარია და მასთან „პიჩიჩი“ და „ზამორას“ ტიტულები ახლოს ვერ მოვლენ. ამიტომ, მეც და ლეო მესიც უპირველესად გუნდის წარმატებაზე ვფიქრობთ“.* ვალდესს დაეკითხნენ, თუ რომელი მომენტი დაამახსოვრდა ყველაზე მეტად ამ სეზონში, „ბარსას“ მეკარემ თქვა, რომ ყველაზე ძნელი ესპანიოლელი **კალეხონის** დარტყმის მოგერიება იყო და ამაყობს, რომ ეს შეძლო.

შეგახსენებთ, რომ ბომბარდირობისთვის ბრძოლაში რონალდო 2 გოლით უსწრებს **ლეო მესის**.

ინციდენტი მოხდა „ვალენსიას“ ვარჯიშზე „ოსასუნასთან“ მატჩის შემდეგ - ერთმანეთში შელაპარაკდნენ მეკარე **სესარ სანჩესი** და **ხორდი ალბა**. რომ არა **უნაი ემერის** დროული ჩარევა, შელაპარაკება ხელჩართულ ჩხუბში გადაიზრდებოდა.

## ერთად და ღამით

LFP-ს ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ პრიმერადივიზიონის ბოლოსწინა ტურის ყველა მატჩი კვირას, 15 მაისს ერთდროულად გაიმართება. 10-ვე შეხვედრა ჩვენი დროით შუაღამით დაიწყება. გეტყვით, რომ „ბარსელონა“ „დეპორტივოს“ მასპინძლობს, ხოლო „რეალი“ „ვილიარეალს“ სტუმრობს.

## რა შეიძლება გაირკვეს ამ ტურში?

- გამოვლინდეს ჩემპიონი
- „ვალენსიამ“ დაიბევოს მე-3 ადგილი.
- „ვილიარეალმა“ დაიბევოს ჩემპიონთა ლიგის საგზური.
- „ერკულესი“ ოფიციალურად დაემშვიდობოს პრიმერადივიზიონს.
- „ესპანიოლი“ გამოეთიშოს ევროპის ლიგის საგზურისთვის ბრძოლას.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 35 | 29 | 4 | 2 | 91-19 | 91 |
| 2. რეალი | 35 | 26 | 5 | 4 | 87-31 | 83 |
| 3. ვალენსია | 35 | 20 | 6 | 9 | 60-42 | 66 |
| 4. ვილიარეალი | 35 | 18 | 7 | 10 | 53-40 | 61 |
| 5. ბილბაო | 35 | 17 | 3 | 15 | 55-51 | 54 |
| 6. ატლეტიკო | 35 | 15 | 7 | 13 | 55-47 | 52 |
| 7. სევილია | 35 | 15 | 7 | 13 | 54-55 | 52 |
| 8. ესპანიოლი | 35 | 15 | 3 | 17 | 42-49 | 48 |
| 9. სპორტინგი | 35 | 10 | 13 | 12 | 33-39 | 43 |
| 10. ლევანტე | 35 | 12 | 7 | 16 | 39-49 | 43 |
| 11. მალიორკა | 35 | 12 | 7 | 16 | 35-47 | 43 |
| 12. რასინგი | 35 | 11 | 10 | 14 | 37-51 | 43 |
| 13. მალაგა | 35 | 12 | 6 | 17 | 50-64 | 42 |
| 14. ოსასუნა | 35 | 11 | 8 | 16 | 41-42 | 41 |
| 15. სოსიედადი | 35 | 13 | 2 | 20 | 45-61 | 41 |
| 16. ხეტაფე | 35 | 11 | 7 | 17 | 46-55 | 40 |
| 17. სარაგოსა | 35 | 10 | 9 | 16 | 36-50 | 39 |
| 18. დეპორტივო | 35 | 9 | 12 | 14 | 29-44 | 39 |
| 19. ერკულესი | 35 | 9 | 6 | 20 | 33-56 | 33 |
| 20. ალმერია | 35 | 5 | 11 | 19 | 32-61 | 26 |

**ბომბარდირები:** 33 - რონალდო (რეალი); 31 მესი (ბარსელონა); 18 - ვილია (ბარსელონა), როსი (ვილიარეალი); 17 - ფ. ლორენტე (ბილბაო), აგუერო (ატლეტიკო); 16 - სოლდადო (ვალენსია); 15 - ნეგრედო (სევილია).

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ბოიან კრკიჩი უკვე ჯანზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ჯოვანი დოს სანტოსი



ნარნერა: მექსიკის ნაკრების ძველი და ახალი თაობა (მარცხნიდან): ჯოვანი დოს სანტოსი, რაფაელ მარკესი, ანდრეს გუარდადო და ხავიერ ერნანდესი

# ახალგაზრდები და ნიჭიერები

**მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსი ჯერ 21 წლისაა, თუმცა მისი სახელი საფეხბურთო სამყაროს უკვე 4 წელია პირზე აკერია. ის ჯერ კიდევ არ იყო სრულწლოვანი, როცა „ბარსელონას" შემადგენლობაში გამოჩნდა და გულშემატკივარი მოხიბლა. ჯოვანის კარიერა ისე ვერ წარიმართა, როგორც ამას მისი ფანები ისურვებდნენ, რადგან ინგლისში გადასვლამ აშკრად უკან დახია. მექსიკელი სანტანდერის „რასინგში" ბოლო ხანს მშვენივრად გამოიყურება და ფიფას ოფიციალური საიტის ჟურნალისტმა ალბათ ამიტომაც გადაწყვიტა მასთან გასაუბრება.**

**- ჯოვანი, როგორ გრძნობთ თავს ამჟამად?**

- უაღრესად კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ესპანეთში დაბრუნებამ ჩემს პროგრესში უმთავრესი როლი ითამაშა. ეს ხომ ის ქვეყანაა, სადაც ფეხბურთის თამაში ვისწავლე. აქ ნამდვილად მეძლევა საშუალება, ვაჩვენო ყველაფერი, რისი თავიც მაქვს. სწორედ ეს იყო გადამწყვეტი მოტივაცია, რამაც „რასინგში" გადასვლა გადამაწყვეტინა. ახლა მთავარია, პრიმერაში ადგილის შენარჩუნება მალევე გავინაღდოთ.

**- „ტოტენჰემში" გატარებული პერიოდის შემდეგ თავს ნამდვილად თავისუფლად უნდა გრძნობდეთ.**

- ლონდონში ორი საკმაოდ მძიმე წელიწადი გავატარე, რადგან მხოლოდ ეპიზოდურად მიწევდა თამაში. მათ ჩემთვის უბრალოდ შანსიც კი არ მოუციათ. არადა, თავის დროზე ხუანდე რამოსმა მითხრა, რომ ძირითადის ფეხბურთელად მომიაზრებდა. მერე რედნაპი მოვიდა, ვის გეგმებშიც ვერაფრით ჩავჯექი. სეზონის წინ დიდი იმედები მქონდა, რადგან მოსამზადებელ ეტაპზე კარგად ვთამაშობდი, მაგრამ ჩემპიონატის განმავლობაში ისევ განაცხადს მიღმა ვრჩებოდი.

**- მენეჯერთან პირადი პრობლემები ხომ არ გქონიათ?**

- ასე ვერ ვიტყოდი. ვარჯიშისას 100%-ით ვიხარჯებოდი იმისთვის, რომ კვირის ბოლოს მწვრთნელს ჩემთვის ცოტა მეტი დრო მოეცა, მაგრამ მას ჩემი არ ესმოდა. ახლა მთავარი ის არის, რომ სანტანდერში თავს კარგად ვგრძნობ და ვცდილობ, საუკეთესო ფორმაში რაც შეიძლება მალე ჩავდგე. ეს ჩემი მიზანია და უაღრესად კონცენტრირებული ვარ, რათა ამ მიზანს მივაღწიო.

**- რთულ პერიოდს როგორ უმკლავდებოდით?**

- ყოველთვის ყველაფერი ისე არ ვითარდება, როგორც ადამიანს სურს. ასეა ფეხბურთშიც. კარიერა კარგი და ცუდი ეტაპებისგან შედგება. მთავარია, რომ ძლიერი ნებისყოფა გამოიჩინო და არ მისცე უფლება წარუმატებლობას, ძირს დაგცეს. მეც ასე მოვიქეცი. ვუთხარი ჩემს თავს, რომ მხოლოდ სიმშვიდე მიშველიდა.

**- ჯერ 21 წლის ხართ, მაგრამ მწვერვალებს უკვე რა ხანია ეპოტინებით. ბავშვობაში ელოდებოდით, რომ ყველაფერი ასე განვითარდებოდა?**

- სიმართლე თუ გინდათ, არ ვიცი. ვიმეორებ, ამწუთას მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ დავიბრუნო ჩემი საუკეთესო ფორმა.

**- თქვენი უმცროსი ძმა ჯონათანიც „ბარსელონაშია" და ძირითად გუნდში მოსახვედრად იბრძვის. რჩევებით თუ ეხმარებით მას?**

- როცა კი მას ველაპარაკები, მუდამ ვუმტკიცებ, რომ მომთმენი უნდა იყოს. ის ულაპარაკოდ მსოფლიოს უპირველეს კლუბში ირიცხება და ფაქტია, რომ მის გვერდით მხოლოდ უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ. მათთან ვარჯიშიც კი დიდი პატივია. ჯონათანმა სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს და თავის შანსს დაელოდოს.

**- ცოტა რამ მექსიკის ნაკრებზეც გვითხარით. როგორ მოგწონთ მისი ახალი ეპოქა?**

- ბედნიერი ვარ. ხოსე მანუელ დე ლა ტორემ დამარწმუნა, რომ ჩემი სჯერა. ვფიქრობ, ჩვენი ახალი გუნდი იმდენად ნიჭიერია, რომ შეუძლია ისტორიაში შესვლა. განსხვავებაც ეს არის ძველ ნაკრებთან, რომ ჩვენ ახალგაზრდები, მაგრამ გამოცდილები ვართ.

**- დე ლა ტორეს დანიშვნამდე გუნდმა დიდი რყევები განიცადა. მზად არიან თუ არა მექსიკელი ფეხბურთელები, რომ ეს ყველაფერი დაივიწყონ?**

- ვფიქრობ, ახალ მწვრთნელთან მუშაობა ჩვენმა ნაკრებმა სუფთა ფურცლიდან დაიწყო. გუნდში მკვიდრდება ახალი სისტემა და ყალიბდება ახალი ატმოსფერო. ალარ არის იმის დრო, რომ ცუდ რამეებზე ვიფიქროთ. ვფიქრობ, რასაც აქამდე ჩვენზე ცუდს ლაპარაკობდნენ, ისიც ცოტა გადაჭარბებული იყო.

**- მექსიკის ნაკრები კონკაკაფის ოქროს თასზეც ითამაშებს და კოპა ამერიკაზეც. რომელ ტურნირში გირჩევნიათ ძალების გამოცდა?**

- თუკი შესაძლებელი იქნება, ორივეში სიამოვნებით ვიასპარეზებდი. ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, რასაც ის მეტყვის, ულაპარაკოდ გავაკეთებ. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ერთი ოქროს თასი უკვე მოგებული მაქვს ნაკრებში, კოპაზე კი არასოდეს ვყოფილვარ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ჭადრაკი

# კვარტეტში ერთი ქართველიცაა

არაერთხელ ითქვა, რომ თბილისში მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატზე უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ შეჯიბრების სტარტიდანვე ნახევარი ქულისთვისაც კი უშელავათო ორთაბრძოლებია. აი, შედეგიც - მხოლოდ სამი ტური მიილია და ტურნირს უდანაკარგოდ ოთხი დიდოსტატილა შემორჩა. ერთ-ერთი ჩვენებურია - **ბელა ხოტენაშვილი.** გუშინ იგი თეთრი ფიგურებით რუსეთის ეროვნული ნაკრების წევრ **მარია რომანკოს** ეთამაშებოდა. დებიუტში მიღებული უპირატესობა მან ბოლომდე შეინარჩუნა და 75-ე სვლაზე ჩრდილოელი მეზობელი აიძულა, საათი გაეჩერებინა. ზედიზედ მესამე წარმატებას მიაღწია ჩემპიონატის რუსმა რეიტინგფავორიტმა **ნადეჟდა კოსინცევამ.** გუშინ მან **ქეთევან არახამია-გრანტი** (შოტლანდია) დაამარცხა. ჯიქურ მიიწევს წინ **ელინა დანიელიანი.** სომხეთის ნაკრების ლიდერმა **ნინო ხურციძეს** აჯობა. ევროპის სამგზის ვერცხლის პრიზიორმა **ვიქტორია ჩმილიტემ** (ლიტვა) ახალგაზრდა **ნაზი პაიკიძეს** სძლია. ლიდერთა დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ: ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლახნო (უკრაინა)-2008 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ლელა ჯავახიშვილი, ელენა სედინას (იტალია) სძლია. გათამაშების ცხრილში ორი ყაიმის შემდეგ პირველი მოგება ჩაიწერა ალექსანდრა კოსტენიუკმა - თანამემამულე ალექსანდრა გორიაჩკინა დაჯაბნა... სოფიო გვეტაძე-ჰოანგ თან თრანგი (უნგრეთი) 0.5:0.5, ინა გაპონენკო (უკრაინა)-მაკა ფურცელაძე 0.5:0.5, სალომე მელია-სვეტლანა ჩერედნიჩენკო (უკრაინა) 0.5:0.5, სოფიკო ხუხაშვილი-მარია მანაკოვა (სერბეთი) 1:0, ნინო ბაციაშვილი-კატერინა ნემკოვა (ჩეხეთი) 1:0, ტერეზა ოლსაროვა (ჩეხეთი)-მირანდა მიქაძე 0:1...

დღეს მე-4 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ლიდერები: ჩმილიტე (3)-ნადეჟდა კოსინცევა (3), ხოტენაშვილი (3)-დანიელიანი (3), სტეფანოვა (2,5)-ბაციაშვილი (2,5), ზავადსკა (2,5)-ლახნო (2,5), კრამლინგი (2,5)-ოვოდი (2,5), ჯავახიშვილი (2,5)-კოვანოვა (2,5), ბოდნარუკი (2,5)-გურამიშვილი (2,5).



მარცხნიდან: სავა სტოისავლევიჩი და ნანა ალექსანდრია




ევგენია ოვოდი (რუსეთი)-მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ევროპის სამგზის პრიზიორი ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი)-ლილით გალოიანი (სომხეთი), სოფიკო გურამიშვილი-კონტინენტის 2008 წლის ბრინჯაოს მედალოსანი, უკრაინის ნაკრების წევრი ანა უშენინა, სოფი მილიე (საფრანგეთი)-ორგზის ევროპის ჩემპიონი, 2010 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ტატიანა კოსინცევა (რუსეთი), 2008 წლის დრეზდენის საჭადრაკო ოლიმპიადის ოქროს მედალოსანი, ფიდეს ქალთა გრანპრის ერთ-ერთი ეტაპის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე-საქართველოს 2011 წლის ჩემპიონი მაია ლომინეიშვილი, ინგა ჭარხალაშვილი-ოცწლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ანა მუზიჩუკი (სლოვენია). ორგზის ევროპის ჩემპიონმა პია კრამლინგმა (შვედეთი)

„შერატონ მეტეხი პალასში" შეჯიბრებას ესწრება ევროპის საჭადრაკო კავშირის გენერალური მდივანი **სავა სტოისავლევიჩი** (სერბეთი), რომელსაც გუშინ ვესაუბრეთ:

- ჩემპიონატი შესანიშნავად არის ორგანიზებული, მარტო ჩემსას კი არა, ტურნირის მონაწილეთა აზრსაც გეუბნებით. აქ, მართლაც, ყოველგვარი პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ ასპარეზობის თითოეულმა მონაწილემ ბოლომდე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ყველაფერი უმაღლეს დონეზე გააკეთეს. ნათლად ჩანს, რომ საქართველო საჭადრაკო ქვეყანაა. მადლიერების გამოსახატავად, უბრალოდ, სიტყვები არ მყოფნის.

**- როცა შეჯიბრების მასპინძლად თბილისი დასახელდა, მაშინ თუ წარმოიდგენდით, რომ ყველაფერი ასე აეწყობოდა?**

- არასდროს დავეჭვებულვარ, რადგან საქართველოში უამრავი მნიშვნელოვანი ასპარეზობა გამართულა. ქალთა პირველ კონტინენტის ჩემპიონატს ხომ ბათუმმა უმასპინძლა. იქვე გაიმართა ევროპის გუნდური და ვაჟთა ინდივიდუალური ჩემპიონატები, სხვადასხვა ასაკში ევროპისა და მსოფლიოს პირველობები; შეჯიბრებებიდან უკმაყოფილო არავინ წასულა. სწორედ, ამან განაპირობა ის, რომ თბილისში კონტინენტის უძლიერესი დიდოსტატები ჩამოვიდნენ.

**- წლევანდელი ევროპის ჩემპიონატი ორი ლეგენდარული ქართველი მოჭადრაკე ქალის იუბილეებს ეძღვნება...**

- და ეს სასიამოვნოცაა. ნონა გაფრინდაშვილმა და მაია ჩიბურდანიძემ ამგვარი პატივი დაიმსახურეს. ორივეს კარგად ვიცნობ. ქალბატონი ნონა სერბეთის „გოშას" შემადგენლობაში გამოდიოდა, ხოლო მე და ქალბატონი მაია ერთად ვიცავდით „იუგომეტალის" ღირსებას. იუბილარები არა მარტო ძლიერი და სახელოვანი დიდოსტატები, არამედ დიდბუნებოვანი ადამიანები არიან.

**- თბილისში მსოფლიოს საუკეთესო ათეულის 6 წარმომადგენელი თამაშობს. მედლების მოპოვების უპირველესი კანდიდატებიც, ალბათ, ისინი იქნებიან...**

- ჩემპიონატის მოსაგებად ფავორიტობა სულაც არ არის აუცილებელი. ნახეთ, პირველმა ტურმა რამდენი სიურპრიზი შემოგვთავაზა: ევროპის პირველმა ჩემპიონმა ნატალია ჟუკოვამ წააგო ნელი ალექსანიანთან, რომლის რეიტინგი 2141-ს არ აღემატება. მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი ახალგაზრდა არაბიძეს დაუზავდა, მე-2 ტურში კი წაწალაშვილთან დაკარგა ნახევარი ქულა. ასე რომ, საპრიზო ადგილებზე გასვლა ფავორიტობაზე კი არა, მათს დღევანდელ სპორტულ ფორმაზეა დამოკიდებული. წინასწარ რამის თქმა ძნელია, წინ დიდი გზაა – მთელი რვა ტური. ევროპის ჩემპიონატი საინტერესოდ დაიწყო და, იმედია, ქომაგები არ მოიწყენენ.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

# ერთპიროვნულად ჯობავა დაწინაურდა

სარაევოში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველმა დიდოსტატმა **ბაადურ ჯობავამ,** რომელიც შეჯიბრებაზე რეიტინგით (2704) მეორეა გერმანელი **არკადი ნაიდიჩის** (2716) შემდეგ, ერთპიროვნულ ლიდერ **ივან სარიჩს** (ხორვატია) სძლია და 16 ქულით თავად მოექცა გათამაშების ცხრილის სათავეში. ნაიდიჩმა რუმინელ **მირჩეა-ემილიან პარლიგრასთან** წააგო. ლიდერთა ჯგუფში დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: **მოჰამედ ალ-სეიდი** (ყატარი)-**ჰრანტ მელქუმიანი** (სომხეთი) 0:1, **იბრო სარიჩი** (ბოსნია-ჰერცეგოვინა)-**კრისტიან საბო** (უნგრეთი) 0.5:0.5, **მატეი სებენიკი** (სლოვენია)-**დანილო მილანოვიჩი** (სერბეთი) 1:0, **კირილ გეორგიევი** (ბულგარეთი)-**კონსტანტინ ლუპულესკუ** (რუმინეთი) 0.5:0.5.

ექვსი ტურის შემდეგ: ჯობავა-16, ივან სარიჩი, პარლიგრასი, მელქუმიანი, სებენიკი-15-15, ნაიდიჩი, ლენიჩი, პრედოიევიჩი, კოვაჩევიჩი, იბრო სარიჩი, საბო-13-13 ქულა. დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: მელქუმიანი-ჯობავა, ივან სარიჩი-პარლიგრასი, ნაიდიჩი-სებენიკი, ლენიჩი-იბრო სარიჩი, კოვაჩევიჩი-პრედოიევიჩი, საბო-ივანიშევიჩი...

**ვაჟა დანელია**



ძიუდო

# კიდევ ერთი დასჯილი ქართულ სპორტში?

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიწევს წერა ქართველ სპორტსმენთა უდისციპლინობაზე. ამჯერად, ძიუდოზე, კონკრეტულად კი მძიმეწონოსან **ნოდარ მეტრეველზე**. შეგახსენებთ - ამ უქმეებზე ის გუნდთან ერთად ბაქოში იმყოფებოდა „დიდი პრიზის“ ტურნირზე, წილისყრის ოქმებშიც იყო შეყვანილი, მაგრამ არ უჭიდავია. გუშინ ამის მიზეზის ნაწილობრივ დადგენა შევძელით - როგორც ბაქოდან დაბრუნებულმა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ალექსიძემ** გვითხრა, სპორტსმენმა დაარღვია მწვრთნელთა სავარჯიშო გეგმა და ამის გამო დაისაჯა. სამწუხაროდ, ალექსიძემ მწვრთნელთა საქართველოში დაბრუნებამდე არ ისურვა დაკონკრეტება, რაში გამოიხატა ეს დარღვევა. სამაგიეროდ, გვითხრა, რომ მწვრთნელებთან კონსულტაციების შემდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს ფედერაციაც გაატარებს. გუნდი ბაქოში კიდევ ერთი კვირა დარჩება და ერთობლივ ვარჯიშებში მიიღებს მონაწილეობას, რომელშიც რვა გუნდი ჩაებმება: აზერბაიჯანი, საქართველო, თურქეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, ესტონეთი, ჩეხეთი და სლოვენია.

სამწუხაროდ, ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ძიუდოს ფედერაციას საკუთარი სპორტსმენების დასჯა უწევს. შორეულ წლებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ ამ გაზაფხულზე ორი ძიუდოისტი დასაჯეს - **ადამ ოქრუაშვილი** პოლონეთში, რბილად რომ ვთქვათ, მიუღებელი ქცევისთვის, ხოლო **სოსო ნიჟარაძე** ვარჯიშზე ნაკრების კონსულტანტთან, ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურთან** ჩხუბისთვის, როცა ნიჟარაძემ მის მითითებებს დებოშით უპასუხა.

მოვლენათა ასეთი განვითარება ძალიან ცუდია - ოქრუაშვილი წონის ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი და ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვების რეალური კანდიდატი იყო. იგივე ითქმის მეტრეველზე, თუმცა ის შედარებით ახალი გადასულია ამ წონაში, ოლონდ უკვე დაიმსახურა ნაკრების თავკაც **პეტერ ზაიზენბახერის** სიმპათიები და გუნდის იმედიც გახდა. მწვრთნელები მასაც საგზურის რეალურ პრეტენდენტად განიხილავდნენ და იმათ შორის იყო, ვისაც ზაიზენბახერი მსოფლიოს პირველობისთვის საგანგებო გრაფიკით ამზადებდა. დაგვეთანხმებით, ასეთი აკრძალვები პირდაპირ ურტყამს ნაკრების შედეგებს, თუმცა დისციპლინაც აუცილებელია. მეტრეველსაც თუ აუკრძალეს ჭიდაობა, თუნდაც მცირე ხნით, ეს აუცილებლად დაეტყობა მის მომზადებას მსოფლიოსთვის, რადგან იქამდე არც ისე დიდი დრო დარჩა - აგვისტოში იმართება. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ მეტრეველი „რეჟიმისტი“ არასოდეს ყოფილა და მწვრთნელები ყოველთვის საყვედურობდნენ ამაზე, მაგრამ საქმე დასჯის ასეთ მეთოდამდე არასოდეს მისულა.

კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, რომ უდისციპლინობა და ჩხუბი (თუმცა, ვიმეორებთ - არ ვიცით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩხუბი იყო თუ სხვა მიზეზია) ზოგადად ქართველი სპორტსმენების დამახასიათებელ თვისებად იქცა. მაგალითად, მახაჩყალაში მარტში გამართულ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიოს თასზე ჩვენი გუნდის ერთბაშად ორმა წევრმა იჩხუბა და მთელმა დარბაზმა დაუსტვინა, დაღესტნელ კომენტატორს კი ანტიქართული აგრესიის გამოვლინების შანსი მისცეს; მოგვიანებით ბაქოში ისევ „თავისუფალთა“, ოღონდ ამჯერად ჭაბუკთა ტურნირზე იჩხუბა ჩვენმა მძიმეწონოსანმა და თავი მოახსნევინა, რითაც ფინალში გასვლის ჩინებული შანსი დაკარგა - იმ პერიოდში უგებდა თურქ მეტოქეს, რომელსაც რეალურადაც ალემატებოდა მომზადებით და სპორტული ფორმით... გვესმის, ამათგან ზოგიერთ შემთხვევაში მეტოქემ ჩვენიანი წმინდა სპორტული აფერისტობით პროვოკაციაზე წამოაგო, მაგრამ აჯობებს, ჩვენმა სპორტსმენებმა გაისიგრძეგანონ, რომ უცხოეთში საკუთარ სამშობლოს წარმოადგენენ. ამასთან, ის პატარ-პატარა ეშმაკობებიც ისწავლონ, რათა უხეშობას აგრესიით კი არა, დაფარული „მუჯლუგუნებით“ უპასუხონ. ამ შემთხვევაში არც შეჯიბრებიდან მოხსნიან და რეპუტაციასაც შეინარჩუნებენ. გვინდა - არ გვინდა, მოგვწონს თუ არა, სპორტული ეშმაკობა პაექრობის შემადგენელი ნაწილია და მისი ცოდნაც აუცილებელია.

**ირაკლი თავაძე**

მეკლდეურობა



# სახელოვანი მთამსვლელის მემორიალი

წარსულში ცნობილი მთამსვლელის, გრიგოლ გულბანის ხსოვნას მიეძღვნა შეჯიბრება მეკლდეურობაში, რომელიც გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეკლდეურობის ხელოვნურ დარბაზში ჩატარდა გოგონებსა და ვაჟებს შორის თბილისის, მესტიის, ლენტეხის, ყაზბეგის, აჭარისა და იმერეთის სპორტსმენთა მონაწილეობით. საუკეთესოები რთულ ცოცვაში გამოვლინდენ.

გოგონებში პირველობა არავის დაუთმო **თამარ მელაძემ**, მეორე იყო **ანი დულარიძე**, მესამე - **ნუცა ხუციშვილი** (სამივე - თბილისი). ოქროს მედლისთვის ვაჟებს შორის გამარჯვებული მხოლოდ დამატებით ფინალურ ასვლაზე გამოვლინდა. პირველობა წილად ხვდა ასევე თბილისელ **გუგა დაბრუნდაშვილს**. მეორე და მესამე ადგილებზეც მისი თანაგუნდელები გავიდნენ - შესაბამისად, **ერეკლე მიქელაძე** და **ოთარ მაისურაძე**. გამარჯვებულები მედლებით, თასებით, ფულადი პრიზითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

გრიგოლ (გრიშა) გულბანმა 1950-60 წლებში არაერთი მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწია. იყო საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატი, საკავშირო პირველობის არაერთგზის გამარჯვებული და პრიზიორი. ამაგდარი მთამსვლელის ხელმძღვანელობით სარეკორდო დროში განხორციელდა რამდენიმე ურთულესი მარშრუტი. მის სამწვრთნელო ქურაში გამოიწრთო არაერთი გამოჩენილი მთამსვლელი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვეტერანები



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# პატივი მიაგეს

გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებასთან დაკავშირებით, ომის ვეტერანი სპორტსმენებისთვის საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მინისტრის მოადგილემ **გია გალდავამ** სპორტის 11 სახეობის წარმომადგენელს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება მიულოცა და ვეტერანებს ერთჯერადი ფულადი დახმარება გადასცა. თერთმეტივე ვეტერანი სამინისტროს სოციალური დახმარების ფონდიდან ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას იღებენ. სამინისტროში შეხვედრაზე იყვნენ ომის ვეტერანები **შოთა ბუაძე** (ძალოსნობა), **ზურაბ მაჩხანელი** (სასტენდო სროლა), **ქრისტეფორე ნინიაშვილი** (სამბო, ძიუდო), **ვასილი შმაკოვი** (მძლეოსნობა), **ოთარ ვახანია** (ცურვა), **შოთა ვახანია** (ვეტერანი სპორტსმენი), **ლუდვიგ კარსანიძე** (ტანვარჯიში), **კალისტრატე შეყილაძე** (თავ. ჭიდაობა), **შოთა ვაჩეიშვილი** (ბ/რ ჭიდაობა), **მიხეილ ჯოჯუა** (ფეხბურთი), **შალვა გურჯელიძე** (ტყვიით სროლა).

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
ახალგაზრდული ნაკრები

# ახალგაზრდების წარმატება

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდები წარმატებით გამოვიდნენ აზერბაიჯანულ ნახიჭევანში ამავე ქალაქის სახელობის თასის გათამაშებაში - გაიმარჯვეს თავიანთ ჯგუფში, ფინალი კი აზერბაიჯანის I გუნდთან წააგეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

ეს შეჯიბრება ჩვენი ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატისთვის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი იყო, თუმცა, რადგან გუნდური ფორმატით ტარდებოდა, მწვრთნელები შემადგენლობაში შეზღუდულები იყვნენ. ამიტომ გუნდის თავკაცმა **ვლადიმერ ადეიშვილმა** წონაში მხოლოდ თითო კაცი წაიყვანა: **ნიკა ცეცხლაძე** (50), **თორნიკე ტოტიკაშვილი** (55), **ქემალ ხარაბაძე** (60), **საჩინო დავითაია** (66), **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **დავით ჩაკვეტაძე** (84), **სანდრო დიხამინჯია** (96), **სერგო გოგისვანიძე** (120). ტურნირში 10 ნაკრები მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად გაყვეს. ჩვენებთან ერთად უკრაინის, ირანის, ყაზახეთისა და ნახიჭევანის გუნდები მოხვდნენ. ადეიშვილის შეგირდებმა სამივეს სძლიეს, მაგრამ ფინალში ვერაფერს გახდნენ აზერბაიჯანის მთავარ ნაკრებთან და 2:6 დამარცხდნენ. ჩვენგან ფინალური შეხვედრები ჩაკვეტაძემ და დიხამინჯიამ მოიგეს. თუმცა დიხამინჯიამ არა მარტო ფინალში, არამედ წინა ორთაბრძოლებშიც იმარჯვა და ქართველთაგან ერთადერთმა დაამთავრა შეჯიბრება 100%-იანი შედეგით. მან წლეულს საქართველოს პირველობაც მოიგო უფროსებში და რა გასაკვირია, ახალგაზრდულ ნაკრებში თუ გამოკვეთილი ლიდერია.

პრაქტიკულად, უკვე გარკვეულია ნაკრების შემადგენლობაც, რომელიც ზაფხულში თანატოლთა ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს, თუმცა ჯერ კიდევ ღიად რჩება ორიოდე წონის საკითხი. ამიტომ გუნდის დასახელებას არც ადეიშვილი ჩქარობს. 18-20 მაისს გუნდის ნაწილი ერევანში გამოვა საერთაშორისო ტურნირზე - მწვრთნელები იქ სწორედ სადავო წონების კონკურენტებს გააგზავნიან, დანარჩენებს კი შეკრებაზე წაიყვანენ დუშეთში. საევროპო ნაკრებსაც სომხეთის შემდეგ გამოაცხადებენ.

**ირაკლი თავაძე**




მოკლედ...

**დაიწყო** და 10 ივნისამდე გასტანს „უნივერსიადა-2011“, რომელიც სპორტის 20 სახეობაში გაიმართება საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა მონაწილეობით. დამთავრდა ტურნირი კარატეში. გუნდური პირველობა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ხვდა წილად.

■ ■ ■

**სპორტკომპლექს** „მართვეში“ ჩატარდა „ოლიმპიური გამოწვევის ტურნირი“ კარატეს მიმდევარ 4-15 წლის მოზარდთა შორის. ორგანიზატორი იყო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო და საბრძოლო სახეობათა კონფედერაცია.

ტურნირს საქართველოს პირველი ლედი **სანდრა რულოვსი**, სამინისტროს და კონფედერაციის ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

სუმო. ნაცუ ბაშო

# ტოჩინოშინის კარგი სტარტი

ზაფხულის ბაშოს მეორე დღეს 23 წლის **ლევან გორგაძემ**, იმავე **ტოჩინოშინმა** იოლად მოიგო - ქართველი დასავლეთის მე-6 მაეგაშირაა, მას იაპონელი **იოშიკაძე** ხვდებოდა, რომელმაც დაჯახების თავიდან აცილება გადაწყვიტა მარცხნივ გადახტომით, თუმცა ქართველმა მეტოქის მავაში ხელთ იგდო და მისთვის ხელსაყრელი დგომიდან (ჰიდარი-უვატე) შეუტია და მოწინააღმდეგე რკალს მიღმა გაიყვანა. ტოჩინოშინს 2-0 ბალანსი აქვს. პირველი მარცხი იგემა **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელსაც „რობოტმა პოლიციელმა“ **ტაკამისაკარიმ** აჯობა. ვეტერანმა იაპონელმა სუკუინაგეს ილეთით დააგდო ქართველი, რომელსაც 1-1 ბალანსი გაუხდა. ცუდად არის 30 წლის **ლევან ცაგურიას** საქმე, ძურიოს დივიზიონის მე-6 ნომერი ისე უხეიროდ ჭიდაობს, რომ იქიდან გავარდნაც ემუქრება - „შავმა ზღვამ“ სრულიად უცნობ **ტაკარაფუჯისთან** დათმო და 0-2 ბალანსი აქვს.

დღეს კოკაი პირველი გამარჯვების მითვლას **სადანოუმისთან** ორთაბრძოლაში შეეცდება. ელიტაში მოასპარეზე ტოჩინოშინს კი ძალიან გამოცდილი რიკიში **ვაკანოსატო** გამოსცდის, ყოფილი სეკივაკე ქართველს აქამდე 4-ჯერ შეხვედრია, მათ შორის ძალთა თანაფარდობაა - 2:2. გაგამარუს მეტოქე კი მე-17 მაეგაშირა **კიმურაიამაა** (1:2 ურთიერთშეხვედრებში).

ნაცუ ბაშოზე დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** კვლავ დიდებული სუმო გვიჩვენა, მის წინააღმდეგ ვერაფერი გაახერხა პირველმა მაეგაშირა **გოეიდომ**. დიდმა მონღოლმა შიტადაშინაგეს ილეთი გამოიყენა გოეიდოს დასამარცხებლად. ოძეკთა შორის დაუმარცხებელი დღეისათვის მხოლოდ ესტონელი გოლიათი **ბარუტოა**, **კოტოოშუს**, **ჰარუმაფუჯის** და **კაიოს** კი თითო მოგება აქვთ.

**II დღე**

**მაკუუჩი:** ჰაკუჰო-გოეიდო (შიტადედაშინაგე), კაიო-ტოიონოშიმა (იორიკირი), ბარუტო-კაკურიუ (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-ჰომაშო (იორიკირი), ტოჩიოძანი-კოტოოშუ (იორიკირი), კისენოსატო-კიტატაიკი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ამინიშიკი (ოშიდაში), არანი-ტაკეკაძე (ჰატაკიკომი), ვაკანოსატო-ოკინოუმი (კატასუკაში), **ტოჩინოშინი**-იოშიკაძე (იორიკირი), შოტენრო-ტამავაში (ოშიდაში), კიოკუტენჰო-ტოსაიუტაკა (იორიკირი), ასასეკირიუ-ტოჩინოვაკა (ჰატაკიკომი), ტოიოჰიბიკი-ვაკაკოიუ (ჰატაკიკომი), ტოკიტენკუ-ტოჩინონადა (ჰიკიოტოში), ტაკამისაკარი-**გაგამარუ** (სუკუინაგე), კაისეი-ტამანოშიმა (იორიკირი), მიაბიამა-კიმურაიამა. **ძურიო:** ტაკარაფუჯი-**კოკაი** (უვატედაშინაგე).

**III დღე**

**მნიშვნელოვანი ბრძოლები, მაკუუჩი:** ჰაკუჰო-ჰომაშო, ბარუტო-გოეიდო, ჰარუმაფუჯი-ტოიონოშიმა, კოტოოშუ-კიტატაიკი, კაიო-ტოჩიოძანი, კოტოშოგიკუ-ოკინოუმი, კისენოსატო-კაკურიუ, ამინიშიკი-ტაკეკაძე, არანი-ტამავაში, **ტოჩინოშინი**-ვაკანოსატო, **გაგამარუ**-კიმურაიამა. **ძურიო:** კოკაი-სადანოუმი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ლეგიონერები

# დრიუმ ზაზა დააბრუნა



2:2 - „ატლანტამ" „ჩიკაგოსთან" სერიაში ანგარიში გაათანაბრა. მომდევნო მატჩი 10 მაისს ჩიკაგოშია, ხოლო შემდეგი, 12 მაისს ატლანტაში. ასე რომ, ამ წყვილში ყველაფერი თავიდან იწყება.

■ ■ ■

„ორლანდოსთან" მერვედფინალური მატჩებისას **ზაზა ფაჩულიას** სათამაშო დრო უხვად ჰქონდა - გოლიათი **დუაით ჰოვარდის** მეურვეობა უწევდა. მეოთხედფინალში გასვლის შემდეგ „ატლანტა ჰოქსის" მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** ზაზას დრო მკვეთრად შეუმცირა - სერიის საწყის სამ მატჩში 8-9 წუთს ათამაშებდა, რასაც ობიექტური მიზეზი ჰქონდა: თუ „ორლანდოს" პლუსი ცენტრი ჰოვარდი იყო, „ჩიკაგოს" დამრტყმელი ძალა გამთამაშებელი **დერეკ როუზია**. შესაბამისად, ჰოქსის მწვრთნელი ცენტრების გარეშე, მობილური ხუთეულით ცდილობდა „ხარებთან" უპირატესობის მოპოვებას. ეს პირველივე მატჩში კარგად გამოუვიდა, თუმცა მეორე და მესამე შეხვედრებში ჩიკაგოელებმა „ქორებს" პერიმეტრი გადაუკეტეს და 96 წუთში ოდენ 4 სამქულიანი ჩააგდებინეს. მწვრთნელი, ლარი დრიუ მიხვდა, რომ საჭირო იყო ფართან გააქტიურება. ამ საქმეში კი **ჯოშ სმიტთან** და **ელ ჰორფორდთან** ერთად ზაზა ფაჩულია და ჯეისონ კოლინზი დასჭირდებოდა. მეოთხე შეხვედრის წინ „ატლანტას" თავკაცმა განაცხადა:

*- „ორლანდოსთან" მერვედფინალური სერიის მოგებაში კოლინზმა და ფაჩულიამ დიდი როლი ითამაშეს. ისინი „ჩიკაგოსთანაც" სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ, რადგან მეტოქე მოხსნებში აშკარად გვჯობნის.*

ჩიკაგოში გამომავალმა გაზეთმა დაწერა: „ატლანტას" ფარქვეშ **იოაკიმ ნოა** და სხვა ტანმაღალი „ხარები" ფრენბურთს თამაშობენო...

■ ■ ■

ლარი დრიუმ მეოთხე მატჩში სასტარტო ხუთეულში ცენტრი კოლინზი დააბრუნა, თუმცა ზაზა ფაჩულიათი მალევე შეცვალა. ქართველი მეფარე თამაშში კარგად ჩაერთო, საკუთარ ფარზე ბურთს არავის ანებებდა და საბოლოოდ 9 მოხსნაც მოუგროვდა. პირველ ტაიმში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, შეტევაში ორივე გუნდს უჭირდა და სწორედ ასეთ სიტუაციაში იყო საჭირო ზაზა ფაჩულია, რომელსაც ძირითადად შავი სამუშაოს შესრულება უწევს. მწვრთნელმა იგი მეორე პერიოდში ელ ჰორფორდით შეცვალა, თუმცა ელმა მალევე მიიღო მესამე ფოლი და დრიუმ ზაზა მოედანზე დაუფიქრებლად დააბრუნა. იყო კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი: როცა ზაზა მოედანზე შედიოდა, „ჩიკაგოს" მწვრთნელი **ტომ ტიბოდო** თამაშში თურქ ცენტრ **ომერ აშიკს** რთავდა, რათა ფარქვეშ უპირატესობა მასპინძლებისთვის არ დაეთმო.

საინტერესო დამთხვევაა: ფაჩულიამ „ხარებთან" წინა სამ მატჩში ჯამში 25 წუთი ითამაშა, 8 მოხსნა და 5 ქულა ჩააგდო. მეოთხე შეხვედრაში კი მოედანზე სწორედ 25 წუთი გაატარა, 9 მოხსნა და 5 ქულა მოაგროვა.

■ ■ ■

მესამე მეოთხედის ბოლო 5 წუთში ფაჩულიამ ვერც ერთხელ მოხსნა, „ჩიკაგოს" ფარქვეშ მას ბურთს არ ანებებდნენ, ხოლო „ჰოქსის" ფარიდან ბურთი იშვიათად სხლტებოდა - **კარლოს ბუზერი** უშეცდომოდ ისროდა. შესაბამისად, „ჩიკაგომ" 8-ქულიანი ჩამორჩენა მეოთხე პერიოდის წინ +2-ად გარდასახა - 69:67.

მეოთხე პერიოდი ჩიკაგოელი როუზის ალმავლობით დაიწყო, ერთმანეთის მიყოლებით 7 ქულა ჩააგდო და ხტუმრები 76:73 დააწინაურა. სირენამდე 9 წუთით ადრე **ჯო ჯონსონის** აცილებული ბურთი ფაჩულიამ მოხსნა და ორი ჯარიმის ტყორცნის უფლებაც მიიღო - 75:76. მალევე ფაჩულიას ნაცვლად მოედანზე ჰორფორდი გამოვიდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ „ატლანტას" მატჩი ტრადიციული ხუთეულით უნდა ჩაემთავრებინა: **ტიგი**, **კროუფორდი**, ჯონსონი, **სმიტი**, ჰორფორდი.

...ჩაამთავრა კიდეც - ამ ხუთეულმა „ხარებზე" გადამწყვეტი იერიში მიიტანა. შტურმს ჯოშ სმიტი (23 ქულა, 16 მოხსნა, 8 პასი) ხელმძღვანელობდა, რომელსაც მხარი კარგად აუბეს ჰორფორდმა და ტიგმა. იმის ნაცვლად, რომ გადამწყვეტ მომენტში აქცენტი სამქულიანებზე აელოთ (აქამდე ასე აკეთებდნენ), ჯორჯიელებმა ფარქვეშიდან დაცხრილეს „ბულზი" - 100:88...

| ატლანტა-ჩიკაგო | 100:88 |
|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 25:32 წუთი, 5 ქულა (3-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 9 მოხსნა, 2 პასი, 2 ფოლი, 1 შეცდომა

ქრონოლოგია

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 06:51 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 06:24 | ფოლი: 1 |
| 06:03 | ორქულიანი: 2ძ (18:15) |
| 04:04 | პასი: 1 (სმიტი 2ძ, 20:21) |
| 03:50 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 03:32 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 02:35 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 |
| 00:22 | ტექნიკური ფოლი |
| 00:01 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 00:00 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 11:37 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 10:39 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 07:54 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 06:52 | ფოლი: 2 |
| 06:52 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |
| 05:00 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 03:15 | შეცდომა: 1 |
| 02:36 | მოხსნა: შეტ-1, დაც-6 |
| 01:45 | საჯარიმოები: 2/1 (3ძ, 44:46) |
| 00:45 | მოხსნა: შეტ-1, დაც-7 |
| **III პერიოდი** | |
| 05:32 | ზაზამ კოლინზი შეცვალა |
| 04:20 | პასი: 2 (ჯონსონი 3ძ, 63:59) |
| **IV პერიოდი** | |
| 09:10 | მოხსნა: შეტ-2, დაც-7 |
| 09:10 | საჯარიმოები: 2/1 (5ძ, 75:76) |
| 08:59 | ჰორფორდმა ზაზა შეცვალა |

# შენგელიას 16 გაელვება

აპრილის დასაწყისში „პეპინსტერის" ფორვარდის, **თორნიკე შენგელიას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. მან აღნიშნა - ბელგიის ჩემპიონატის პლეი ოფში გასასვლელად ექვსეულში მოხვედრაა საჭირო, კონკურენტებს, „ლუვენსა" და „ლიეჟს" ჩვენზე უკეთესი კალენდარი აქვთო.

მას მერე „პეპინსტერმა" ჩემპიონატის სამ ფავორიტთან ითამაშა, თუმცა ყველასთვის მოულოდნელად პირველადგილოსან „შარლერუას" მოუგო, თუმცა მომდევნო ორი შეხვედრა დათმო. ბოლო მატჩი შენგელიას გუნდმა სტუმრად „აალსტთან" 88:103 წააგო. მატჩის ბედი ბოლო პერიოდში გადაწყდა, რომელიც „აალსტმა" 27:16 მოიგო. მანამდე თანაბარი თამაში მიმდინარეობდა, რაშიც გარკვეული წვლილი თორნიკეს მიუძღოდა. იგი სტუმართა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო, რასაც შენგელიას მონაგარიც ადასტურებს: 29 წუთში 16 ქულა, 8 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა. 19 წლის ქართველს არც სროლის სიზუსტე დაეწუნებოდა - 9-დან 7 ორქულიანი და 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, ერთი სამქულიანი კი ააცილა.

შენგელიაზე მეტი ქულა მის თანაგუნდელებს დომინიკ ვათერსსა (19) და რაშუან ფრიმენს (28) ჰქონდათ. „აალსტში" ბელგიის შარშანდელი ნაკრების ერთი წევრიც არ ირიცხება.

ახლა გაგაცნობთ სატურნირო მდგომარეობას, შემდეგ გადახედეთ დარჩენილი მატჩების განრიგს და თავად იმსჯელეთ, შენგელიას გუნდს ექვსეულში მოხვედრის რა შანსი აქვს. „ლიეჟსა" და „პეპინსტერს" 10-10 მოგების წილ 20-20 წაგება აქვთ და მეშვიდე მერვე ადგილებს ინაწილებენ. 11 გამარჯვებით მეექვსეა „ლუვენი", რომელსაც „პეპინსტერი" ბოლო ტურში მასპინძლობს.

**11 მაისი**

გენტი-პეპინსტერი
ლუვენი-ანტვერპენი
ლიეჟი-აალსტი

**14 მაისი**

მონსი-ლიეჟი
პეპინსტერი-ლუვენი

■ ■ ■

გასულ კვირაში გაცნობეთ, რომ თორნიკე შენგელიამ NBA-ს დრაფტზე განაცხადი შეიტანა. ამასთან დაკავშირებით მან კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე ილაპარაკა:

*- გადაწყვეტილება ჩემს აგენტთან შეთანხმებით მივიღე. დრაფტზე წლეულს 89 კალათბურთელი დადგა, თუმცა, ეს სია მნიშვნელოვნად შემცირდება. დრაფტის დაწყებამდე მოვხსნი თუ არა კანდიდატურას, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი წარმატებით გამოვალ NBA-ს გუნდების წინასადრაფტო ვარჯიშებზე. სეზონი დასრულდება და ამერიკაში ვაპირებ გამგზავრებას. კლუბებთან ურთიერთობას ჩემი აგენტი აწარმოებს. NBA-ს რამდენიმე გუნდის ვარჯიშზე მისვლას ვგეგმავ. თუ იქაურებს თავს მოვაწონებ და გარკვეულ გარანტიებს მივიღებ, დრაფტზე დავდგები. თუ არა, კანდიდატურას გამოვიტანთ. აჩქარებას არ ვაპირებ, რადგან წინ კიდევ 3 წელი მაქვს და როცა უკეთესი შანსი მექნება, დრაფტზეც მაშინ დავდგები.*

# გიორგი შერმადინი: არ ვიცი, რა გვემართება...





**გიორგი შერმადინისა** და **ვლადიმერ ბოისას** „ოლიმპია" ევროლიგაზე „ბარსელონასა" და სხვა გრანდებს ტოლს არ უდებდა, სლოვენიის ჩემპიონატში კი უკვე მეოთხედ წააგო. ამჯერად მეშვიდე ადგილზე მყოფ „მარიბორთან" - 72:80.

შიდა ასპარეზზე წარუმატებელი გამოსვლის გამო მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **იურე ჟდოვჩმა**, რომლის ადგილი **მირო ალილოვიჩმა** დაიკავა.

*- ალილოვიჩი კარგი მწვრთნელია, თითქოს ყველაფერს კარგად აკეთებს, მაგრამ მაინც ვერ ვახერხებთ საკუთარი თამაშის პოვნას. არ ვიცი, რა გვემართება, გუნდს ჩავარდნა აქვს,* - გვითხრა გიორგი შერმადინმა.

მან „მარიბორთან" 11 წუთი ითამაშა და უშეცდომოდ ისროლა: 2-დან 2 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, 6 ქულას 5 მოხსნა ნაუმატა.

ვლადიმერ ბოისა სასტარტო ხუთეულში იყო. მანაც მოედანზე 11 წუთი დაჰყო, 2 ქულა და თითო მოხსნა-პასი მოაგროვა.

ოლიმპიელთაგან **დამირ მარკოტა** გამოირჩა - 20 ქულა, 10 მოხსნა.

მომდევნო ტურში, 11 მაისს „ოლიმპია" „სლოვანს" მიიღებს.

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**


პლეი ოფი
1/2 ფინალი
10 მაისი
სპორტის სასახლე
შსს - ენერჯი 12:00
არმია - სოხუმი Live 14:00
თსუ - ქუთაისი 16:00
სტუ - თბსუ 18:00


# სტუმრად ვერ ივარგა, შინ?

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში მეორე მატჩიც წააგო და ოქროს მოპოვების შანსი საგრძნობლად შეამცირა. თუმცა, „კალევთან" 0:2 ჩამორჩენის მიუხედავად „როკს" შანსი მაინც აქვს, რადგან ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერია 4 მოგებამდეა. მომდევნო ორი შეხვედრა ტარტუში გაიმართება. თუ „როკერებს" ჩემპიონობაზე საფუძვლიანი პრეტენზია აქვთ, „კალევი" ტალინში გამარჯვებით ერთხელაც არ უნდა გაუშვან.

ახლა რაც შეეხება სერიის მეორე შეხვედრას, რომელიც „კალევის" მოედანზე გაიმართა. დაცვით თამაშში ყველაფერი ბოლო პერიოდში გაირკვა, რომელიც ტალინელებმა 19:8 მოიგეს. „ტარტუ როკის" რიგებში 10 ქულას მხოლოდ **კალისტას ეზიუკვუმ** მიაღწია - 10 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა. გიორგი ცინცაძე სასტარტო იყო, 19 წუთში 3 ქულას, 4 მოხსნას, 2 პასსა და 1 ჩაჭრას მოუყარა თავი. მის პასივში 4 შეცდომა და 3 ფოლია.

მესამე მატჩი ტარტუში 10 მაისს გაიმართება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ტურის მატჩი: აია–ლელო



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

ლელო-არმაზი

დღეს საქართველოს ჩემპიონატის მეხუთე ტურის შეხვედრები გაიმართება, რომლის შემდეგაც შეჯიბრება ერთი თვით, 11 ივნისამდე შეწყდება. მიზეზი თბილისში გასამართავი „მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფაა“, რომელიც 24 მაისს დაიწყება.

მანამდე კი მეხუთე ტურის მატჩებში ძალზე საინტერესო ბრძოლებია მოსალოდნელი, ხოლო განვლილი ოთხი ტურის შემდეგ გარკვეული დასკვნების გაკეთებაც შეიძლება. გამოიკვეთა ის ოთხეული, რომელიც, სავარაუდოდ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. „აიას“, „ლელოს“, „არმიას“ და „ლოკომოტივის“ დავაში, გამორიცხული არ არის, „აკადემია“ ან „არმაზი“ ჩაერიოს.

ტურის ცენტრალური მატჩი, ფოთში, მალთაყვის სტადიონზე გაიმართება. აქ საშინაო მატჩებს ქუთაისის „აია“ მართავს, რომელიც ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს და, ამჯერად, უმთავრეს კონკურენტ თბილისის „ლელოს“ უმასპინძლებს.

„აიამ“ წლეულს შესანიშნავად დაიწყო ასპარეზობა. საერთო აღიარებით ქუთათურთა გუნდი შარშანდელზე უკეთ გამოიყურება, რაც წინა ტურში ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონის, თბილისის „ლოკომოტივის“ სტუმრად ძლევამაც დაადასტურა. არადა, „აიას“ რკინიგზელებისთვის დიდი ხანია არ მოუგია.

ყველაზე მთავარი ფაქტორი, რითაც ქუთაისურმა გუნდმა „ლოკომოტივს“ სძლია, შერკინების ხაზის კარგი თამაშია. რკინიგზელებმა მეტოქის მორკინალები ვერ დაჩაგრეს, რაც მათი მარცხის ერთ-ერთი მიზეზი გახდა.

„აიას“ შერკინებაში უპირატესობა, სავარაუდოდ, „ლელოსთან“ მატჩშიც ექნება. თუმცა საქართველოს თასის მფლობელებს, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო უკანა ხაზი ჰყავს და მისი ეფექტური ამოქმედების შემთხვევაში ნებისმიერ გუნდს დიდ პრობლემებს უქმნის.

უკანახაზელები არც „აიას“ ჰყავს ვინმეზე ნაკლები. მას შემდეგ, რაც გუნდს საფრანგეთიდან ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი შუამარბი **ირაკლი გიორგაძე** დაუბრუნდა, ქუთათურებმა ამ რგოლის თამაში დაალაგეს, უფრო გააზრებული და ეფექტური გახადეს.

ძნელი სათქმელია, მალთაყვაში მოვლენები როგორ განვითარდება. „აია“, ალბათ, თამაშის ჩაკეტვას, ძირითადად მორკინალებით თამაშს ეცდება. „ლელოს“ ხელწერა და სხვა გუნდებზე უპირატესობა ღია თამაშში სწრაფი და ფეხმარდი უკანახაზელებია. არადა, თუ ორივე გუნდმა თამაში გახსნა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პირველ წრეში ეს შეხვედრა საუკეთესო გამოვა.

„აია“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუმარცხებელია. საკმაოდ შთამბეჭდავია ამ გუნდის სტატისტიკა. ქუთათურებმა 113 ქულა მოიპოვეს და მეტოქეებს მხოლოდ 37 ქულა გაატანეს. „ლელოს“ კი, რომელმაც ერთი თამაში წააგო და მეორე ადგილზეა, 120 ქულა მოუპოვებია, თუმცა მეტოქეებს 74 ქულის ალების საშუალება მისცა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ლელოელებს დაცვაში „აიაზე“ მეტად უჭირს.

საინტერესო ბრძოლა გაიმართება „ავჭალის“ სარაგბო სტადიონზე, სადაც ერთმანეთს „არმაზი“ და „აკადემია“ დაუპირისპირდებიან. ეს გუნდები სატურნირო ცხრილის შუაში იმყოფებიან და, ცხადია, მიზნად პლეი ოფში მოხვედრა აქვთ დასახული.

„აკადემიამ“ მეოთხე ტურში უშელავათო ბრძოლა გაუმართა ახალბედა, მაგრამ საკმაოდ ამბიციურ „არმიას“ და ფრეს გამორჩა - 22:22. ეს კი ცხადად მეტყველებს აკადემიელთა პოტენციალსა და ბრძოლისუნარიანობაზე. ერთი ნაკლი - არასტაბილურობაა, რომლის აღმოფხვრის შემთხვევაში „აკადემიას“ ნებისმიერი მიზნისთვის ბრძოლა შეუძლია.

ოთხი თამაშიდან ორი მოიგო და მე-5 ადგილზეა „არმაზი“, რომელმაც წინა ტურში ბოლო წლების მუდმივ კონკურენტს, რუსთავის „ხარებს“ თბილისში უმძიმეს ბრძოლაში მოუგო. „აკადემიასთან“ დაპირისპირებაში არამაზელებს არანაკლებ მწვავე ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი“, რომელმაც ოთხი შეხვედრიდან ორი წააგო, სტუმრად ეთამაშება რუსთავის „ხარებს“. რკინიგზელებს, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ბოლოსწინა ადგილზეა, იოლი გასეირნება არ ელის - მით უფრო, რომ „ხარებს“ მეტოქე თბილისშიც დამარცხებული ჰყავს.

სავარაუდოდ, „ლოკომოტივი“ მეტოქეს სათანადოდ შეაფასებს, საქმეს მთელი სერიოზულობით მიუდგება და სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას ეცდება. წინააღმდეგ შემთხვევაში „ხარებისგან“, რომელსაც წლეულს გამოცდილი მორაგბეები, **პალიკო ჯიმშელაძე** და **კახაბერ უჩავა** დაემატნენ, ყველანაირი სიურპრიზია მოსალოდნელი.

წლეულს უჩვეულო ვითარებაა თბილისის „ყოჩებში“. გუნდი, რომელიც ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მუდმივად ლიდერებში იყო და მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა, აუტსაიდერია. „ყოჩებმა“, რომელსაც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ქართველი მწვრთნელი **ლევან მგელაძე** თავკაცობს, ოთხი თამაშიდან ოთხივე წააგო.

მეხუთე ტურში, „ყოჩებს“ ურთულესი გამოცდის ჩაბარება მოუწევს. მეტოქე საქართველოს ჩემპიონატის ახალბედა „არმიაა“, რომელსაც „ყოჩების“ ყოფილი თავკაცი **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** მოძღვრავს. არმიელები, მართალია, სტაბილურობით არ გამოირჩევიან, მაგრამ საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენენ და ყველა მატჩში მაქსიმალური შედეგისთვის იბრძვიან.

„ყოჩებს“ მეტწილად შერკინებაში უჭირს. მართალია, სტატიკურ მდგომარეობაში არც არმიელთა მორკინალები ბრწყინავენ, მაგრამ დინამიკაში საკმაოდ კარგად ირჯებიან და თამაშში უპირატესობას ხშირად აღწევენ. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ყოჩებს“ უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი აქვს, თამაში უშელავათო, მწვავე ბრძოლაში უნდა წარიმართოს.

**V ტური**

**ყოჩები-არმია, აია-ლელო, ხარები-ლოკომოტივი, აკადემია-არმაზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აია | 4 | 4 | 0 | 0 | +76 | 8 |
| 2.ლელო | 4 | 3 | 0 | 1 | +46 | 6 |
| 3.არმია | 4 | 2 | 1 | 1 | -2 | 5 |
| 4.ლოკ. | 4 | 2 | 0 | 2 | +15 | 4 |
| 5.არმაზი | 4 | 2 | 0 | 2 | -24 | 4 |
| 6.აკადემია | 4 | 1 | 1 | 2 | -17 | 3 |
| 7.ხარები | 4 | 1 | 0 | 3 | -42 | 2 |
| 8.ყოჩები | 4 | 0 | 0 | 4 | -52 | 0 |



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ლოკომოტივი-აია

ლეგიონერები



მარცხნიდან მეორე დავით დადუნაშვილი

# ხუთიდან სამმა მოიგო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში პლეი ოფის მერვედფინალის პირველი შეხვედრები გაიმართა. ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან სამმა მოიგო და ორმა მარცხი განიცადა, თუმცა შემდეგ ეტაპზე გასვლის შანს მაინც ინარჩუნებს.

**შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“, რომელიც A ჯგუფში საუკეთესო იყო, სტუმრად წააგო „ლანამეზანთან“ - 26:29. მარცხის მიუხედავად, პარიზელებს მეოთხედფინალში გასვლის შანსი არ დაუკარგავთ. ერთი კვირისთავზე ლანამეზანელებს შინ მიიღებენ და, ვფიქრობთ, სამქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა არ უნდა გაუჭირდეთ.

აშვეთია 73-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილმა მოედანზე ხუთი წუთით მეტი დაჰყო, კობაურს და ესაკიას არ უთამაშიათ.

„მასისაგან“ განსხვავებით, უფრო რთულდაა **დავით კაჭარავას** „ნიცას“ მდგომარეობა, რომელმაც შინ წააგო C ჯგუფის მეორეადგილოსან „ლიმოჟთან“ - 20:26. განმეორებით შეხვედრაში „ნიცას“ მეტოქის ძლევა ძალიან გაუჭირდება. კაჭარავამ სრულად ითამაშა.

**თედო ზიბზიბაძის, დავით დადუნაშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ“ სტუმრად მოუგო „ლავორს“ - 32:12 და, ფაქტობრივად, გაინაღდა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება. ძნელი წარმოსადგენია, სტუმრად მოპოვებული 20-ქულიანი უპირატესობა „პერიგომ“ შინ ქარს გაატანოს.

მარგველაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მეორე ტაიმში დადუნაშვილმა შეცვალა. ზიბზიბაძეს და ნინიძეს არ უთამაშიათ.

სტუმრად გაიმარჯვა **გიორგი მჭედლიშვილისა** და **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიემაც“. ლანგედოკელებმა დაძაბულ ბრძოლაში „მარმანდის“ წინააღმდეგობის დაძლევა მოახერხეს - 25:22.

მალაღურაძემ, რომელიც 61-ე წუთზე რაგბის ახალზელანდიელმა ლეგენდამ, **ენდრიუ მერთენსმა** შეცვალა, ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (17 ქულა), მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

ასევე სტუმრად მოიგო **გიორგი ნემსაძის** „მონტობანმა“. ჩვენებურის გუნდმა „ვანს“ მინიმალური სხვაობით მოუგო - 21:20. „მწვანეებს“ ერთი კვირის შემდეგ შინაც ურთულესი ბრძოლა ელით, თუმცა ნემსაძე და კომპანია საკუთარ მოედანზე ბევრად უკეთესად თამაშობს.

ნემსაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 57-ე წუთზე შეცვალეს.

შეგახსენებთ, რომ ელიტურ, მეორე დივიზიონში თამაშის უფლებას ფინალში გასული ორი გუნდი მიიღებს. ისინი მომავალ სეზონში მეორე დივიზიონში ხელმოცარულ „კოლომიესა“ და „სენტ ეტიენს“ ჩაანაცვლებენ.

**მერვედფინალი**

**ლანამეზანი-მასი 29:26, ნიცა-ლიმოჟი 20:26, ლილი-ბობინი 16:3, ლავორი-პერიგო 12:32, ბურგ ან ბრესი-კასტანე 28:23, მარმანდი-ბეზიე 22:25, დიჟონი-ტიროსი 14:23, ვანი-მონტობანი 20:21**

ესპუართა ანუ სათადარიგო გუნდების ჩემპიონატში, რეგულარული გათამაშების ბოლო ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ პლეი ოფის ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი, „ტულონი“და „კლერმონი“ გავიდნენ.

**ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა“ სტუმრად მოუგო „პოს“ და 64 ქულით გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულა. მისი მეტოქე ნახევარფინალში, რომელიც 15 მაისს გაიმართება, მეოთხე ადგილზე გასული „პერპინიანი“ იქნება, რომელიც თავის მხრივ, ბოლო ტურში სტუმრად დამარცხდა **ვიქტორ კოლელიშვილის, გიორგი ჯიმშელაძისა** და **გიორგი ჯაშიტაშვილის** „კლერმონთან“.

„უმცროსმა ვულკანებს“ ამ გამარჯვების შემდეგ 46 ქულა დაუგროვდათ და მეორე ადგილი დაიკავეს. ჩვენებურთა გუნდის მეტოქე ნახევარფინალში მესამეადგილოსანი „ტულუზი“ იქნება.

მიხეილ ნარიაშვილის „მონპელიემ“ 34 ქულა დააგროვა და მე-8 ადგილს დასჯერდა. მონპელიელებმა ბოლო ტურში სტუმრად წააგეს „ბურგუენთან“ - 9:31. გაცილებით უარესი შედეგი აქვს გიორგი მენაბდიშვილის „გრენობლს“, რომელმაც სტუმრად მშრალი ანგარიშით წააგო „აჟენთან“ - 32:0 და 27 ქულით ბოლო, მე-10 ადგილზე გავიდა.

**ესპუარები**

**XVIII ტური**

აჟენი-გრენობლი 32:0, პო-ტულონი 17:26, ბაიონი-ტულუზი 21:25, კლერმონი-პერპინიანი 30:31, ბურგუენი-მონპელიე 31:9

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტულონი - 64 ქულა, 2. კლერმონი - 47, 3. ტულუზი - 46, 4. პერპინიანი - 44, 5. აჟენი - 44, 6. ბურგუენი - 42, 7. პო - 35, 8. მონპელიე - 34, 9. ბაიონი - 33, 10. გრენობლი - 27.

**ნახევარფინალი**

ტულონი-პერპინიანი, კლერმონი-ტულუზი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

## უცხოური სპორტი

### მძლეოსნობა

ელისონ ფელიქსი




# მზადება დაიწყო

კატარის დედაქალაქ დოჰაში გაიხსნა „ბრილიანტის ლიგის" რიგით მეორე გათამაშება. თანამედროვეობის ბევრმა წამყვანმა მძლეოსანმა ვერ გარისკა ასე ნაადრევად ზაფხულის სეზონის დაწყება. წლის მთავარ სტარტამდე - ტეგუში მსოფლიოს ჩემპიონატამდე ჯერ კიდევ ოთხი თვეა დარჩენილი და ბევრი ვარსკვლავი ერიდება ამ დროისთვის საკუთარი ფორმის დემონსტრირებას. მიუხედავად ამისა, პირველ ეტაპზე არაერთი ღირსეული შედეგი დაფიქსირდა.

სულ დოჰაში 11-მა სპორტსმენმა აჩვენა სეზონის საუკეთესო შედეგი, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ეს პირველი სერიოზული სტარტი იყო, ამაში გასაკვირი არაფერია. მეორე მხრივ, ზოგიერთი შედეგი მართლაც იმსახურებს პატივისცემას.

განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო სამხტომელი **ტედი ტამგოს** მიმართ. სეზონის ადრეულ ეტაპზე მისგან 18 მეტრზე გადახტომას არავინ ელოდა, მაგრამ ფრანგმა შეაჩვია პუბლიკა სასწაულებს. ამჯერად ტამგო 17.49 მეტრით შემოიფარგლა, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის.

მისმა თანამემამულემ **რენო ლავინიემ** კი პირველი სტარტი ჩააგდო. ჭოკით ხტომის ევროპელმა ლიდერმა მოულოდნელად ვერ დაძლია 5 მეტრი და 60 სანტიმეტრი და მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. პირველი ადგილი გერმანელმა **მალტიე მორმა** დაიმსახურა - მისი შედეგი იყო 5.81 მეტრი, რაც ტურნირის რეკორდია. სხვათა შორის, წინა რეკორდი ლეგენდარულ **სერგეი ბუბკას** ეკუთვნოდა.

სხვა შარშანდელმა ლაურეატებმაც ვერ შეძლეს გამარჯვება. **კრისტიან კანტველმა** სეზონებს შორის შესვენებაზე მხრის ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ უკვე მოასწრო ბირთვის 20,79 მეტრზე ტყორცნა; თუმცა ეს მხოლოდ მეხუთე ადგილისთვის აღმოჩნდა საკმარისი. პირველმა სამეულმა 21-მეტრიანი ზღვარი გადალახა. გამარჯვება კანადელმა **დილან არმსტრონგმა** მოიპოვა.

შუბის ტყორცნაში ტრადიციული შემადგენლობა შეიკრიბა, მაგრამ ჯერ არ დამდგარა **პიტკამიაკისა** და **ტორკილდსენის** ტრადიციული დუელის დრო. ნორვეგიელი 83,63 მეტრით მხოლოდ მეხუთე იყო, ფინელმა კი ბოლო ცდაზე 83.91 მეტრი აჩვენა და სამეულში შეაღწია. პირველი ადგილი ჩეხ **პეტრ ფრიდრიხს** ერგო - 85.32 მეტრი.

საინტერესო ბრძოლა გაიმართა ბადროს ტყორცნაში. 39 წლის ლიტველმა ლეგენდამ **ვირგილიუს ალეკნამ** დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ შეუძლია ღირსეული შედეგების ჩვენება. შეჯიბრების შუაში მან ლიდერობა წაართვა **გერდ კანტერს**. ესტონელმა მხოლოდ ბოლო ცდაზე მოიპოვა საბოლოო გამარჯვება - მისი შედეგი იყო 67.49 მეტრი. კანტერი იმ დღეს იუბილარი გახლდათ და საკუთარ თავს კარგი საჩუქარი გაუკეთა.

სარბენ ბილიკზე მოულოდნელი შედეგები ნაკლებად იყო. **უოლტერ დიქსი** დომინირებდა 200 მეტრზე, ოღონდ 20 წამში ვერ ჩაეტია. **ასბელ კიპროპი** 800 მეტრზე იყო პირველი. **ბერშონ ჯექსონმა** ორ სამხრეთაფრიკელთან წააგო 400 მეტრი თარჯრბენი. აქ საუკეთესო **ვან ზილი** გახდა.

შარშან, ქალებში ცნობილი ამერიკელი **ელისონ ფელიქსი** იყო ერთადერთი, ვინც ორ დისციპლინაში მოიპოვა ბრილიანტი - ის 400 და 200 მეტრ დისტანციაზე აღმოჩნდა პირველი. საეჭვოა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის სეზონში მან ასეთივე დატვირთვით გამოსვლა გარისკოს. დოჰაში ამერიკელმა 400 მეტრი მოიგო, ოღონდ დიდი გაჭირვებით - **ამანტლ მონტშო** ბოლომდე მისდევდა ფელიქსს და სულ რაღაც რვა მეასედი წააგო ფინიშზე. კიდევ ერთი ამერიკელი **ლოლო ჯონსი** მხოლოდ მესამე იყო ბარიერულ სპრინტში - მან წააგო დუელი **უელსთან** და **კარატერსთან**.

მოკლედ, სეზონის პირველი დიდი სტარტი მეტად საინტერესო გამოვიდა. 15 მაისს შანხაიში „ბრილიანტის ლიგის" მეორე ეტაპი გაიმართება, თუმცა მანამდე მძლეოსნები 12 მაისს ტეგუში შეიკრიბებიან და იმ სტადიონს შეამოწმებენ, რომელზეც წელს მსოფლიოს ჩემპიონატი უნდა გაიმართოს.

**I ეტაპი. დოჰა (კატარი)**

**კაცები**

**200 მ.** 1. უოლტერ დიქსი (აშშ) - 20,06; 2. ფემი ოგუნოდე (კატ) - 20,30; 3. ჟეისუმა საიდი ნდურე (ნორ) - 20,55; **800 მ.** 1. ასბელ კიპროპი (კენ) - 1.44,74; 2. მაიკლ რიმერი (ბრიტ) - 1.45,12; 3. ალფრედ კირვა იეგო (კენ) - 1.45,17; **3000 მ.** 1. იენეუ ალამირეუ (ეთი) - 7.27,26; 2. ედვინ ჩერუიოტ სოი (კენ) - 7.27,55; 3. ელიუდ კიპჩოგე (კენ) - 7.27,66; **400 მ/თარჯრბენი.** 1. ლუის ვან ზილი (ს.აფრ) - 48,11; 2. კორნელ ფრედერიკსი (ს.აფრ) - 48,43; 3. ბერშოუნ ჯექსონი (აშშ) - 48,44; **სამხტომი.** 1. ტედი ტამგო (საფ) - 17,49; 2. ლივან სანდსი (ბაჰ) - 17,09; 3. ალექსის კოპელო (კუბ) - 17,05; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ჯესი უილიამსი (აშშ) - 2,33; 2. იოანოუ კირიაკოსი (კვიპ) - 2,33; 3. მუტაზ ესა ბარშიმი (კატ) - 2,31; **ჭოკით ხტომა.** 1. მალტე მორი (გერ) - 5,81; 2. მაქსიმ მაზურიკი (უკრ) - 5,70; 3. ლაზარო ბორხესი (კუბ) - 5,60; **ბირთვის კვრა.** 1. დილან არმსტრონგი (კან) - 21,38; 2. რიისე ჰოფა (აშშ) - 21,27; 3. რაიან უაიტნინგი (აშშ) - 21,23; **ბადროს ტყორცნა.** 1. გერდ კანტერი (ესტ) - 67,49; 2. ვირგილიუს ალეკნა (ლიტ) - 65,92; 3. ფრანკ ენიფერ კასანასი (ესპ) - 64,22; **შუბის ტყორცნა.** 1. პეტრ ფრიდრიხი (ჩეხ) - 85,32; 2. რობერტ ოსტუიზენი (ს.აფრ) - 84,38; 3. ტერო პიტკამიაკი (ფინ) - 83,91...

**ქალები**

**200 მ.** 1. ლაშონტე მური (აშშ) - 22,83; 2. ჩარონდა უილიამსი (აშშ) - 22,95; 3. პატრისია ჰალი (იამ) - 23,16; **400 მ.** 1. ელისონ ფელიქსი (აშშ) - 50,33; 2. ამანტლ მონტშო (ბოტს) - 50,41; 3. პატრისია ჰალი (იამ) - 51,74; **1500 მ.** 1. ანა მიშჩენკო (უკრ) - 4.03,00; 2. ირენე ჯელაგატი (კენ) - 4.04,89; 3. პატრისია ჰალი (იამ) - 4.05,18; **100 მ/თარჯრბენი.** 1. კელი უელსი (აშშ) - 12,58; 2. დანიელ კარუზერსი (აშშ) - 12,64; 3. ლოლო ჯონსი (აშშ) - 12,67; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. მილკა ჩემოს ჩეივა (კენ) - 9.16,44; 2. მერსი ვანიიკუ ნიოროჯე (კენ) - 9.16,94; 3. ლიდია ჯებეტ როტიჩი (კენ) - 9.19,29; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ფანში ჯიმო (აშშ) - 6,88; 2. მაურენ ჰიგა მაგი (ბრა) - 6,87; 3. ანა ნაზაროვა (რუს) - 6,77...

### ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# სუპერმატჩის მოლოდინში

როგორც ჩანს, ზედიზედ მესამედ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში კანადისა და რუსეთის დაპირისპირებას ვიხილავთ. კანადელებს თავიანთ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების კარგი შანსი აქვთ, რუსებმა კი მორიგი წაგების შემდეგ თითქმის გაინაღდეს საკუთარ ქვეჯგუფში მეოთხე ადგილი.

**E ჯგუფი**

**ჩეხეთი-რუსეთი 3:2**

**2:0, 0:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 ვორაჩეკი-1 (როლინეკი-1, სკოულა-2), 2:0 იაგრი-2 (პლეკანეცი-1), 2:1 ტერეშჩენკო-1 (ატიუშოვი-2, რადულოვი-2), 3:1 პლეკანეცი-2 (ბულიტი), 3:2 ზარიპოვი-1 (კალინინი-2, ზინოვიევი-1).

რუსეთისთვის ჩეხეთთან მატჩს პრინციპული ხასიათი ჰქონდა. გარდა იმისა, რომ სატურნირო მდგომარეობა აიძულებდა მოგებაზე თამაშს, ასევე რევანში იყო ასაღები შარშანდელი ფინალის წაგების გამო. **ვიაჩესლავ ბიკოვის** შეგირდები იმედიანად იყვნენ, რადგან ოკეანის გაღმიდან სოლიდური შევსება მიიღეს - გუნდს შეუერთდა რუსული ჰოკეის მთავარი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი**.

რუსების მწვრთნელმა „ვაშინგტონის" ფორვარდს უცნაური როლი მოუმზადა - რიცხობრივი უპირატესობისას ალექსს მცველის (!) პოზიციაზე უნდა ეთამაშა. ექსპერიმენტი სრული კრახით დასრულდა. სამაგიეროდ, პირველივე რიცხობრივი უპირატესობა კარგად გაითამაშეს ჩეხებმა - **ვორაჩეკმა** ანგარიში გახსნა. სულ მალე კი ლეგენდარულმა **იარომირ იაგრმა** ნახევარი მოედანი გაიარა და ეფექტური დარტყმით 2:0 გახადა ანგარიში.

რუსეთმა მესამე ცდიდან შეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და ანგარიშის შემცირება, მატჩის გადამწყვეტი მომენტი კი მესამე პერიოდის მეოთხე წუთი იყო, როცა **პლეკანეცი** მეკარე **ბარულინთან** პირისპირ გავიდა, მასზე წესი დაირღვა და დაზარალებულმა ბულიტი გამოიყენა - 3:1.

სწორედ ეს შაიბა აღმოჩნდა გადამწყვეტი. მართალია რუსებმა ერთი გოლი გაქვითეს და ბოლოს შტურმიც მოაწყვეს, მაგრამ ჩეხეთი კვლავაც დარჩა ერთადერთ გუნდად ჩემპიონატზე, რომელსაც ჯერჯერობით ასპროცენტიანი მაჩვენებელი აქვს.

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 14-5 | 12 |
| 2. ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 13-8 | 8 |
| 3. გერმანია | 4 | 2 | 0 | 0 | 2 | 13-12 | 8 |
| 4. რუსეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 10-11 | 6 |
| 5. დანია | 4 | 0 | 1 | 3 | 0 | 8-18 | 2 |
| 6. სლოვაკეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | 9-13 | 0 |

**F ჯგუფი**

**შვედეთი-შვეიცარია 2:0**

**0:0, 0:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 ბეკლუნდი-1 (ს.კრონვალი-3), 2:0 ბეკლუნდი-2.

წინა წლებში ამ გუნდებმა უხვგოლიან მატჩებს მიგვაჩვიეს: ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მათ დაპირისპირებებში ხუთზე ნაკლები შაიბა არ გადიოდა. მაგრამ ამჯერად მაყურებელმა მხოლოდ ორი გოლი იხილა, თუმცა დარტყმების რაოდენობა დიდი იყო. ამ მხრივ შვეიცარიამ აჯობა ფავორიტს - 34:31, მაგრამ მაინც დამარცხებულმა დატოვა მოედანი. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან სკანდინავიელები 11 წელია არ აგებენ ალპიელთა ნაკრებთან.

უგოლო პირველი ორი პერიოდის შემდეგ გაიბრწყინა შვედური ჰოკეის ახალგაზრდა ვარსკვლავმა, „კალგარის" ფორვარდმა **მიკაელ ბეკლუნდმა**. მან ანგარიში ულამაზესი დარტყმით გახსნა, ბოლოს კი ცარიელი კარში გაიტანა, როცა უკანასკნელ წამებზე შვეიცარიამ შტურმის მოწყობა სცადა.

ამ წაგებით შვეიცარიამ პრაქტიკულად დაკარგა მეოთხედფინალში გასვლის შანსი. რთული წარმოსადგენია, რომ ბოლო ტურში ნორვეგიამ საფრანგეთთან წააგოს, ხოლო შვეიცარიელებმა შეკვეთით მოუგონ არაპროგნოზირებად ამერიკელებს.

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | შ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 4 | 3 | 0 | 0 | 1 | 16-7 | 10 |
| 2. კანადა | 4 | 2 | 2 | 0 | 0 | 20-9 | 10 |
| 3. აშშ | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 12-14 | 7 |
| 4. ნორვეგია | 4 | 1 | 1 | 2 | 0 | 12-13 | 5 |
| 5. შვეიცარია | 4 | 0 | 1 | 2 | 1 | 6-9 | 3 |
| 6. საფრანგეთი | 4 | 0 | 0 | 3 | 1 | 3-17 | 1 |




რუსეთმა ისევ წააგო

### NHL პლეი ოფი. 1/4 ფინალი

# სან ხოსე ფავორიტი აღარ არის

„დეტროიტი" არ აპირებს „ზვიგენებთან" სერიაში იოლად დანებებას. „რედ უინგზმა" გადაარჩინა მეხუთე შეხვედრა და სერიის მოგების რეალური შანსი დაიტოვა.

გუშინდელმა შეხვედრამ ეკვატორს „სან ხოსეს" ორშაიბიანი უპირატესობით მიაღწია - თავი გამოიჩინეს **სეტოგუჩიმ** და **პაველსკიმ**, მასპინძელთა გოლკიპერი **ანტი ნიემი** კი კარში სასწაულებს ახდენდა.



დეტროიტი ძველებურად ათამაშდა

ასეთ რთულ სიტუაციაში „დეტროიტმა" მეორე მეოთხედშივე შეძლო ერთი შაიბის გაქვითვა, მესამეში კი ნამდვილი ბენეფისი მოიწყო. თუმცა მანამდე **ლოგან კუტურმა** გამოიჩინა თავი და „სან ხოსეს" ორშაიბიანი უპირატესობა დაუბრუნდა - 3:1. „ზვიგენების" სიხარული დიდი ხანი არ გაგრძელებულა, რადგან იქვე რამდენიმე წუთის ინტერვალით **ერიქსონმა** და **ქლირიმ** გაათანაბრეს ანგარიში. საფინალო სირენამდე ექვსი წუთით ადრე კი შვედური კომბინაცია **ტომას ჰოლმსტრიომმა** გოლით დაასრულა. ეს შაიბა გადამწყვეტი აღმოჩნდა მატჩში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია „დეტროიტის" რუსი ლეგიონერის **პაველ დაციუკის** თამაში. მან სამი საგოლე პასი შეასრულა და მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა.

ახლა სერია დეტროიტში გადაინაცვლებს და ამ დაპირისპირებაში „სან ხოსე" უკვე აღარ მოჩანს აშკარა ფავორიტად. ფსიქოლოგიური უპირატესობა თანდათან **მაიკ ბებკოკის** შეგირდების მხარეს გადადის.

**სან ხოსე-დეტროიტი 3:4**

**1:0, 1:1, 1:3**

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-5 (ბოილი-7, ტორნტონი-8), 2:0 პაველსკი-5 (ქლოუ-9, უელვუდი-6), 2:1 კრონვალი-2 (დაციუკი-8, სტიუარტი-1), 3:1 კუტური-4 (ჰიტლი-4), 3:2 ერიქსონი-1 (ზეტერბერგი-5, დაციუკი-9), 3:3 ქლირი-2 (კრონვალი-3, ბერტუცი-4), 3:4 ჰოლმსტრიომი-3 (ლიდსტრიომი-4, დაციუკი-10).

**სერია: 3-2**

### კრივი

# მეივეზერს 17 სექტემბერს ვნახავთ?

ვებგვერდ Boxrec.com-ის ინფორმაციით, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** (41-0, 25KO) ამა წლის შემოდგომაზე აპირებს რინგზე დაბრუნებას. 17 სექტემბერს დალასის საფეხბურთო სტადიონზე მეივეზერი რინგზე გავა ნახევრად საშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონის **ვიქტორ ორტისის** (29-2-2, 22KO) წინააღმდეგ.

შეგახსენებთ, რომ გასული კვირის დასაწყისში ფლოიდის ბიძამ და მწვრთნელმა **როჯერ მეივეზერმა** განაცხადა, რომ მისი შეგირდი სულ მალე დაუბრუნდება რინგს, თუმცა უმცროსმა მეივეზერმა იქვე უარყო ეს ინფორმაცია და თქვა, რომ როჯერის სიტყვები არასწორად გაიგეს.

ფლოიდ მეივეზერი ბოლოს რინგზე 2010 წლის მაისში გავიდა, როცა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაამარცხა **შეინ მოზლი**. იმასაც შეგახსენებთ, რომ ერთწლიანი პაუზის გამო ის საკუთარი რეიტინგიდან ამოშალა ავტორიტეტულმა ჟურნალმა „რინგმა".

■ ■ ■

სკანდალში გაეხვია ცნობილი კუბელი მოკრივე, ნახევრად მჩატე წონაში მსოფლიოს ჩემპიონი **იურიორკის გამბოა**. ის ორი დღის წინ ქალაქ მაიამის პოლიციამ ოჯახური ძალადობისთვის დააპატიმრა.

როგორც ირკვევა, მოკრივე ძალის გამოყენებით აპირებდა მეუღლის შინ დატოვებას. გამბოას ცოლმა პოლიციას განუცხადა, რომ სახლიდან წასვლასა და შვილის წაყვანას აპირებდა, რადგან მეუღლეს ღალატში ადანაშაულებს.

შეგახსენებთ, რომ გამბოამ ბოლო ბრძოლა 26 მარტს ჩაატარა. მან ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა მექსიკელი **ხორხე სოლისი** და WBA-სა და IBF-ის ტიტულები შეინარჩუნა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. ტურნირები

# ჯოკოვიჩი ახალ ისტორიას წერს


თავაწეული ჯოკოვიჩი

მადრიდის მასტერსის ფინალში ის ჩოგბურთელები გავიდნენ, რომელთა ხილვაც ყველაზე მეტად სურდათ ესპანელ გულშემატკივრებს - **რაფაელ ნადალი** და **ნოვაკ ჯოკოვიჩი**. პირველ მათგანს გრუნტზე ორი წელია არ წაეგო და მისი გამარჯვებათა სერია ამ საფარზე 37 შეხვედრას უტოლდებოდა, სერბს კი სეზონის სტარტიდან მოყოლებული 31 მატჩიდან 31 მოგება ჰქონდა. ჩოგბურთელები 26-ედ ხვდებოდნენ ერთმანეთს და შესაბამისად კარგად იცოდნენ მოწინააღმდეგის დადებითი თვისებები თუ ნაკლოვანებები.

ნოვაკს რაფაელი ცხრაჯერ ჰყავდა დამარცხებული, მაგრამ ეს არასოდეს მომხდარა ბუნებრივ საფარზე - გრუნტსა ან ბალახზე. გრუნტზე დაფიქსირებული იყო ნადალის ცხრიდან ცხრა გამარჯვება. თუმცა მათი ბოლო მატჩი ამ საფარზე სწორედ მადრიდში გაიმართა და ის ოთხ საათს გაგრძელდა. მარათონულ ბრძოლაში ესპანელმა სამი მატჩბოლი მოიგერია და მოახერხა უმძიმესი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ ორივენი ისე დაილალნენ, რომ ცოტა ხანში როლან გაროსი ჩააგდეს. ეს 2009 წელს მოხდა.

სავარაუდოდ, გრუნტის ყველაზე მსხვილ ტურნირებს შორის სწორედ მადრიდში გამოსდის კარგად თამაში ნოვაკს, რადგან აქ შედარებით სწრაფი საფარია. წლევანდელ ფინალში ჯოკოვიჩმა უპირატესობა ტემპის მაქსიმალურად გაზრდის ხარჯზე მოიპოვა. თუმცა პირველ გეიმში ნოვაკს ორი ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია და შემდეგ კიდევ სამი გეიმის აღებით 4:0 დაწინაურდა. ნადალი არ გატყდა და სერბის ორმაგი შეცდომით ერთი ბრეიკი დაიბრუნა. 5:2-ზე ჯოკოვიჩი სეტზე აწვდიდა, მაგრამ სამმაგი სეტბოლის მოპოვების შანსი გაუშვა ხელიდან. სეტბოლები მას შემდეგ გეიმში ჰქონდა, თუმცა ისიც წააგო და საქმე იქამდე მივიდა, რომ სეტში ანგარიში თანაბარი გახდა. თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა ნადალის მხარეს უნდა ყოფილიყო, მაგრამ 5:5-ზე ჯოკოვიჩმა ზედიზედ ორი გეიმი და მასთან ერთად სეტი აიღო - 7:5.

მეორე სეტი ნადალის ულამაზესი დარტყმით დაიწყო - უკანა ხაზზე ბადესთან ზურგით მდგარმა რაფაელმა ფეხებს შუა გაიტარა ბურთი, რომელიც თავზე გადააფრინდა ჯოკოვიჩს და ხაზზე დაეცა. ნადალმა ამით ბრეიკი მოიპოვა, თუმცა მისი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა - ნოვაკმა იქვე მოუმატა, ანგარიში გაათანაბრა და ამის შემდეგ დარჩენილ დროში თავის მოწოდებებს უფრო დამაჯერებლად იღებდა, ვიდრე მისი მეტოქე. 5:4-ზე სერბმა კიდევ უფრო მოუმატა და მორიგი ბრეიკით თამაში თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5, 6:4.

ასე რომ, ჯოკოვიჩმა 32 მატჩამდე აიყვანა თავისი მოგებათა სერია. თუ ის ამ კვირას რომის მასტერსზე კიდევ ორ შეხვედრას მოიგებს, გაასწრებს ლეგენდარულ **ბიორნ ბორგს**, რომელსაც 1980 წლის დასაწყისში 33-მატჩიანი სერია ჰქონდა. გარდა ამისა, ახლა ნოვაკი რაფაელს რეიტინგში მხოლოდ 1805 ქულით ჩამორჩება - ასეთი სხვაობის გაბათილება „დიდი სლემის" ტურნირზეა შესაძლებელი. ასე რომ, უკვე როლან გაროსის შემდეგ შეიძლება ჯოკოვიჩი მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახდეს. თუმცა ამის გაკეთება უფრო რეალური უიმბლდონზე ან ამერიკულ მასტერსებზე იქნება.

**ATP**

**Mutua Madrid Open**

მადრირი (ესპანეთი). გრუნტი
**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 ევრო

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2)**-რაფაელ ნადალი (ესპ, 1) 7:5, 6:4.

## ველოსპორტი

# ტრაგედია ჯიროზე

შაბათს იტალიაში პრესტიჟულობის მიხედვით მეორე ველომარათონი - ჯირო დ'იტალია დაიწყო. საწყის ეტაპებზე ტრასის რელიეფი ისეთი იყო, რომ იტალიური ტურის ფავორიტებს ჩრდილში ყოფნამ მოუწიათ და სცენაზე სპრინტერები გამოვიდნენ.

მეორე ეტაპზე ჯიროს მონაწილეებს ალბადან პარმამდე 244 კილომეტრი უნდა გაევლოთ. როგორც გითხარით, ყველაფერი ზედ ფინიშზე უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მანამდე ვიხილეთ ერთი ველომრბოლის - 31 წლის გერმანელი **სებასტიან ლანგის** გაქცევა. ის დროზე ინდივიდუალური რბოლის ოსტატად არის ცნობილი. გერმანელის მაქსიმალური უპირატესობა პელოტონზე 20 წუთს შეადგენდა, მაგრამ ძირითადი ჯგუფი ბოლოს მაინც იოლად დაეწია ლანგს, რომელიც, სხვათა შორის, „მალია ვერდეს" („მთის საუკეთესო მრბოლელის" მაისურა) მფლობელი გახდა.

გერმანელის გაქცევა ფინიშამდე 25 კილომეტრით ადრე დასრულდა, რის შემდეგაც შეტევაზე გადავიდა **ლეონარდო ჯორდანი** „ფარნესედან". მას შეუერთდნენ **მიჰალ გოლასი, იან ბაკელანტსი, რუჯერო მაცოლი, ჟერომ პინო, დანიელე რიგი, ედუარდ ვორგანოვი** და **ივან როვნი**. თუმცა ამ ჯგუფმა პელოტონს 30 წამზე მეტი ვერ მოუგო და მალე ეს შეტევაც დასრულდა.

ფინიშთან ახლოს სპრინტერების ბრძოლა დაიწყო. „ჩერველომ" შესატევ პოზიციაზე თავისი ლიდერის **ტაილერ ფარარის** გაყვანა სცადა, მაგრამ იერიში ძალიან ადრე - ფინიშამდე 400 მეტრით ადრე დაიწყო და წაგებული დარჩა. საბოლოოდ, **ალესანდრო პეტაკი მარკ კევენდიშის** უკნიდან გამოვიდა. ბრიტანელმა იტალიელის შეტევაზე რეაგირება დააგვიანა და წააგო საფინიშო სპურტი. ფინიშის შემდეგ კევენდიში ამტკიცებდა, რომ მასპინძელი გზას უკეტავდა და წესს არღვევდა, მაგრამ პეტაკის გამარჯვება აბსოლუტურად სამართლიანი იყო. კევენდიშს შეუძლია თავი იმით ინუგეშოს, რომ დროებით ლიდერის ვარდისფერი მაისურის მფლობელი გახდა.

■ ■ ■

გუშინ მესამე ეტაპი საშინელი ტრაგედიით დასრულდა: მთა ბოკო-პასის სახიფათო დაღმართზე დაეცა ბელგიელი **ვოუტერ ვეილანდტი**. აშკარად ჩანდა, რომ ველომრბოლი კრიტიკულ სიტუაციაში იმყოფებოდა: 26 წლის ბელგიელი გაუნძრევლად იწვა ასფალტზე, მთელი სახე სისხლში ჰქონდა მოთხვრილი და ცხვირიდანაც სისხლი სდიოდა.

პირველადი სამედიცინო დახმარება 15 წუთი გაგრძელდა. ველომრბოლი გონზე ვერ მოიყვანეს, რის შემდეგაც ვერტმფრენით ჰოსპიტალში გადაიყვანეს იქ ვეილანდტი გარდაიცვალა.

ბელგიელის ყველაზე დიდი წარმატება შარშანდელ ჯიროზე ეტაპის მოგება იყო. წელს ის არ აპირებდა იტალიურ ველომარათონზე გამოსვლას, მაგრამ ველოსაჯინიბო Leopard-Trek-მა სპრინტერ **დანიელე ბენატის** ნაცვლად შეიყვანა გუნდში.

**II ეტაპი**

**ალბა-პარმა (244 კმ)**

1. **ალესანდრო პეტაკი** (იტალია, Lampre); 2. **მარკ კევენდიში** (ბრიტანეთი, HTC-Highroad) იგივე დრო; 3. **მანუელ ბელეტი** (იტალია, Colnago-CSF) - იგივე დრო; 4. **რობერტო ფერარი** (იტალია, Andoni Giocattoli) - იგივე დრო; 5. **ბორუტ ბოჟიჩი** (სლოვენია, Vacansoleil) - იგივე დრო; 6. **დავიდე აპოლონიო** (იტალია, Team Sky) - იგივე დრო; 7. **ტაილერ ფარარი** (აშშ, Garmin-Cervelo) - იგივე დრო; 8. **რობი მაკიუენი** (ავსტრალია, RadioShack) - იგივე დრო...

**საერთო ჩათვლა**

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტანეთი, HTC-Highroad); 2. **კონსტანტინ სივცოვი** (ბელარუსი, HTC-Highroad) - +0,12; 3. **კრეიგ ლუისი** (აშშ, HTC-Highroad) - იგივე დრო; 4. **მარკო პინოტი** (იტალია, HTC-Highroad) - იგივე დრო; 5. ლარს ბაკი (დანია, HTC-Highroad) - იგივე დრო; 6. ალესანდრო პეტაკი (იტალია, Lampre) - +0,16...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ველანდტი შარშანდელი ტრიუმფის დროს

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევრო 2011**

**Under 17**

| | |
|---|---|
| დანია-საფრანგეთი | 1:0 |
| ინგლისი-სერბეთი | 3:0 |
| ჰოლანდია-ჩეხეთი | 0:0 |
| რუმინეთი-გერმანია | 0:1 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ფულჰემი-ლივერპული | 2:5 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| იუვენტუსი-კიევო | 2:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლავალი-ევიანი | 2:2 |

**დანია**

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-სონდერიისკი | 2:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| სიოგნდალი-ვიკინგი | 0:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ელფსბორგი-ნორჩოპინგი | 2:1 |
| ჰელსინგბორგი-გეფლე | 3:0 |
| გიოტებორგი-გაის | 2:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბრომაპიოკარნა-ჰამარბიუ | 1:0 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| იარო-ჰაკა | 1:2 |
| ჰიკ-კუოპიო | 4:1 |
| მარიეჰამნი-როვანიემი | 3:3 |
| ინტერი-ჰონკა | 4:0 |
| იუვიასკიულა-მიუპა | 1:0 |
| ვაასა-ტურკუ | 2:1 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გალათასარაი-ქასიმფაშა | 3:1 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-დანდალკი | 0:1 |
| უნივერსიტი-გალვეი | 3:0 |
| სტ. პატსი-შემროკი | 0:0 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| კლუჟი-[illegible] | 2:2 |
| ვიქტორია-ოცელული | 1:2 |
| ტიმიშოარა-უნირეა | 3:1 |
| უნივერსიტატეა (კრ)-დინამო | 0:2 |
| ასტრა-ვასლუი | 1:1 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ჩერმონორეცი-კალიაკრა | 0:1 |

**ჰოკეი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-დანია | 4:1 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 2:5 |
| რუსეთი-ფინეთი | 2:3 (ბ) |
| შვეიცარია-აშშ | 5:3 |
| გერმანია-ჩეხეთი | 2:5 |
| კანადა-შვედეთი | 3:2 |

**ჩოგბურთი**

**ATP. რომი**

| | |
|---|---|
| სიმონი-როდიკი | 6:3, 6:3 |
| ანდრეევი-რიბა | 6:4, 7:6 |
| კუევასი-კუბოტი | 6:7, 6:2, 2:6 |
| მალისე-გარსია ლოპესი | 7:5, 6:2 |
| ფიში-ხირალდო | 4:6, 6:2, 6:2 |
| ჰანესკუ-სტახოვსკი | 3:6, 6:1, 6:7 |
| მანარინო-ნიემინენი | 5:7, 6:2, 3:6 |
| ტროიცკი-დავიდენკო | 6:4, 7:5 |
| სტარაჩე-დოლგოპოლოვი | 6:3, 6:3 |

**WTA. რომი**

| | |
|---|---|
| ბ. ზახვალოვა-დ. ლინო | 1:6, 6:0, 6:7 |
| დულკო-ბენეშოვა | 2:6, 1:6 |
| შუაი პენგი-მაკჰეილი | 3:6, 6:2, 6:7 |
| არნი-კუზნეცოვა | 3:6, 7:6, 7:6 |
| მედინა გარიგესი-შნიდერი | 6:3, 6:2 |
| მარტინეს სანჩესი-მაკაროვა | 0:6, 7:5, 4:6 |
| დუშევინა-მორიტა | 6:3, 6:1 |
| დულგერუ-ჰერცოგი | 1:6, 5:7 |
| ვესნინა-პაშეკი | 6:4, 6:4 |
| ბარტოლი-პარა სანტონხა | 6:2, 6:3 |
| კლეიბანოვა-ლეპჩენკო | 6:2, 6:2 |
| ვიკმაიერი-კერბერი | 4:6, 6:3, 6:3 |
| გაიდოშოვა-დენტონი | 6:1, 6:2 |
| პირონკოვა-ჰანტუხოვა | 4:6, 2:6 |
| ივანოვიჩი-პეტროვა | 6:0, 6:0 |

## TV პროგრამა

**10 მაისი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 ინგლისის ჩემპიონატი. ფულემი-ლივერპული.
14:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ესპანიოლი.
16:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სოსიედადი.
18:00 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 არგენტინის ჩემპიონატი. ველესი-ბანფილდი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე (LIVE).

**GMG-სპორტი**

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. იუვენტუსი-კიევო.
11:35 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მემფისი-ოკლაჰომა. IV მატჩი.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I-II წრე. რომი. იტალია (LIVE).
20:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. მემფისი-ოკლაჰომა. IV მატჩი.
22:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი სიტი-ტოტენჰემი (LIVE).
00:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. I-II წრე. რომი. იტალია.
04:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. ჩიკაგო-ატლანტა. V მატჩი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო (LIVE).
00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხეტაფე (LIVE).

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

03:30 ჰოკეი. NHL. პლეი ოფი. 1/4 ფინალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სენტ ეტიენი-ლილი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია (LIVE).

**SPORT+**

22:55 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნანსი (LIVE).

**EUROSPORT**

13:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. რომი. იტალია (LIVE).
16:45 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. IV ეტაპი. იტალია (LIVE).
21:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. რომი. იტალია (LIVE).

**EUROSPORT-2**

15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. რომი. იტალია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზობაჰანი (ირანი)-ალ შაბაბი (ს. არაბეთი) (LIVE).
23:15 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. II დღე. რომი. იტალია (LIVE).

## ჩოგბურთი. რეიტინგები

**ATP**

| | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 12 470 |
| 2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 10 665 |
| 3(3). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 900 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 5 905 |
| 5(5). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 5 265 |
| 6(6). დავიდ ფერერი (ესპ) | 4 420 |
| 7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 035 |
| 8(8). იურგენ მელცერი (ავსტრია) | 3 020 |
| 9(10). გაელ მონფილსი (საფ) | 2 645 |
| 10(9). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 495 |
| 11(11). მარდი ფიში (აშშ) | 2 366 |
| 12(12). ენდი როდიკი (აშშ) | 2 280 |
| 13(13). მიხაილ იუჟნი (რუს) | 2 045 |
| 14(14). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 902 |
| 15(15). ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 1 780 |
| 16(16). რიშარ გასკე (საფ) | 1 710 |
| 17(17). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 1 665 |
| 18(22). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1 535 |
| 19(20). ჟილ სიმონი (საფ) | 1 520 |
| 20(21). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 465 |

**WTA**

| | |
|---|---|
| 1(1). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 9 790 |
| 2(2). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 8 115 |
| 3(3). ვერა ზვონარევა (რუს) | 7 635 |
| 4(5). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 5 205 |
| 5(4). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 4 962 |
| 6(6). ნა ლი (ჩინ) | 4 630 |
| 7(8). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 156 |
| 8(9). მარია შარაპოვა (რუს) | 3 866 |
| 9(7). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 3 695 |
| 10(18). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 3 673 |
| 11(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 2 955 |
| 12(12). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2 880 |
| 13(14). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 845 |
| 14(13). შაარ პეერი (ისრ) | 2 770 |
| 15(15). ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 2 740 |
| 16(21). ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 2 670 |
| 17(10). სერენა უილიამსი (აშშ) | 2 640 |
| 18(19). კაია კანეპი (ესტ) | 2 615 |
| 19(16). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2 540 |
| 20(27). იულია გორგესი (გერ) | 2 500 |

**ATP. ფულადი მოგებები**

| | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4 782 062 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 352 778 |
| 3. დავიდ ფერერი (ესპ) | 1 459 914 |
| 4. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 395 873 |
| 5. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 363 784 |
| 6. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 846 411 |
| 7. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 646 390 |
| 8. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 631 249 |
| 9. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) | 562 626 |
| 10. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 552 208 |
| 11. იურგენ მელცერი (ავსტრია) | 522 653 |
| 12. ბობ ბრაიანი (აშშ) | 520 577 |
| 13. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 520 577 |
| 14. სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 486 627 |
| 15. ენდი როდიკი (აშშ) | 469 584 |
| 16. მილოშ რაონიჩი (კან) | 467 912 |
| 17. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 442 245 |
| 18. ვიქტორ ტროიცკი (სერ) | 427 018 |
| 19. ტომაშ ბელუჩი (ბრა) | 405 921 |
| 20. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 387 788 |

**WTA. ფულადი მოგებები**

| | |
|---|---|
| 1. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2 277 758 |
| 2. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 1 780 467 |
| 3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 657 768 |
| 4. ნა ლი (ჩინ) | 1 380 939 |
| 5. პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 1 257 817 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუს) | 812 504 |
| 7. მარია შარაპოვა (რუს) | 634 432 |
| 8. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 571 734 |
| 9. მარიონ ბარტოლი (საფ) | 523 665 |
| 10. ფლავია პენეტა (იტა) | 506 606 |
| 11. ანდრეა პეტკოვიჩი (გერ) | 482 562 |
| 12. იულია გორგესი (გერ) | 447 684 |
| 13. მარია კირილენკო (რუს) | 397 963 |
| 14. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 376 214 |
| 15. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 369 158 |
| 16. ხისელა დულკო (არგ) | 349 920 |
| 17. ელენა იანკოვიჩი (აშშ) | 345 395 |
| 18. შუაი პენგი (ჩინ) | 339 460 |
| 19. ბეტანი მატეკი (აშშ) | 333 478 |
| 20. ელენა ვესნინა (რუს) | 317 251 |

● კალათბურთი

NBA პლეი ოფი. 1/4 ფინალი



ბატლერი ამ ტრავმის შემდეგ არ თამაშობს

# ბატლერის გარეშე გააგრძელებენ

„დალას მავერიქსი" დასავლეთი კონფერენციის ფინალში თავისი ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის - **კერონ ბატლერის** გარეშე გავიდა. ამ კალათბურთელმა ზამთარში მიიღო მუხლის მძიმე ტრავმა და ოპერაცია გადაიტანა. ვარაუდობდნენ, რომ ბატლერი პლეი ოფში შეძლებდა დაბრუნებას და თავისი გუნდისთვის დახმარების გაწევას, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ფორვარდი სეზონის ბოლომდე ვერ ასწრებს გამოჯანმრთელებას და „დალასმა" მის გარეშე უნდა განაგრძოს წინსვლა.

რამდენიმე დღის წინ „მავერიქსის" დამრიგებელმა **რიკ კარლაილმა** განაცხადა, რომ ბატლერი ვერ ითამაშებდა „ლეიკერსთან" სერიაში, თუმცა მწვრთნელს ბოლომდე ჰქონდა მომდევნო რაუნდში კალათბურთელის დაბრუნების იმედი. მაგრამ გუშინ კლუბის პრეზიდენტმა **დონი ნელსონმა** განაცხადა, რომ ბატლერს წელს მოედანზე ვერ ვიხილავთ.

*„კერონს ძალიან უნდოდა გუნდისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ ჩვენ ის ბოლომდე ჯანმრთელი გვჭირდება, ამიტომაც კარგად გვესმის, რომ ამ სეზონში მისი დაბრუნება გამორიცხულია",* - განაცხადა ნელსონმა.

# დიდი ეპოქის დასასრული

ნამდვილად არ ფიქრობდა და ვერც წარმოიდგენდა კარიერის ასეთ დასასრულს „ლეიკერსის" დამრიგებელი **ფილ ჯექსონი**, მაგრამ სწორედ სეზონის ამ მონაკვეთში მოუნდა „დალასს" არათუ წელს, არამედ არსებობის ისტორიაში საუკეთესო კალათბურთის ჩვენება. American Airlines Center-ში შეკრებილმა მაყურებელმა „კოვბოების" შესრულებით უმაღლესი დონის თამაში იხილა და ამ ფონზე „ლეიკერსი" სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა. მოქმედი ჩემპიონის უსუსურობა კარგად გამოიხატა მეოთხე მეოთხედის ორ ეპიზოდში, როცა **ლამარ ოდომმა** და **ენდრიუ ბინუმმა** ნერვები ველარ მოთოკეს და ტექნიკური ჯარიმებით მოედანი ვადაზე ადრე დატოვეს. მათი განწყობა გასაგებია - როცა შენი გუნდი აგებს სერიას 0:3 და 32 ქულით არის ჩამორჩენილი მეოთხე მატჩში, საკუთარი მოქმედების გაკონტროლება იოლი არ არის.

მასპინძლებმა ჩემპიონის დაცვას სასტიკი დღე აყარეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ „მავერიქსმა" 32 შედეგიანი პასი შეასრულა, მიზანში ჩააგდო 20 სამქულიანი (NBA-ის პლეი ოფის რეკორდის გამეორება), საბოლოო სხვაობამ კი 36 ქულა შეადგინა. სხვათა შორის, აქამდე „ლეიკერსს" 30-ზე მეტით ქულით მხოლოდ სამჯერ ჰქონდა წაგებული პლეი ოფის მატჩი და ერთადერთხელ დამარცხდა სერიაში, როცა საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდა.

ბრწყინვალე იყო **ჯეისონ ტერისა** და **პეჯა სტოიაკოვიჩის** დუეტი - ამ წყვილმა 16-დან 15 სამქულიანი გამოიყენა, ტერი კი **რექს ჩეპმენის, ვინს კარეტრისა** და **რეი ალენის** გვერდით დადგა - სწორედ მათ ჰქონდათ პლეი ოფის ერთ მატჩში 9 სამქულიანი ჩაგდებული. ჯეისონი უფრო შორს წავიდოდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედის დასაწყისიდან მას მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა.

ამ დუეტის ბრწყინვალე თამაშის ფონზე **დირკ ნოვიცკის** ამოსუნთქვის საშუალება მიეცა - გერმანელი მაშინ უტევდა, როცა იერიშის განვითარების სხვა ალტერნატივა არ არსებობდა. დირკი ამჯერადაც იოლად უსწორდებოდა **პაუ გასოლს**. თავად ესპანელი 10 ქულით, 8 მოხსნითა და 6 შედეგიანი პასით „ლეიკერსის" საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, თუმცა ეს დიდი შვება არ იქნებოდა პაოსთვის, რომელმაც ოკეანის გაღმა კარიერაში პირველად დაასრულა პლეი ოფი ძმაზე - **მარკ გასოლზე** ადრე.

ბუნებრივია, ფილ ჯექსონი შეეცადა მდგომარეობის შეცვლას, ერთხელ 174 წამის განმავლობაში სამი ტაიმ-აუტი აიღო, მაგრამ ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრა. ეს იყო პლეი ოფის ისტორიაში 99-ე შემთხვევა, როცა ერთი გუნდი მეორეს სერიაში 3:0-ს უგებდა და 99-ედ გამარჯვებული დაწინაურებული გუნდი გამოვიდა.

*„რაც შევძელით, ყველაფერი გავაკეთეთ, - თქვა მატჩის შემდეგ ჯექსონმა. - ძალიან რთულია მუდმივი ზეწოლის ქვეშ თამაში და საჭირო შედეგის მიღწევა. რთულია ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, ემოციურად და სულიერადაც კი. არ მაქვს ჩემი შეგირდების დადანაშაულების უფლება. თუმცა ვაღიარებ, რომ ასეთი ინერტულები და გამოფიტულები ისინი არასოდეს მინახავს".*

**დასავლეთი**

| დალასი–ლეიკერსი | 122:86 |
| --- | --- |

**27:23, 36:16, 23:23, 36:24**

**დ:** ტერი (32+4 პასი), ბარეა (22+8 პასი), სტოიაკოვიჩი (21+3 ჩაჭრა), ნოვიცკი (17+7 მოხსნა+4 პასი), მერიონი (8+6 მოხსნა+3 პასი), ჩენდლერი (5+9 მოხსნა), ჰეივუდი (4+8 მოხსნა), კიდი (3+7 პასი+4 ჩაჭრა), სტივენსონი (3), კარდინალი (3), ბრიუერი (2), მაინმი (2).

**ლ:** ბრაიანტი (17), ბრაუნი (15+3 ჩაჭრა), არტესტი (11), გასოლი (10+8 მოხსნა+6 პასი), ოდომი (10), ბარნსი (9+5 მოხსნა), ბინუმი (6+6 მოხსნა), ფიშერი (5+7 მოხსნა), ბლეიკი (3).

**სერია: 4-0**



გაკვირვებული ფილი



დუაიტ ჰოვარდი

# სუპერმენი უკვე აიბარგა

## ფილადელფია იგუოდალაში გეის ითხოვს

„ორლანდო მეჯიქის" სუპერცენტრს **დუაიტ ჰოვარდს** ფლორიდის კალიფორნიაზე გაცვლა სურს - ამ ინფორმაციას კალათბურთელთან დაახლოებულ სანდო წყაროზე დაყრდნობით ESPN ავრცელებს.

პლეი ოფიდან პირველივე წრეში სამარცხვინოდ გავარდნის შემდეგ ჰოვარდის კარიერის სამომავლო გეგმებზე ბევრი ჭორი დადის. ამის მიზეზი თავად „სუპერმენის" საქციელი იყო - დუაიტმა უარი თქვა „ორლანდოსთან" კონტრაქტის გაფორმებაზე. მიმდინარე ხელშეკრულება 2012 წლის ზაფხულში იწურება.

*„ყველამ იცის, რომ დუაიტს „ლეიკერსში" თამაში სურს, - ამბობს უცნობი წყარო. - ის არ აპირებს ფლორიდაში გაჩერებას, რადგან საჩემპიონო ამბიციების გუნდში გადასვლა აქვს ჩაფიქრებული".*

პრესა ჰოვარდზე სავარაუდო პრეტენდენტებად „ნიუ ჯერსი ნეტსა" და „ნიუ იორკ ნიქსსაც" ასახელებს. როგორც ჩანს, ამ ზაფხულს გაირკვევა ყველაფერი. „ორლანდო" არ მოისურვებს გაისად უკომპენსაციოდ დარჩენას და ამიტომაც წელს ეცდება თავისი ლიდერის გაცვლას.

■ ■ ■

ასევე უამრავი ჭორი ვრცელდება „ფილადელფია სიქსერზის" ლიდერ **ანდრე იგუოდალაზე**. წერენ, რომ კალათბურთელს თავისი ამჟამინდელი კლუბის დატოვება სურს.

ამერიკელმა ჟურნალისტებმა უკვე აიტაცეს ეს თემა და მოასწრეს იგუოდალას გაცვლა „მემფისის" ლიდერ **რუდი გეიში**. რაც მთავარია, ეს ჭორი რეალობასთან ახლოსაა, რადგან „სიქსერზთან" დაახლოებული წყაროს ცნობით, „ფილადელფიას" ბოსები მართლაც აპირებენ ამ ზაფხულს „მემფისთან" ტრეიდის შესახებ მოლაპარაკებას.

■ ■ ■

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსის" ცენტრმა **იოანის ბურუსისმა**, შესაძლოა, NBA-ში გააგრძელოს კარიერა. 27 წლის კალათბურთელით „ოკლაჰომა-სიტია" დაინტერესებული, ტრანსფერის გაჩარხვას კი სკაუტი **დევიდ ვანტერპული** ცდილობს - თავის დროზე ევროპულ კლუბებში ნათამაშები აგენტი ამჟამად „თანდერთან" თანამშრომლობს.

ბურუსისი NBA-ის დრაფტის მონაწილე არასოდეს ყოფილა, მაგრამ მის კონტრაქტში, რომელიც 2012 წლის ზაფხულამდეა ძალაში, მკაფიოდ არის მითითებული თანხა, რომლის სანაცვლოდაც ის შეიძლება NBA-ში მოხვდეს - მილიონი ევრო.

ბერძნული პრესის ცნობით, თავად კალათბურთელი ითვალისწინებს NBA-ში მოსალოდნელ ლოკაუტს და არ სურს „ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტის გაწყვეტა.

ამ სეზონში ბურუსისი ევროლიგაზე საშუალოდ 10.7 ქულასა და 6.6 მოხსნას აგროვებდა.

● რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# უშეცდომო მხოლოდ ჩემპიონი იყო

ბოლო ორ ეტაპზე არცთუ ისე სტაბილური გამოსვლის შემდეგ **სებასტიან ლოებმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი და იტალიის რალიში გამარჯვებით შეინარჩუნა პირველობა საერთო ჩათვლაში.

„სიტროენის" წევრმა სამდღიანი შეჯიბრების ბოლო დღე **მიკო ჰირვონენზე** სოლიდური უპირატესობით დაიწყო. თავის მხრივ, „ფორდის" პილოტს სულაც არ ჰქონდა გარანტირებული მეორე ადგილი, რადგან ფინელს კვალში ედგა **პეტერ სოლბერგი** - მათ შორის სხვაობა სულ რაღაც წამი იყო და ყველაფერი ბოლო, ე. წ. „სატელევიზიო სპეცმონაკვეთს" უნდა გაერკვია.

ბოლო დღეს ლიდერთა სამეულს შორის დაძაბული ბრძოლა გაიმართა: ხან ლოები ზრდიდა თავის უპირატესობას, ხან კი ჰირვონენი ეწეოდა მოქმედ ჩემპიონს; რაღაც მომენტში კი პეტერ სოლბერგი ორივეზე გაცილებით სწრაფი იყო.

წარუმატებლად განვითარდა ბოლო დღე **სებასტიან ოჟიესთვის** - წინა ორი ეტაპის გამარჯვებულს პოდიუმისთვის ბრძოლა შეეძლო, მაგრამ მე-17 სპეცმონაკვეთზე ფრანგმა თავისი მანქანის უკანა მარცხენა დაკიდება გატეხა და ამით ბევრი დრო დაკარგა. ამ შეცდომის მიუხედავად, ოჟიემ შეინარჩუნა ადგილი ნორვეგიელი **მადს ოსტბერგის** წინ.

ბევრი ძლიერი რალისტისთვის რბოლა ჯერ კიდევ პარასკევს დასრულდა. **ჰენინგ სოლბერგმა** „ფორდზე" წარმოქმნილი პრობლემების გამო მიატოვა რბოლა, **იარი-მატი ლატვალას** კი ძვირად დაუჯდა შტურმანის შეცდომა და მეორე ათეულის ბოლოში აღმოჩნდა (თუმცა ორი ქულა მოიპოვა „სატელევიზიო სპეცნონაკვეთზე" მეორე ადგილზე გასვლისთვის).

იტალიაში ბევრ პილოტს შეექმნა მანქანასთან დაკავშირებული პრობლემა და უშუალოდ მრბოლელების შეცდომაც მრავლად იყო. ერთადერთი, ვინც მთელი დისტანცია ინციდენტების გარეშე გაიარა, სებასტიან ლოები იყო. ფრანგმა სრულიად დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და მინიმუმ მეექვსე ეტაპამდე შეინარჩუნა ლიდერობა საერთო ჩათვლაში. რალისტებს შემდეგი შეხვედრა 26-29 მაისს არგენტინაში ექნებათ.

**V ეტაპი. იტალიის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 3:45.40,9; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - +11,2; 3. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - +23,8; 4. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - +1.31.5; 5. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - +1.31,5; 6. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - +3.27,6...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 74 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 72; 3. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 69; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდ ფიესტა") - 66; 5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი") - 31; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „ფორდ სტობარტი") - 28; 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - 22; 8. **კიმი რაიკონენი** (ფინეთი, „სიტროენი") - 18; 9. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - 12; 10. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 10...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ლოები მორიგი გამარჯვებისკენ